პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

21 ოქტომბერი **პარასკევი** 2011

№248 (13545) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სკანდალი ბარსაში

### რამდენი მილიონი ღირს სანჩესი: 26 თუ 43?



9

# 20 წლის ქართველის რეალობა:

## შენგელიას 11 ქულა და 9 მოხსნა სამეფო გუნდის წინააღმდეგ

ევროლიგაში თორნიკე შენგელიას „შარლერუა“ გუშინ ჩაერთო. პირველივე ტურში მისი მეტოქე მადრიდის „რეალი“ იყო, შესაბამისად ფავორიტადაც სამეფო კლუბი ითვლებოდა და სტატუსიც „მეფურად“ გაამართლა - ბელგიაში 100:76 მოიგო.

„რეალს“ არ შეეპუა 20 წლის ქართველი ფორვარდი შენგელია, რომელმაც თავი არაერთი ლამაზი დრიბლინგით დაგვამახსოვრა. ერთით მეტი რომ მოეხსნა იგი ორმაგ დუბლს გამორჩებოდა: 27 წუთში 11 ქულა, 9 მოხსნა, 1 დაფარება.



## საქართველო 2
## სომხეთი 2

### თბილისში ფუტსალის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი დაიწყო

2



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო




2

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი არენა

# ეროვნული ეროვნულზე ბრუნდება

## საფარი დაგებულია, განათება მონტაჟდება



ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე სამუშაოები, ფაქტობრივად, დასრულებულია - დაიგო ბალახის საფარი და იცვლება განათების სისტემა. განახლება თვე-ნახევრის წინ დაიწყო, როდესაც თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელებმა არენა 49-წლიანი იჯარით აიღეს.

განათების ახალი სისტემის მონტაჟი მალე დასრულდება, მისი სიმძლავრე 1900 ლუქსი იქნება და უეფას ყველაზე მკაცრ მოთხოვნებსაც დააკმაყოფილებს - აქამდე „ეროვნულის" განათება 1200 ლუქსი იყო.

საფრის დაგება სექტემბრის ბოლომდე იგეგმებოდა, მაგრამ არახელსაყრელმა კლიმატურმა პირობებმა ვადა გაახანგრძლივა. ასე რომ, ოქტომბრის ბოლოს თამაშების ჩატარება შესაძლებელი იქნება.

სავარაუდოდ, პირველი შეხვედრა 30 ოქტომბერს ჩატარდება - თბილისის "დინამო" "დინამო"-არენაზე" ცხინვალის "სპარტაკს" უმასპინძლებს. თუმცა, ეს ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ფიქრობდნენ, რომ 11 ნოემბერს აქ ეროვნული ნაკრებიც ითამაშებდა მოლდოვასთან ამხანაგურ მატჩს, მაგრამ, ახლანდელი მონაცემებით, ეს შეხვედრა "მიხეილ მესხზე" გაიმართება.

სტადიონის დირექტორის, **სანდრო შახოვის** თქმით, უკრაინული საფარი მაღალხარისხიანია და მას მკვეთრი ფერიც გამოარჩევს, როგორც ამბობენ, არახელსაყრელ პირობებში ნაკლებად ხუნდება და აღდგენის უნარიც აქვს.

ასე რომ, მალე ეროვნულ სტადიონზე ბურთი კვლავ გაგორდება. ერთი შეხედვით, რა კავშირშია, მაგრამ აქვე ვიტყვით, რომ წლეულს ეროვნული ჩემპიონატი ბევრად უფრო საინტერესოდ მიმდინარეობს, ვიდრე წინა წლებში. ერთი მიზეზი ისაა, რომ, ადრინდელთან შედარებით, უმაღლეს ლიგაში შედარებით ნორმალურად დაფინანსებული კლუბები ასპარეზობენ (ცხადია, ყველას არ ულხინს, მაგრამ ბოლო ორი წელია, გარკვეულ სტაბილურობას მიაღწიეს), რაც გუნდების საერთო კლასსა და ევროტურნირებში მათ გამოსვლებსაც დაეტყო.

ორი ქართული კლუბის ევროპის ლიგის პლეი ოფში გასვლა მიღწევა არ არის, მაგრამ პირველ წრეში გამოვარდნას სჯობია. ჩემპიონატიც უფრო საინტერესოდ მიმდინარეობს და უკეთეს მატჩებსაც ვუყურებთ, ვიდრე წინა ჩემპიონატში. მიზეზი, ცხადია, რამდენიმე სტადიონზე საფრის შეცვლაც არის, მაგალითად, ქუთაისში, "მიხეილ მესხზე", ხალიჩა დაიგო "მცხეთა-პარკზე", მატჩები ეროვნული ნაკრების ტექნიკური ცენტრის ჩინებულ მინდორზეც იმართება, ზესტაფონში ისედაც ხარისხიანი საფარი იყო, რუსთავის სტადიონის ხალიჩაზეც შეიძლება ბურთის გაგორება, ახლა მოედნებს გორსა და ფოთშიც აკეთებენ.

ჩვენი თორმეტგუნდა ჩემპიონატის ტურში სულ ექვსი მატჩი იმართება და ქართულ სტადიონებზე ხარისხიანი მოედნები ოდნავ უკეთესი ჩემპიონატის საფუძველი უნდა გახდეს, ნაკრებებიც აღარ ითამაშებენ "ყანებში". ვინც ამ პრობლემაში ერკვევა ან ფეხბურთი უთამაშია, ყველა დაგვეთანხმება, ფეხბურთისა და მოედნების ხარისხი ერთმანეთთან პირდაპირ კავშირშია. ამიტომ გვახარებს ეროვნულის და ნებისმიერი სხვა სტადიონის განახლება.

**მერაბ მამულაშვილი**

მსაჯთა საფიხვნო

# ვადაჭკორიამ სწორად განსაჯა

## ევრო 2012, ჩემპიონთა ლიგა, ევროპის ლიგა: ფანიაშვილი ყველას მონაწილეა

ეროვნული ჩემპიონატის გასული ტურის ყველაზე საკამათო მომენტი გორის "დილასა" და ზუგდიდის "ბაიას" მატჩისას დაფიქსირდა – ზუგდიდელ მცველს საკუთარ საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა, მატჩის არბიტრმა **გიორგი ვადაჭკორიამ** კი პენალტი არ დანიშნა, რასაც გორელი ქომაგების დიდი რისხვა მოჰყვა.

ჩვენს ტრადიციულ რესპონდენტს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილების ხელმძღვანელ **ლევან ფანიაშვილს** უპირველესად სწორედ ამ ეპიზოდის შეფასება ვთხოვეთ: *"დეტალურად განვიხილეთ ეს მომენტი და დავასკვენით, რომ არბიტრმა აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო, რადგან ბურთმა მოძებნა ხელი და არა პირიქით. საერთოდ, მსგავს სადავო სიტუაციაში დროულად გარკვევა და უშეცდომოდ მოქმედება მსაჯისთვის ძალიან რთულია, რადგან მან უცებ უნდა განსაზღვროს, იყო თუ არა ხელით თამაში მცველის ჩანაფიქრი და იქონია თუ არა ხელით თამაშმა გადამწყვეტი გავლენა ეპიზოდზე".*

ფანიაშვილმა საილუსტრაციოდ მსოფლიო ფეხბურთის უდიდეს ტურნირებზე დანიშნული პენალტები გაიხსენა.

1. მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზე იტალიელმა **რობერტო ბაჯომ,** ფაქტობრივად, განგებ გაარტყა ხელზე ბურთი ჩილელ მცველს და მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა – ეს არასწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან ხელით თამაში წინასწარგანზრახული არ ყოფილა.

2. ევრო 2000-ის ნახევარფინალში პორტუგალიელმა **აბელ შავიერმა** საკუთარი კარისკენ მიმავალ ბურთს გზა ხელით გადაუღობა, მსაჯმა პენალტი დანიშნა, რომელიც **ზინედინ ზიდანმა** გამოიყენა და ფინალში საფრანგეთი გაიყვანა – ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან შავიერმა ბურთს ხელი შეგნებულად დაუხვედრა.

უმაღლესი ლიგის გასულ ტურში სადავო მეტი არაფერი მომხდარა.

რამდენიმე დღის წინ ფანიაშვილი პორტუგალიაში იმყოფებოდა, სადაც ევროპის ლიგის მატჩზე "ბრაგა"-"ბრიუგე" მსაჯთა დამკვირვებელი იყო. შეხვედრა ბელგიელთა გამარჯვებით, 2:1 დასრულდა. მსაჯთა დამკვირვებელს საკუთარი საქმიანობის დეტალების შესახებ მედიასთან საუბრის უფლება არ აქვს, ამიტომაც ფანიაშვილმა მატჩი მხოლოდ გულშემატკივრის თვალით შეაფასა და "ბრიუგეს" თამაშით აღფრთოვანება გამოთქვა: *"ვიცოდი, რომ "ბრიუგე" ძლიერი გუნდი იყო, რაც "ზესტაფონთან" მატჩებშიც დაამტკიცა, მაგრამ ახლა უფრო შთამბეჭდავ ფეხბურთს თამაშობს. საერთოდ, ბელგიელები ძალისმიერ სტილს მისდევენ, მაგრამ "ბრიუგე" ძლიერია არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ კომბინაციურადაც და ტაქტიკურადაც".*

"ბრაგა"-"ბრიუგეს" შემდეგ ფანიაშვილი მსაჯთა დამკვირვებელი ევრო 2012-ის შესარჩევ მატჩშიც იყო, რომელ-



შიც ერთმანეთს ჩეხეთისა და ესპანეთის ნაკრებები დაუპირისპირდნენ, მისი შემდეგი „დანიშნულების ადგილი" კი კვიპროსია, სადაც ჩემპიონთა ლიგაზე ადგილობრივი აპოელი პორტუგალიურ "პორტუს" უმასპინძლებს.

რამდენიმე დღის წინ **დავით ხარიტონაშვილი** და **ლევან კვარაცხელია** ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის მატჩებს გაუძღვნენ, 11 ოქტომბერს კი კვარაცხელიამ 21-წლამდელთა საკვალიფიკაციო შეხვედრა იმსაჯა ბულგარეთსა და ლუქსემბურგს შორის. მატჩი მასპინძელმა ბულგარელებმა 3:2 მოიგეს, კვარაცხელიამ კი მათ მეკარე გაუძევა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფუტსალი



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ერიკი: სომეხთა თბილისელი გმირი

**საქართველო-სომხეთი 2:2**

0:1 დანიელიანი (11), 0:2 კირაკოსიანი (31), 1:2 მაისაია (32), 2:2 სებისკვერაძე (37)

საქართველო: **ჯამბურია, ძაბირაძე, თოთლაძე, ალთუნაშვილი, ნიშნიანიძე, ჭანუყვაძე, კობაიძე, ტიკურიშვილი, მაისაია, ბობოხიძე, სებისკვერაძე, კეფაშვილი**

მწვრთნელი: **ზაალ ჩიტალაძე**

სომხეთი: **აკოპოვი, სააკიანი, კაპუკრანიანი, დანიელიანი, კირაკოსიანი, მაშუმიანი, მხითარიანი, მარდანიანი, ზარგარიანი, ბაბაიანი, გიულამბარიანი, პეტროსიანი**

მწვრთნელი: **რუბენ ნაზარეთიანი**

გაფრთხილება: **ალთუნაშვილი, სააკიანი, კირაკოსიანი**

არბიტრები: **გ. ბილუა (ბელგია), ზ. ბოგდანოვი (სერბეთი)**

რამდენიმე დღის წინ საქართველოს ჩემპიონმა "იბერია სტარმა" ევროპის ფუტსალის თასზე თბილისის სპორტის სასახლეში გამართული ეტაპი შესანიშნავად ჩაატარა და ქართველი გულშემატკივარი ეფექტური და, რაც მთავარია, შედეგიანი თამაშით გაახარა. მონდომება არც საქართველოს ნაკრების წევრებს დაეწუნებოდათ და მათაც კარგი სანახაობა შემოგვთავაზეს, თუმცალა შედეგი ვერ იყო ისეთი, ჩვენ რომ გაგვიხარდებოდა. ფრე კიდევ არ არის კატასტროფა, მატჩი ისეთი სცენარით წარიმართა, რომ ესეც სანატრელი გაგვიხდა.

ზემოთ ნახსენები "იბერია სტარისგან" განსხვავებით, საქართველოს ნაკრები მხოლოდ ქართველებითაა დაკომპლექტებული და გუშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ნატურალიზებული უცხოელების გარეშე დიდი მიზნებისთვის ბრძოლა ძალიან გაგვიჭირდება – ნაკრების სამწვრთნელო შტაბი "იბერია სტარის" ბრაზილიელთაგან რამდენიმეს "გაქართველებას" გეგმავს და კარგი იქნება, თუ ეს დროულად მოხდება.

მანამდე კი აუცილებლად უნდა მოვიპოვოთ მსოფლიოს ფუტსალის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეორე ეტაპის საგზური. გუშინდელმა შეხვედრამ დაამტკიცა, რომ ეს ძნელი იქნება, მაგრამ, საბედნიეროდ, სომხეთთან მარცხს გადავურჩით და შანსიც შევინარჩუნეთ.

შეგახსენებთ, პირველ ეტაპზე ევროპაში სულ ხუთი ჯგუფია, საიდანაც მეორე რაუნდში ჯგუფების გამარჯვებულები და ორი საუკეთესო მეორეადგილოსანი გადაინაცვლებენ. პირველი ეტაპის 7 საუკეთესო გუნდს მეორე ეტაპზე პირდაპირ მოხვედრილი 21 გუნდი დაემატება და შეიქმნება 7 ოთხგუნდიანი ჯგუფი, რომლის პირველ-მეორეადგილოსნებიც მუნდიალზე მოსახვედრად 7 საპლეიოფო წყვილს შეადგენენ.

ჩვენი ჯგუფის გამარჯვებული მეორე რაუნდში სლოვენიურ მინიტურნირში იასპარეზებს, სადაც, მასპინძელთა გარდა, სერბეთისა და ისრაელის ნაკრებები მოხვდნენ.

გუშინდელ მატჩში ჩვენი გუნდი საგრძნობ სათამაშო უპირატესობას ფლობდა და საგოლე მომენტიც მრავლად გააფუჭა – უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, **ზაალ ჩიტალაძის** გუნდი ტაიმ-ნახევრის განმავლობაში ვერაფერს უხერხებდა მეკარე **ერნესტ აკოპოვს**, რომელმაც არაერთი რთული დარტყმა მოიგერია. უდავოა, რომ მისი გმირობების გარეშე სტუმრები დიდი ანგარიშით დამარცხდებოდნენ.

ერნესტი, იგივე ერიკი, თბილისში დაიბადა და ახლაც აქ ცხოვრობს, უბრალოდ, ორმაგ მოქალაქეობას ფლობს და დიდი ხანია, სომხეთის ნაკრებში თამაშობს. ისიც და საქართველოს ნაკრების მეკარე **ალექსანდრე ჯამბურიაც** "იბერია სტარის" წევრები არიან.

სომხები, რომლებმაც საკუთარი ტაქტიკა კონტრშეტევებზე ააგეს, პირველი ტაიმის შუა წუთებში დაწინაურდნენ, რის შემდეგაც აკოპოვმა საქართველოს ნაკრების კაპიტნის, **გიორგი ალთუნაშვილის** მიერ შესრულებული პენალტი მოიგერია.

აკოპოვი მეორე ტაიმშიც შეუდარებელი იყო და არც ერთ გოლში ბრალი არ მიუძღვის. ქართველთა თავგამოდებამ შედეგი ბოლოსკენ გამოიღო – **კახაბერ მაისაიამ** ჯერ შორეული დარტყმით შეამცირა ანგარიშში სხვაობა, შემდეგ კი **არჩილ სებისკვერაძემ** ათმეტრიანი საჯარიმო დარტყმით აღადგინა წონასწორობა.

დარჩენილი დრო ძალიან დაძაბული აღმოჩნდა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა, რამაც შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ორივე მეზობელს შეუნარჩუნა.

**მოლდოვა-მალტა 10:0**

გუშინვე დამტკიცდა, რომ მალტა ჯგუფის გამოკვეთილი აუტსაიდერია. მოლდოვასთან კი, რომელიც საქართველოს ნაკრებთან ერთად ოთხეულის თანაფავორიტია, ფრის უფლება აღარ გვაქვს. დღეს, წესით, არ უნდა გაგვიჭირდეს, მოლდოვის დამარცხება კი რთული საქმეა.

შეგახსენებთ, მატჩებზე დასწრება უფასოა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მოლდოვა | 1 | 1 | 0 | 0 | 10-0 | 3 |
| 2. საქართველო | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| 3. სომხეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| 4. მალტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-10 | 0 |

**დღეს**

15:30 სომხეთი-მოლდოვა
18:15 საქართველო-მალტა

**23 ოქტომბერი**

18:30 მალტა-სომხეთი
21:00 მოლდოვა-საქართველო

**ლევან ჯანეზაშვილი**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ლეგიონერი




# გიორგი შაშიაშვილი:
# ნაკრების რესურსი ჩემპიონატის გაძლიერებაა

**გიორგი შაშიაშვილი**, რომ იტყვიან, ჯერაც ბავშვი, 15 წლისა იყო, როდესაც თბილისის "დინამოში" ჩაირიცხა და მას შემდეგ უცხოეთში თამაშის გვარიანი გამოცდილება დაუგროვდა – ოთხი ქვეყნის კლუბში უთამაშია, ვლადიკავკაზის "ალანიაში", ოდესის "ჩერნომორეცში", გრაცის "შტურმში", 2009 წლიდან კი საბერძნეთის სუპერლიგის "ერგოტელისშია".

გიორგიმ საქართველოს ნაკრებში პირველად 2001 წლის 9 მაისს ითამაშა აზერბაიჯანის ნაკრებთან, მას მერე ეროვნული გუნდის ფორმა 30-ჯერ მოირგო, მაგრამ ნაკრებში თემურ ქეცბაიას დანიშვნის შემდეგ ჰერაკლიონის „ერგოტელისის" მცველი შეკრებაზეც არ გამოუძახებიათ.

"ლელო" 32 წლის შაშიაშვილს მიმდინარე მოვლენებზე, საკლუბო და, ცხადია, სანაკრებო ამბებზეც ელაპარაკა.

**- არასაფეხბურთო, მაგრამ მნიშვნელოვანი თემით დავიწყოთ: დღეს საბერძნეთში ხალხი მთავრობას დაუპირისპირდა, ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისშია. ცხადია, ეს მოვლენები ფეხბურთსაც შეეხებოდა.**

- "ერგოტელისი" კუნძულ კრეტაზე ბინადრობს, საკურორტო ზონაა და აქ ათენის გამოსვლების ექო ნაკლებად იგრძნობა. უცნაურია, მაგრამ ფინანსური კრიზისი "ერგოტელისს" არ შეხებია. ამიტომაც ახალ სეზონში ევროპის ლიგაზე გასვლა დაგვისახეს მიზნად, მაგრამ მძიმედ დავიწყეთ, ჩემპიონატის ექვსი ტური ჩატარდა და ჯერ მხოლოდ ხუთი ქულა გვაქვს. მიზეზი ისიც არის, რომ პირველ სამ ტურში ჩვენი მეტოქეები იყვნენ პაოკი, აეკი და "ოლიმპიაკოსი".

თუმცა საერთო კრიზისმა ბერძნულ ფეხბურთზე ძალიან უარყოფითად იმოქმედა, ამას გარიგებული მატჩების სკანდალიც დაერთო და ვოლოსის "ოლიმპიაკოსი" და "კავალა" მეოთხე ლიგაში დააქვეითეს. ასე დარჩა საბერძნეთის სუპერლიგაში 14 გუნდი 16-ის ნაცვლად, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 6 ტური ჩატარდა, ამბობენ, შესაძლოა, სუპერლიგას პირველიდან ორი გუნდი დაემატოსო. აი, ასეთი გაურკვეველი ვითარებაა, მაგრამ არ მესმის, ორი გუნდი როგორ დაემატება, დამატებულები ამ ექვს შეხვედრას როგორ ჩაატარებენ...

გუნდების უმეტესობას კი ძალიან უჭირს. მაგალითად, თბილისის "დინამოსთან" შეხვედრამდე ათენის აეკის ფეხბურთელებს 5 თვის ხელფასი არ აელოთ, ვარჯიშებს ბოიკოტს უცხადებდნენ და კრიზისის გამო კლუბი ოთხმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. სიმართლე გითხრათ, ამის გამო "დინამოს" გამარჯვების იმედი მქონდა.

**- აეკის თამაშიდან გამომდინარე, ბევრმა დაასკვნა, რომ ბერძნული გუნდების დონე საგრძნობლად დაეცა.**

- ისეთი ნამდვილად აღარ არის, ორისამი წლის წინ რომ იყო, როდესაც საბერძნეთში თამაში უჭირდათ "რეალს", "ბარსელონას", "მანჩესტერსა" და "ბაიერნს". "დინამოსთან" აეკი მართლაც საშინლად გამოიყურებოდა, თუმცა ახლა გუნდი ათამაშდა.

კრიზისის მიუხედავად, ბერძნებს მდგომარეობის გამოსწორების იმედი გაუჩნდათ, რადგან "პანათინაიკოსის" აქციათა დიდი ნაწილი არაბმა შეიძინა იყიდა. დარწმუნებული ვარ, ეს პრეცედენტი სხვებისთვისაც გადამდები იქნება და საკლუბო ფეხბურთი კრიზისიდან გამოვა.

**- „ერგოტელისთან" კონტრაქტი როდის გიმთავრდება?**

- მაისში ახალი ორწლიანი ხელშეკრულება გავაფორმე და 2013 წლამდე ვრჩები. კრიზისი კია, მაგრამ მაინც ძლიერი ლიგაა და ახალ კონტრაქტზე უარის თქმა არც მიფიქრია. მითამაშია ავსტრიაში, უკრაინასა და რუსეთში და არც ერთზე ნაკლები ჩემპიონატი არ არის, ავსტრიის ბუნდესლიგას კი ბევრად აღემატება. ძალიან დაძაბული ტურნირია, ლიდერებსა და აუტსაიდერებს შორის ქულებში მცირე სხვაობაა, ახლა 14-გუნდიანი ჩემპიონატიდან სამი ვარდება და ამან ვითარება კიდევ უფრო დაძაბა.

**- იყო ლაპარაკი "ერგოტელისში" ქართველი ფეხბურთელის დამატებაზე.**

- ლაპარაკი მართლაც იყო და ხშირადაც მეკითხებიან ქართველ ფეხბურთელებზე, მაგრამ ჯერ სასურველი ამპლუის ქართველი ვერ მოძებნეს.

**- საქართველოს ნაკრებზეც ვთქვათ, საბერძნეთთან მატჩს როგორი გამოხმაურება მოჰყვა?**

- პირველი შეხვედრის ფრედ დასრულების მიუხედავად, მეორე მატჩამდე მაინც ზედმეტად თავდაჯერებულები იყვნენ და რატომღაც ისეთი რეაქცია ჰქონდათ, თითქოს ჩვეულებრივი ამბავი მოხდა და დაგეგმილი სამი ქულა აიღეს. სამწუხაროდ, ზემოდან გვიყურებენ, თუმცა თამაშიდან გამომდინარე ვერ იტყოდნენ, რომ გვაჯობეს. პირიქით, სანამ თარგამაძე დაშავდებოდა და ათნი დავრჩებოდით, მანამდე საქართველოს ნაკრები უკეთ თამაშობდა. ჩვენს ჯგუფში ბერძნების ყველა შეხვედრას ვუყურე და ვფიქრობ, ასე ცუდად არც ერთი მატჩი არ ჩაუტარებიათ, რაც ჩვენი ბიჭების დამსახურებაა. მაგრამ რად გინდა, მაინც მოგვიგეს.

**- ჩვენს ნაკრებზე რას იტყვი?**

- ჯგუფში ბოლოდან მეორე ადგილი ვერ გამახარებს, მაგრამ გუნდი უფრო ბრძოლისუნარიანი გახდა და ეს ოდნავ მაინც მაიმედებს. ახლაც გვქონდა აფეთქებები, მაგრამ ერთ-ორ დასამახსოვრებელ მატჩს ლამის ყველა ციკლში ვიგებდით. ვფიქრობდი, რა მოგვივიდა ლატვიასთან და ასე მგონია, ეს მოსალოდნელიც იყო, თუმცა ყველაფრის ქეცბაიასთვის გადაბრალებაც არ იქნება გამართლებული.

**- რატომ იყო მოსალოდნელი?**

- ქართული ფეხბურთი წლების წინ წარმატებული იყო, მოთამაშეები ხასიათის სიმტკიცითაც გამოირჩეოდნენ, მაგრამ ბოლო წლებში ამ თვისებას ვეღარ ვავლენთ. როდესაც კონკრეტული მატჩის მოგება გვინდა, რაღაც ყოველთვის გვაკლდება, მაგრამ როდესაც ქულები არ გვჭირდება, თამაშები და ლაღები ვხდებით. გავიხსენოთ ამხანაგური შეხვედრები, თურქეთსა და ურუგვაის მოვუგეთ, მაგრამ ბევრად სუსტ ნაკრებებთან ოფიციალურ მატჩებში ვერ გავიმარჯვეთ.

რა ვიცი, იქნებ ახალმა თაობამ მაინც დაიბრუნოს ბრძოლისუნარიანობა და გამარჯვებულის ფსიქოლოგია.

**- ეს იყო თქვენი თაობის პრობლემა?**

- იქნებ, დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ ბოლომდე ვერ ამიხსნია, რა გვჭირდა. ისეთ თამაშებს ვაგებდით, ვერაფრით რომ ვერ ახსნიდი. არადა, ქართველები კლუბებში ურიგოდ არ გამოიყურებიან და მათგან ძლიერი ნაკრების ჩამოყალიბებაც შეიძლებოდა. მოკლედ, არ ვიცი, რა გვჭირდა და გვჭირს, მაგრამ გვჭირდა და გვჭირს.

**- ერთმა რუსმა ჟურნალისტმა დაწერა, ქართველები იმდენად ეგოისტები არიან, გუნდურად ვერასოდეს ითამაშებენო.**

- ვერ დავეთანხმები, ერთსულოვნება ნამდვილად არ გვაკლია, ნეტავ, ყველა ხედავდეს, რა ხდება ჩვენ შორის თამაშის დაწყებამდე, ამას ტრიბუნიდან ვერავინ იგრძნობს, მაგრამ ვერ გამიაზრებია, მერე რა გვემართება.

პრობლემა ბევრი იყო და ერთს ვერც გამოვარჩევ, რადგან ყველაფერი ერთმანეთზე იყო მიწყობილი და მთლიანობაში ქმნიდა იმ ვითარებას, რაც მაყურებელს ასე ადარდებს. ელემენტარულად, ნაკრებს ბაზაზე მოედანი არ ჰქონდა და ხან სად ვვარჯიშობდით და ხან სად. სიჭინავასა და ქეცბაიას დროს ეს მაინც გამოსწორდა, გუნდმა დამაიმედებლად დაიწყო, მაგრამ მერე ისევ აირია.

ჩემი აზრით, ნაკრებში საუკეთესო დაცვის ხაზია, ძალიან მომწონს მეკარეები, ლორია და რევიშვილი, მაგრამ შეტევის ორგანიზება გვიჭირს, ამას უილბლობაც დაემატა.

მე მაინც მგონია, რომ ერთ-ერთი გამოსავალი ეროვნული ჩემპიონატის გაძლიერებაა. საბერძნეთის ნაკრების წევრთა 80 პროცენტი ბერძნულ კლუბებში თამაშობს, რაც მათი ჩემპიონატის პრესტიჟიც არის და სხვა ფეხბურთელებსაც თავდაჯერებას მატებს, გამარჯვებულის მენტალიტეტი უყალიბდებათ. მესამეხარისხოვან ჩემპიონატში კი მოთამაშის გამარჯვებულის მენტალიტეტით გაზრდა ძალიან ძნელია.

**მერაბ მამულაშვილი**

რეგიონი. ინფრასტრუქტურა

# რა საჭიროა ტყუილი?

## ბუნებრივი კითხვა ხელოვნურ ცნობაზე: სად არის ბუნებრივი?

ქუთაისის „ტორპედო" „ვისოლი" ჯგუფმა შარშან ჩაიბარა და კლუბის ინფრასტრუქტურას ხელიც დაატყო: „ტორპედოს" სტადიონზე გამოიცვალა საფარი და ახლა იქ ლიცენზიასაც ელოდებიან, რათა სხვადასხვა რანგის საერთაშორისო მატჩების მასპინძლობის უფლება მიიღონ. თუმცა, ვიდრე სტადიონი ამ ლიცენზიას მიიღებს, დრენაჟის სისტემა უნდა მოწესრიგდეს, რადგან, ყველას კარგად ახსოვს, როგორ დადგა მუხლებამდე წყალი მინდვრის კაიხელა მონაკვეთზე „ტორპედო"-„ბაიას" მატჩისას.

სექტემბრის ბოლოს „ტორპედოს" მთავარ მწვრთნელად 5-წლიანი კონტრაქტით **გია გეგუჩაძე** დაინიშნა. როგორც კლუბის ხელმძღვანელობამ განაცხადა, ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო ქართულ ფეხბურთში, თუმცა, ეტყობა, არ იციან, რომ გეგუჩაძის ყოფილმა კლუბმა „ზესტაფონმა" თავის დროზე ასევე 5-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა **თემურ მახარაძეს**.

„საზოგადოებრივ მაუწყებელზე" „საფეხბურთო მიმოხილვაში" გამოსვლისას „ტორპედოს" პრეზიდენტმა **ლევან ფხაკაძემ** განაცხადა, რომ მათთვის უმთავრესი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება იყო და გარდა სტადიონის საფრის შეცვლისა, „ტორპედოს" ბაზაზე ორი მოედანია - ხელოვნური და ბუნებრივსაფრიანი.

„მიმდინარეობს ბაზის რეკონსტრუქცია, სადაც განთავსდება აკადემია და სადაც არსებობს ბუნებრივი და ხელოვნურსაფრიანი მოედნები, მიმდინარეობს სხვა მოედნების მშენებლობაც," - ეს ლევან ფხაკაძის განცხადებაა „საზოგადოებრივი მაუწყებლის" პირდაპირ ეთერში, თუმცა ჩვენ მიერ გადაღებული ფოტოები ცხადყოფს, რომ „ტორპედოს" ბაზაზე ბუნებრივსაფრიანი მოედანი ამ დრომდე არ არსებობს. „ლელოს" ინფორმაციით, ქუთაისში თვეზე მეტია, ლაზერულ გრეიდერს ელოდებიან, რომელმაც მიწა უნდა მოასწოროს და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი საფრის დაგება. ასე რომ, მინიმუმ წლის ბოლომდე ბაზაზე ბუნებრივი საფარი ვერ იქნება.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ როდესაც კლუბის პრეზიდენტი გამოდის და საჯაროდ აცხადებს, თუ როგორი მინდვრები აქვს ბაზაზე, ადგილობრივ ქომაგს აქვს უფლება, იკითხოს: რა საჭიროა ტყუილი?

**მაგდა კლდიაშვილი**



ერთი მოედანი არის, მეორე კი...



რეკლამის მენეჯერის ვაკანსია „ლელოში"
E-mail:hr@kvirispalitra.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

### იუბილე



მეტოქეების სამახსოვრო ფოტო მატჩის წინ

# მარადიული ზოოვეტი

ნამდვილად არა ვართ განებივრებულნი ისეთი დღეებით, როცა ამა თუ იმ ქართული გუნდის საიუბილეო თარიღი შესაბამისად აღინიშნება. საბედნიეროდ, სასიამოვნო გამონაკლისიც არსებობს და ამის ნათელი მაგალითია გუშინდელი დღეც: ქართული სტუდენტური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს თბილისის „ზოოვეტს" 40 წლის იუბილე ჰქონდა! შორს წაგვიყვანს იმ ფეხბურთელების ჩამოთვლა, დაარსებიდან დღემდე ამ გუნდში ვისაც უთამაშიათ, აი, იმას კი შევახსენებთ ჩვენს მკითხველს, რომ თბილისის „ზოოვეტს" თავის დროზე საკავშირო უნივერსიადაც აქვს მოგებული და საქართველოს თასიც (1982 წელს); ეროვნული ჩემპიონატის დასაწყისიდან კი სეზონი არ გამოუტოვებია და ამ სახელწოდების გუნდი დღესაც ასპარეზობს ჩვენ პირველობაში (ამჟამად — პირველ ლიგაში). „ზოოვეტის" დამაარსებელი, „მარადიული" პატრონი და ასევე მარადიული მთავარი მწვრთნელი ცნობილი ქართველი საფეხბურთო სპეციალისტი და არანაკლებ ცნობილი მეცნიერი და პედაგოგი **ელგუჯა**



სახიფათო მომენტი ოთარ გაბელიას კართან



მარცხნიდან: პაატა ჯინჭარაძე, არბიტრი ანატოლი მილჩენკო, დავით ჭიჭველიშვილი, გოჩა ჯამარაული, ლაშა დვალიშვილი

**გუგუშვილი** გახლავთ, გუშინაც ენერგიულად რომ ხელმძღვანელობდა... ექვსი თაობის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებულ „ზოოვეტს"! ჰო, გუშინ მართლაც საინტერესო მატჩი ჩატარდა: „ზოოვეტის" სხვადასხვა თაობის ნაკრები თბილისის „დინამოს" ვეტერანებს დაუპირისპირდა. ეს შეხვედრა თბილისში, „მიხეილ მესხის" სტადიონზე უნდა ჩატარებულიყო, თუმცა, სუბიექტურ (!) მიზეზთა გამო ვეტერანთა დაპირისპირება კინაღამ ჩაიშალა, მაგრამ საბედნიეროდ, ქვემო ქართლის გუბერნატორის **დავით კირკიტაძისა** და საფეხბურთო კლუბ „მეტალურგის" მმართველი დირექტორის **ბუბა ტყავაძის** კეთილი ნებით ამხანაგურ პაექრობას რუსთავის „ფოლადის" სტადიონმა უმასპინძლა.

...საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო მსაჯის, **ანატოლი მილჩენკოს** (ვისაც **ვლადიმერ ეჯიბია** და **ოთარ გუნთაძე** ეხმარებოდნენ) სასტვენზე გუნდებმა თამაში ასეთი შემადგენლობით დაიწყეს:

„ზოოვეტი": **ავთანდილ ქანთარია-სოსო ფრუიძე, დავით კეველიშვილი, ირაკლი ვაშაკიძე, ლევან კვიციანი - ავთანდილ ნიკლაური, დავით ჭიჭველიშვილი, ლაშა ნოზაძე, დავით სოლოღაშვილი - ლაშა დვალიშვილი, გურამ ვასაძე.**

„დინამო": **ოთარ გაბელია - გია ფირცხალავა, გოჩა ჩიქოვანი, ზაურ სვანაძე, ლევან ბარათაშვილი - მიხეილ მაზიაშვილი, გრიგოლ ჭანტურია, გელა ინალიშვილი, გოჩა ჯამარაული - კახა კაჭარავა, ლევან ნოდია.**

მოგეხსენებათ, ასეთი „რანგის" მატჩებში შეცვლების რაოდენობა ლიმიტირებული არ არის ხოლმე და გამონაკლისი არც გუშინდელი დღე იყო; თუმცა, მეტოქეები აშკარად არათანაბარ პირობებში იმყოფებოდნენ: „ზოოვეტის" რიგებში... 40-მდე ფეხბურთელმა ითამაშა, აი, „დინამოს" შემადგენლობაში კი ერთი ცვლილება მოხდა და ისიც იძულებითი: უჩვეულო ამპლუაში მოასპარეზე **გრიგორ ჭანტურიამ** ტრავმა მიიღო და მის ნაცვლად მოედანზე დინამოელთა ... მწვრთნელი **ვაჟა ჟვანია** გამოჩნდა. ვიდრე ამ მართლაც საინტერესო მატჩის პერიპეტიებზე ვისაუბრებდეთ, „ზოოვეტის"-ის დანარჩენი ფეხბურთელებიც ვახსენოთ, სხვადასხვა ხანგრძლივობის დრო რომ დაჰყვეს მოედანზე: **სერგო გუგუშვილი, ლევან მახათაძე, ვასილ გამხიტაშვილი, გოგა მახარობლიშვილი, გიორგი გულბანი, ზურაბ კენჭუაშვილი, კახა ეფრემიძე, პაატა ჯინჭარაძე, თენგიზ კუკავა, გიორგი ლამბაშიძე, ბადრი დარასელია, ზაზა ბაკურაძე, ირაკლი ჭეიშვილი, კახა დვალიშვილი, სოსო ბაბულაიძე, გოგა არჩვაძე, აჩიკო კაპანაძე, გიორგი ჭუნიაშვილი, ზაზა დგებუაძე.**

...პირველი რეალური მომენტი დინამოელებმა შექმნეს: **გოჩა ჯამარაულმა,** ისე როგორც თავის საუკეთესო წლებში, შორი მანძილიდან ზუსტად და ეფექტურად დაარტყა, მაგრამ **ავთანდილ ქანთარიამ** მაინც შეძლო ბურთის კუთხურზე მოგერიება. ამას უკვე „ზოოვეტელთა" საპასუხო იერიში მოჰყვა, მაგრამ **ლაშა დვალიშვილის** შორეული დარტყმის მოგერიება **ოთარ გაბელიას** არ გასჭირვებია. ისე, გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ ამ მატჩში ჩვენმა კოლეგამ ლაშა დვალიშვილმა მართლაც მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა. აღარაფერს ვამბობთ 58 წლის ოთარ გაბელიაზე — დღესდღეობითაც ბევრ „მოქმედ" მეკარეს რომ სჯობია თავისი რეაქციით...

ისევ მატჩს დავუბრუნდეთ და კვლავაც შორეული დარტყმა უნდა ვახსენოთ — ამჯერად უკვე **ლევან ბარათაშვილი** უმიზნებდა „ცხრიანს", მაგრამ ეს მცდელობაც უშედეგო აღმოჩნდა. მოკლედ, შორეული დარტყმებისგან ხეირი რომ ვერ ნახეს, დინამოელებმა აქცენტი კომბინაციურ თამაშზე გააკეთეს და ამან შედეგიც მოიტანა: **გელა ინალიშვილმა კახა კაჭარავასთან** ეფექტური „კედელი" გაითამაშა და მერე, „ზოოვეტის" კარში გოლის გატანაც არ გასჭირვებია. ამ ეპიზოდიდან სამიოდ წუთში ინალიშვილი კვლავაც ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა და „დუბლი" მიითვალა — აქვე, **გია ფირცხალავას** მართლაც ჩინებული საგოლე პასიც უნდა აღვნიშნოთ. ინალიშვილმა ორივე გოლი იმ დროს გაიტანა, „ზოოვეტის" კარს **გიორგი გულბანი** რომ იცავდა, მაგრამ ამ შეხვედრის მონაწილე კიდევ ერთი ჩვენი კოლეგა ორივე ეპიზოდში თავის გუნდს ვერაფრით დაეხმარებოდა.

...მეორე ტაიმი, ფაქტობრივად, ცალკარას ჰგავდა: „ზოოვეტმა" ტემპსაც მოუმატა და შეტევას-შეტევაზეც ახორციელებდა, მაგრამ „დინამოს" ცენტრალური მცველებიც (**ზაურ სვანაძე, გოჩა ჩიქოვანი**) უშეცდომოდ თამაშობდნენ და ოთარ გაბელიამ ხომ, საერთოდ, ახალგაზრდობა გაიხსენა! ჰო, მართლაც ძნელი ჩამოსათვლელია, თუ რამდენჯერ გადაარჩინა გაბელიამ „დინამო": ჯერ ლაშა დვალიშვილის შორეული დარტყმა მოიგერია, მერე **დავით ჭიჭველიშვილს** აუღო ურთულესი ბურთი, შემდეგ **სერგო გუგუშვილის** დარტყმა მოიგერია და ასე შემდეგ. თუმცა, ერთ ეპიზოდში გაბელიაც უძლური იყო: დვალიშვილმა მარჯვენა ფლანგიდან ბურთი მეტოქის საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც ყველას **ირაკლი ვაშაკიძემ** დაასწრო და ზუსტი თავური დარტყმით გოლი გაიტანა. „ზოოვეტი" ბევრს ეცადა, ანგარიში რომ გაეთანაბრებინა, მაგრამ გაბელიას „სინდრომიც" ვერ დაძლია და უიღბლობამაც დაალალატა: სერგო გუგუშვილის შორეული დარტყმა „დინამოს" კარის ხარიხამ აისხლიტა, ხოლო **ლევან კვიციანის** (ამჟამად, ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის უფროსი) ძლიერად დარტყმული ბურთი სანტიმეტრებით ასცდა მიზანს. ვიდრე საფინალო სასტვენი გაისმებოდა და... „მესამე ტაიმისათვის" მომზადებაც დაიწყებოდა, სტადიონზე მყოფნი **ოთარ მამასახლისმაც** გაამხიარულა — მსაჯისგან დაუკითხავად მოედანზე რომ შეიპარა და „ზოოვეტის" ერთ შეტევაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო...

**გია ტუხაშვილი**

**ალექსანდრე კოტორაშვილის** ფოტოები

### ქალთა ფეხბურთი

# მხოლოდ 0:1

საქართველოს 17-წლამდელ გოგონათა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპზე ასპარეზობა ლატვიასთან 0:1 მარცხით დაასრულა. შეგახსენებთ, წინა მატჩები **გერონტი ნაჭყებიას** გუნდმა შვეიცარიასა და პოლონეთთან, შესაბამისად, 1:17 და 0:12 წააგო.

ამათზე გაცილებით სუსტმა ლატვიამ გამარჯვების გოლი შეხვედრის მე-3 წუთზე გაიტანა.

რაკი ამჯერად კატასტროფულად არ დავმარცხებულვართ, ჩვენი გუნდის შემადგენლობას გაგაცნობთ:

**ბაქრაძე, აბულაძე, შენგელია, ძიძიგური, ალელიშვილი (28. გვილავა), ჯინჭარაძე, მაღლაკელიძე (65. გუჩმანიძე), ჩემინავა, გოგიჩაძე, ბასილაძე, სინათაშვილი (75. ნასყიდაშვილი).**

ჩვენი ჯგუფის საბოლოო სატურნირო მდგომარეობა კი ასეთია:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 3 | 3 | 0 | 0 | 34-2 | 9 |
| 2. პოლონეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 19-2 | 6 |
| 3. ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 1-21 | 3 |
| 4. საქართველო | 3 | 0 | 0 | 3 | 1-30 | 0 |

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ნათია სხირტლაძე საფრანგეთში ითამაშებს

საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ნაკრების წევრი, 21 წლის **ნათია სხირტლაძე** საფრანგეთის რანგით მესამე დივიზიონში ითამაშებს. საფეხბურთო კლუბმა „კალვირმა" მას ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

ნათია ამპლუით მარცხენა მცველია. საფრანგეთში, სინჯებზე 10 სექტემბერს გაემგზავრა და იქ ერთი თვე დარჩა. როგორც თავად ამბობს, ფრანგებისთვის თავის მოწონება პირველივე ვარჯიშზე მოახერხა, შემდგომი პერიოდი კი ვარჯიშსა და ადაპტაციას მოახმარა.

„ძალიან კარგად შემხვდნენ, ყველაფერი ამიხსნეს. თანაგუნდელებს ჯერ ინგლისურად ველაპარაკები, მაგრამ ვეცდები, ფრანგული ვისწავლო," - ამბობს ნათია.

სხრიტლაძე ახლა გრძელვადიან ვიზას ელოდება, რომლის მიღების შემდეგაც საფრანგეთში გაფრინდება და კლუბს შეუერთდება.

**მაგდა კლდიაშვილი**



ნათია სხირტლაძე (№16)

### საქართველოს ჩემპიონატი

**I ლიგა. ა ზონა**

**20 სექტემბერი**

| | |
|---|---|
| მერცხალი-სტუ | 2:0 |
| მესხეთი-სამტრედია | 1:0 |
| დინამო (ბთ)-ჩხერიმელა | 1:0 |
| ჭიათურა-კოლხეთი (ხობი) | 1:0 |
| მეშახტე-ლოკომოტივი | 1:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბათუმი | 10 | 8 | 1 | 1 | 15-5 | 25 |
| 2. მერცხალი | 9 | 6 | 2 | 1 | 15-9 | 20 |
| 3. ჭიათურა | 9 | 5 | 2 | 2 | 14-7 | 17 |
| 4. ჩხერიმელა | 10 | 5 | 2 | 3 | 13-12 | 17 |
| 5. სტუ. | 9 | 4 | 2 | 3 | 18-17 | 14 |
| 6. მესხეთი | 9 | 3 | 1 | 5 | 8-10 | 10 |
| 7. მეშახტე | 10 | 2 | 2 | 6 | 11-15 | 8 |
| 8. კოლხეთი (ხ) | 10 | 2 | 2 | 6 | 8-13 | 8 |
| 9. ლოკომოტივი | 7 | 1 | 3 | 3 | 9-12 | 6 |
| 10. სამტრედია | 9 | 0 | 3 | 6 | 5-16 | 3 |

**ბ ზონა**

**X ტური**

| | |
|---|---|
| გურია-ადელი | 2:0 |
| ნ. დინამოელი-სამგურალი | 0:3 |
| სულორი-ჩიხურა | 0:4 |
| ზოოვეტი-აეტი | 2:0 |
| იმერეთი-სქური | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 10 | 9 | 1 | 0 | 25-2 | 28 |
| 2. გურია | 10 | 7 | 2 | 1 | 27-8 | 23 |
| 3. ნ/დინამოელი | 10 | 5 | 1 | 4 | 19-11 | 16 |
| 4. იმერეთი | 10 | 5 | 1 | 4 | 15-13 | 16 |
| 5. ზოოვეტი | 10 | 5 | 1 | 4 | 13-17 | 16 |
| 6. სქური | 10 | 4 | 2 | 4 | 12-15 | 14 |
| 7. სამგურალი | 10 | 3 | 4 | 3 | 13-10 | 13 |
| 8. ადელი | 10 | 2 | 1 | 7 | 10-19 | 7 |
| 9. სულორი | 10 | 1 | 2 | 7 | 3-26 | 5 |
| 10. აეტი | 10 | 1 | 1 | 8 | 5-21 | 4 |

**U17 III ტური**

| | |
|---|---|
| ოლიმპიკი-ტორპედო | 2:0 |
| ოლიმპი-მცხეთა | 3:0 |
| ოლიმპი 2-მთ.გლობუსი | 1:3 |
| ნ.დინამო-95-საქ.უნივერ-2 | 4:1 |
| ნ.დინამო 94 -ნ.დინამო-2 | 4:2 |
| საქ.უნივერ-ლიახვი | 2:4 |
| თ.ს.ა-ძიზიყი | 3:2 |
| მერანი-გურჯაანი | 1:0 |
| ლოკომოტივი- იბერია-2 | 5:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნ.დინამო-95 თბ. | 3 | 3 | 0 | 0 | 15-6 | 9 |
| 2. ოლიმპი თბ. | 3 | 3 | 0 | 0 | 10-1 | 9 |
| 3. ოლიმპიკი თბ. | 3 | 3 | 0 | 0 | 10-3 | 9 |
| 4. თ.ს.ა თბ. | 3 | 3 | 0 | 0 | 5-0 | 9 |
| 5. ლოკომოტივი თბ. | 3 | 2 | 0 | 1 | 10-2 | 6 |
| 6. ნ.დინამო-94 თბ. | 3 | 2 | 0 | 1 | 10-7 | 6 |
| 7. ლიახვი აჩაბეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 9-11 | 6 |
| 8. მერანი თბ. | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 9. გურჯაანი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 10. საქ.უნივერ თბ. | 3 | 1 | 0 | 2 | 7-9 | 3 |
| 11. საქ.უნივერ-2 თბ. | 3 | 1 | 0 | 2 | 6-9 | 3 |
| 12. ოლიმპი-2 თბ. | 3 | 1 | 0 | 2 | 4-8 | 3 |
| 13. იბერია-2 თბ. | 3 | 1 | 0 | 2 | 4-9 | 3 |
| 14. მთ.გლობუსი თბ. | 3 | 1 | 0 | 2 | 4-9 | 3 |
| 15. ტორპედო(ავაზა) | 3 | 0 | 2 | 1 | 1-3 | 2 |
| 16. მცხეთა | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |
| 17. ნ.დინამო-2 თბ. | 3 | 0 | 0 | 3 | 6-10 | 0 |
| 18. ძიზიყი | 3 | 0 | 0 | 3 | 3-12 | 0 |

**III (მეორე) ლიგა. II ტური**

| | |
|---|---|
| გოლიადორი-ელიტ-ჯორჯია | 2:3 |
| ალგეთი-XXI-დინამო სოხ. | 3:0 |
| დიოსკურია -ამირანი | 2:1 |
| გარეჯი- თ.ს.ა | 3:2 |
| რუსთავი-რ.ძ.ა. ერთობა | 1:5 |
| ფორვარდი-საქ.უნივერ | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფორვარდი თბ. | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| 2. დიოსკურია აფხ | 2 | 2 | 0 | 0 | 6-3 | 6 |
| 3. ელიტ-ჯორჯია თბ. | 2 | 2 | 0 | 0 | 5-3 | 6 |
| 4. ალგეთი-XXI თბ. | 2 | 1 | 1 | 0 | 3-0 | 4 |
| 5. რ.ძ.ა-ერთობა თბ. | 2 | 1 | 0 | 1 | 6-3 | 3 |
| 6. გარეჯი საგარ. | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 7. ამირანი აფხ. | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 8. საქ.უნივერ თბ. | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 9. თ.ს.ა თბ. | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 10. გოლიადორი თბ. | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |
| 11. რუსთავი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-9 | 0 |
| 12. დინამო სოხ. | 2 | 0 | 0 | 2 | 0-7 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერული დერბი

# დე იონგი: ამიერიდან სიტი პირველია

26 წლის ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა, **ნაიჯელ დე იონგმა** მანჩესტერული დერბის წინ ცეცხლს ნავთი დაასხა — ახლა პირველ ადილზე „სიტია“ და ამ პოზიციის დათმობას არც აპირებსო, მიახალა მეტოქე გუნდის მოთამაშეებსა და გულშემატკივრებს. ფაქტია: დღეს პრემიერლიგის ცხრილში პირველზე ისტლენდელები არიან, თუმცა, კვირას იქვე, თავიანთ ქალაქში, „ოლდ ტრეფორდზე“ მიდიან, რათა სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდთან გაარკვიონ ძლიერისა და სუსტის ამბავი.



ნაიჯელ დე იონგი

დე იონგს სწამს, რომ ადრინდელისგან განსხვავებით, ახლა მანჩესტერულ გუნდებს შორის თანაფარდობა შეიცვალა. „ლურჯებმა“ გასულ სეზონში, უფრო ზუსტად კი აპრილში, ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალში დაამტკიცეს, რომ „იუნაიტედი“ მათთვის გადაულახავ ბარიერს აღარ წარმოადგენს. ჰოლანდიელი ბრძოლის ჟინით არის ალსავსე და კვირას, „ოლდ ტრეფორდზე“ წაგება არც კი წარმოუდგენია.

*„რად უნდა ლაპარაკი, რომ ჩვენს გუნდში ყველა მოგებაზე ფიქრობს. ჩვენ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ სათამაშოდ მივდივართ, როგორც ლიდერები და მიზნად ცხრილის სათავეში დარჩენა გვაქვს. მთავარია საკუთარი ძალების რწმენა არ შეგვერყეს და ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ, ზუსტად ისე, როგორც ამას სხვა გუნდებთან ვაკეთებთ.*

*მანჩესტერული დერბი დიდი მატჩია. ფსიქოლოგიური წნეხიც ისევ ისეთია, როგორიც წინა დერბების დროს იყო, თუმცა ერთი განსხვავება მაინც არის — ახლა ჩვენ ვართ ლიდერები. ვინმესთვის რამე თუ გვაქვს დასამტკიცებელი? არა. ჩვენ, რომ ძლიერი გუნდი გვყავს, ამას ყოველ დღე, ყოველ ტურში ვამტკიცებთ. სხვა საქმეა, რომ კვირას ერთმანეთის პირისპირ ინგლისის ორი უძლიერესი გუნდი წარსდგება და მე, პირადად, ძალიან კარგ თამაშს ველი. გაზაფხულზე, ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალის წინაც ბევრს ლაპარაკობდნენ, რომ გამარჯვება „მანჩესტერ იუნაიტედს“ დარჩებოდა, მაგრამ ჩვენ მოვიგეთ. ახლა, ჩემპიონატის შეხვედრაში უნდა მოვიგოთ. სამი ქულა გვჭირდება“.*

„სიტიმ“ რვა ტურში მხოლოდ ორი ქულა დაკარგა და ცხრილში „იუნაიტედს“ ზუსტად ამდენით უსწრებს. შეგახსენებთ, რომ სამშაბათს, ისტლენდელებმა **სერხიო აგუეროს** მიერ ბოლო წუთზე გატანილი გოლის წყალობით „ვილიარეალს“ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში მოუგეს, რაც, დე იონგის აზრით, გუნდზე დადებითად იმოქმედებს. ის ამბობს:

*„ამ მოგებამ, რასაკვირველია, განწყობა აგვიმაღლა. საერთოდ, ნებისმიერი გამარჯვება მომდევნო შეხვედრაში გეხმარება, ხოლო თუ მომდევნო შეხვედრა მანჩესტერული დერბია, ეს კანონი ორმაგად მოქმედებს. ბევრი რამ საკუთარი თავის რწმენაზე იქნება დამოკიდებული. რასაკვირველია, ჩვენ ამის პრობლემა არ გვაქვს, მაგრამ არც „მანჩესტერ იუნაიტედს“ ეპარება საკუთარ ძალებში ეჭვი. პლუს, ისინი შინ თამაშობენ. ასე რომ, კვირას ორივე გუნდი ძალიან კარგ ფეხბურთს აჩვენებს“.*

„მანჩესტერ სიტიმ“ მაისში ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი მოიპოვა. მანამდე ქალაქის „ლურჯ გუნდს“ 35 წლის განმავლობაში არანაირი ჯილდო არ მოეგო. ბედის ირონიით, ზუსტად იმავე დღეს, ქალაქის „წითელმა გუნდმა“, „იუნაიტედმა“, მეცხრამეტედ მოიპოვა ინგლისის ჩემპიონის ტიტული და ამ მაჩვენებლით „ლივერპულს“ გადაასწრო. დე იონგს „იუნაიტედის“ მიღწევები მხოლოდ ალაფრთოვანებს და იმედოვნებს, რომ წარმატებათა ეპოქა ახლა „ეტიჰედ სთედიუმზეც“ დადგება.

*„ისეთ რაღაცას, რაც „იუნაიტედმა“ 25 წლის განმავლობაში შეძლო, ერთ წელიწადში ვერ შექმნი. ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ პროგრესის გზით. რასაკვირველია, როდესაც ბევრ ფულს ხარჯავ და ძლიერ ფეხბურთელებს ყიდულობ, დრო ნაკლები გაქვს — ხალხი მალევე ელის შედეგს, მაგრამ აგურ-აგურ შენების პროცესს მაინც ვერსად წაუხვალ“.*

# ნანი: მე მანჩესტერ სიტის დავანარცხებ!

24 წლის პორტუგალიელი ვარსკვლავი, **ნანი** აცხადებს, რომ კვირას, მანჩესტერულ დერბიში ხმაურიან მეზობელს, „მანჩესტერ სიტის“ გასრესს და თან დაამტკიცებს, რომ თვითონ „მანჩესტერ იუნაიტედის“ იმ ფეხბურთელთა შორისაა, რომლებიც დიდ თამაშებს იგებენ.

ნანის ისტლენდელებთან თამაში მართლაც ძალიან კარგად გამოსდის. ბოლო სამ დერბიში პორტუგალიელმა „სიტის“ სამჯერ გაუტანა. როგორც ჩანს, მეზობლებთან ბრძოლაში ის „იუნაიტედის“ გადამწყვეტ ფაქტორად ჩამოყალიბდა.

*„დიდ შეხვედრებში ყოველთვის განსაკუთრებული მოტივაცია გვაქვს. დერბისთვის განსაკუთრებით ვემზადებით ხოლმე. ასეთ მატჩებში ყველა ჩვენგანს სურს მონაწილეობა, განსაკუთრებით კი მე. დიდ მატჩებში ფსიქოლოგიური პრობლემა არ მაქვს. პირიქით, ყოველთვის საბრძოლოდ ვარ განწყობილი. ზეწოლა, რომელსაც ასეთ თამაშებში ფეხბურთელები განიცდიან, მე მსიამოვნებს. რაც შეეხება „სიტისთან“ შეხვედრებს, ისინი ყოველ წელიწადს უფრო და უფრო რთული ხდება, რაც ძალიან მახარებს და ძალას მმატებს.*

*ჩვეულებრივ, „მანჩესტერ სიტის“ წინააღმდეგ კარგად ვთამაშობთ. იმედი მაქვს, რომ ამჯერადაც იგივე განმეორდება. იმედი მაქვს აგრეთვე, რომ ამჯერადაც შევიტან წვლილს მორიგ გამარჯვებაში. მე ეს შემიძლია. მანჩესტერული დერბისთვის გულმოდგინედ ვემზადებოდი. ვფიქრობ, მწვრთნელი მათამაშებს, რადგან იცის, რომ დიდ მატჩებში თავის გამოჩენა მეხერხება“.*

ნანიმ „იუნაიტედს“ გასულ სეზონში „ოლდ ტრეფორდზეც“ გაუტანა, თუმცა ის თამაში მეხსიერებას უფრო **უეინ რუნის** არნახული სილამაზის მაკრატელა დარტყმით შემორჩა — „იუნაიტედმა“ 2:1 მოიგო. ნანი ამბობს:

*„შარშან მეც ძალიან კარგი გოლი გავიტანე, მაგრამ რუნისა უკეთესი იყო. ახლაც ვგრძნობ, რომ გოლის გატანა შემიძლია. მე კიდევ გავუტან „მანჩესტერ სიტის“.*

აგვისტოში ისტლენდელთა კარში პორტუგალიელმა კიდევ ორი გოლი შეაგდო. ეს „ქომუნითი შილდზე“ მოხდა — 3:2, ასე იძია „იუნაიტედმა“ შური აპრილში, ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალში წაგებისთვის. თუმცა, ნანიმ კარგად იცის, რომ „მანჩესტერ სიტი“ წლეულს შარშანდელზე ძლიერი გუნდია და მას და მის თანაგუნდელებს გაცილებით დიდი ბრძოლა მოუწევთ.



ნანი

*„ისინი შესანიშნავად თამაშობენ. მათ კარგი გუნდი ჰყავთ, კარგი ფეხბურთელები. რასაკვირველია, მათი დამარცხება სხვა გუნდების დამარცხებაზე უფრო ძნელი იქნება, თუმცა ჩვენ შინ ვთამაშობთ და ეს დიდი უპირატესობაა. „ოლდ ტრეფორდზე“ ჩვენ ხომ შესანიშნავი სტატისტიკა გვაქვს. განსაკუთრებით, დიდ თამაშებზე ვახერხებთ მობილიზაციას.*

*გასულ სეზონში, ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალში რომ დავმარცხდით? ჩვენს გუნდში ეს აღარავის ახსოვს, მით უფრო, რომ მერე „ქომუნითი შილდზე“ მოვუგეთ. გაცილებით მნიშვნელოვანია დაიმახსოვრო მოგებული მატჩი, ვიდრე წაგებული“.*

„მანჩესტერ იუნაიტედის“ დანიელი მეკარე, 27 წლის **ანდერს ლინდეგაარდი** კი ამბობს, რომ ჯერ ძალიან ადრე საიმისოდ, რომ კვირის თამაშს ჩემპიონობის ბედის განმსაზღვრელი ვუწოდოთ.

*„ოთხი ტურის წინ რომ გეკითხათ, გიპასუხებდით, რომ ჩემპიონის ვინაობა მანჩესტერული გუნდების დავაში უნდა გადაწყდეს, მაგრამ ბოლო რამდენიმე თამაში „ჩელსიმ“ ისე ჩაატარა, რომ ასე ველარ ვიტყვი. ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია ის არის, რომ ამ სეზონში ჩემპიონის ტიტული ძნელი მოსაპოვებელი იქნება“.*

ჩელსი

# რა სჭირს ჩეხს?


პეტრ ჩეხი

კიდევ რამდენ ხანს დაიცავს 29 წლის **პეტრ ჩეხი** „ჩელსის“ კარს? ეს კითხვა „ლურჯების“ 19 წლის მეკარემ გააჩინა — ბელგიელმა **ტიბო კურტუამ** განაცხადა, რომ „სტემფორდ ბრიჯზე“ ჩეხის ჯანმრთელობის ამბავი აეჭვებთ. კურტუამ, რომელიც „ჩელსის“ მადრიდის „ატლეტიკოში“ ჰყავს გაქირავებული, ესპანურ რადიო “ნდა სეროსთვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა:

*„ვიცი, რომ ჩეხს მუხლები და ზურგი აწუხებს. ლონდონელების მეკარეთა მწვრთნელმა მითხრა, რომ ასეთი ჯანმრთელობით ადამიანმა ფეხბურთი უმაღლეს დონეზე შეიძლება დიდხანს ველარც ითამაშოს“.*

„ჩელსიმ“ გასულ ზაფხულს კურტუას სანაცვლოდ „გენკს“ 9,14 მილიონი ევრო გადაუხადა, მაგრამ არ დაიტოვა — „ატლეტიკოს“ მიაქირავა, რომელსაც **დავიდ დე ხეას** „მანჩესტერ იუნაიტედში“ გაშვების შემდეგ გოლკიპერი სჭირდებოდა. ზემოთ ნახსენებ ინტერვიუში კურტუამ დასძინა:

*„ლონდონელებმა ჩემთან დაკავშირებით ასეთი რამ მოიფიქრეს: ორ სეზონს მადრიდში გავატარებ, შემდეგ კი, ერთს ინგლისის რომელიმე გუნდში და მხოლოდ ამის მერე დავბრუნდები „ჩელსიში“. ის ერთი სეზონი, რომელსაც ინგლისში გავატარებ, პრემიერლიგასთან შეჩვევაში დამეხმარება“.*

რასაკვირველია, კურტუას ნათქვამში ისეთი არაფერია, „ჩელსის“ ქომაგები რომ დააფრთხოს. ჩეხს უახლოეს მომავალში არაფერი ემუქრება, მაგრამ მისი და დასავლეთლონდონელთა მომავალი გრძელვადიანი თანამშრომლობის ამბავი კი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. შეგახსენებთ, რომ სწორედ მუხლის ტკივილის გამო გაუცდა სეზონის დასაწყისში ჩეხს სამი კვირა. „ჩელსიში“ გატარებული შვიდი წლის განმავლობაში გამოცდილ მეკარეს მართლაც ბევრი რამ აქვს გადატანილი. ყველაზე საშინელი ხუთი წლის წინ მიღებული ტრავმა იყო, როდესაც „რედინგის“ **სტივენ ჰანტს** შეასკდა და თავის ქალა ისე დაიზიანა, რომ მას მერე დამცავი ქუდით თამაშობს. გარდა ამისა, მის მძიმე ტრავმათაგან გამოსაყოფია მხრის ორი და ზურგის ტრავმები.

ტოტენჰემ ჰოთსპური

# დეზები ბრაიტონელით დაინტერესდნენ

„ტოტენჰემ ჰოტსპური“ იანვარში „ბრაიტონის“ მიაკითხავს და მისგან 19 წლის ცენტრალური მცველის, **ლუის დანკის** ყიდვას შეეცდება. სამშაბათ საღამოს ყმაწვილის თამაშის სანახავად მილუოლს **ჰარი რედნაპის** ერთბაშად ორი ასისტენტი, **ჯოი ჯორდანი** და **კლაივ ალენი** გაემგზავრა. „მილუოლისა“ და „ბრაიტონის“ შეხვედრა 1:1 დასრულდა.

„ჩელსის“ ყოფილი მოთამაშის, ურუგვაელი **გუსტავო პოიეტის** განვრთნილ გუნდში, რომელმაც გასულ სეზონში პირველი ლიგიდან ჩემპიონშიპში გადასვლის უფლება მოიპოვა, დანკმა თავი გამოიჩინა. ინგლისური მედია ამბობს, რომ მცველს მალე 21-წლამდელთა ნაკრებშიც მიიწვევენ. ჟურნალისტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ „სფურზმა“ მისი თამაშის სანახავად ერთბაშად ორი სპეციალისტი მიავლინა, რაც ჩრდილოლონდონელთა დიდ დაინტერესებაზე მიუთითებს. სხვა საქმეა, რომ „ტოტენჰემს“ შესაძლოა კონკურენტები გამოუჩნდნენ. „დეილი მეილმა“ შეიტყო, რომ დანკით, სექტემბერში, „არსენალიც“ დაინტერესდა და მისი წარმომადგენლები სამშაბათს ჩუმად მილუოლის სტადიონზეც ისხდნენ. სხვათა შორის, ტრიბუნაზე „მანჩესტერ სიტის“ სკაუტი **კევინ ჰანტიც** ყოფილა.



ლუის დანკი

მუდმივი პრობლემა

# მათამაშეთ, თორემ წავალ


სალომონ კალუ

26 წლის თავდამსხმელმა სპილოს ძვლის ნაპირიდან, **სალომონ კალუმ** განაცხადა, რომ „ჩელსის“ ერთგული მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩება, თუ ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას მისცემენ. კალუს კონტრაქტს ვადა ამ სეზონის ბოლოს გაუდის და, ბუნებრივია, დღის წესრიგში ახალი ხელშეკრულების გაფორმება-არ გაფორმების საკითხი დადგა. თუ კალუს „ჩელსიში“ დარჩენიდან არაფერი გამოვა, მაშინ მან იანვარშივე უნდა იპოვოს ახალი გუნდი, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ზაფხულში თავისუფალი აგენტი გახდება და დასავლეთლონდონელები ველარ გაყიდიან - დიდძალ ფულს დაკარგავენ. კოტდ'ივუარელი ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაშიც თავიდან სათადარიგოთა სკამზე იჯდა — „ლურჯებმა“ „გენკს“ 5:0 მოუგეს. კალუ მოედანზე 22 წუთით შევიდა და სეზონში თავისი პირველი გოლი გაიტანა. მატჩის შემდეგ ფორვარდმა განაცხადა:

*„მეც ზუსტად ის მინდა, რაც ყველა დანარჩენ ფეხბურთელს - სათამაშო დრო. როგორ უნდა დახვეწო ოსტატობა თუკი ყოველ ტურში სათადარიგოთა სკამზე იჯდები? ამიტომაც თამაში, ოსტატობის ამაღლება და ახალი სიმაღლეების დაპყრობა ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამისათვის ვიბრძვი“.*

„ჩელსიში“ ახალი მწვრთნელის, **ანდრე ვილაშ-ბოაშის** მისვლის შემდეგ, პრემიერლიგაში, კალუმ პირველ და მეორე შეხვედრებში მიიღო მონაწილეობა, ოღონდ ამ ორიდან სასტარტო შემადგენლობაში ერთხელ იყო.

*„ჩვენ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ. იმედი მაქვს, რომ კლუბი თავისთვისაც და ჩემთვისაც საუკეთესო ვარიანტს გამონახავს. ვფიქრობ, კარგ გამოსავალს მივაგნებთ. „ჩელსი“ უკეთესი მომავლისთვის იბრძვის. მეც ჯერ ახალგაზრდა ვარ და დარწმუნებული ვარ, რომ „სტემფორდ ბრიჯზე“ მომავალი მაქვს“* — თქვა კოტ დ'ივუარელმა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

### ვარსკვლავი



დავიდ ტრეზეგე დღემდე იუვენტუსის დიდი გულშემატკივარია

**გთავაზობთ ინტერვიუს დავიდ ტრეზეგესთან. საფრანგეთის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი ამჟამად არაბთა გაერთიანებულ საამიროებშია და "ბანი იასის" ღირსებას იცავს. მის ცხოვრებაში სიყვარულის ყველაზე დიდი ისტორია "იუვენტუსში" დაიწერა. დავიდი დღემდე ამ კლუბის ყველაზე დიდი გულშემატკივარია. მაშ ასე...**

**- "იუვე" და მისი მაისურა. რას ნიშნავს ეს დავიდ ტრეზეგესთვის?**

- ეს სიყვარულის დიდი ისტორიაა. "იუვე" ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, რადგან ამ კლუბში ცხოვრების 10 ულამაზესი წელიწადი გავატარე.

**- როდის გაიგეთ, რომ "იუვენტუსში" გადადიოდით?**

- მახსოვს, რომ ყველაფერი ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის დაწყებამდე გადაწყდა. ლუჩანო მოჯის ჩემი სჯეროდა, მაქსიმალურად მიჭერდა მხარს და ადაპტაციაც არ გამჭირვებია. ტურინში თბილად მიმიღეს. ამ კლუბთან ერთად ბევრს მივაღწიე.

**- როცა იტალიაში გადახვედით, ფილიპო ინძაგისთან გიწევდათ ბრძოლა ძირითადში მოსახვედრად. მისი წასვლის შემდეგ ეს ამოცანა გამარტივდა.**

- ძალიან ბევრს ვშრომობდი, ყველაფერს სერიოზულად ვეკიდებოდი და როცა მოედანზე გავდიოდი, ბოლომდე ვიხარჯებოდი, რათა ყველა დარწმუნებულიყო, რომ ჩემი ნდობა შეიძლებოდა. ინძაგის "მილანში" წასვლის შემდეგ ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, ფსონს ჩემზე ჩამოსულიყო, რისთვისაც მათი მადლობელი ვარ.

**- "ბიანკონერის" შემადგენლობაში მეორე სეზონში, უბრალოდ, შეუჩერებელი იყავით, 24 გოლი გაიტანეთ. რაში იყო საიდუმლო?**

- ყველასთვის, ვისაც ისეთ რთულ ჩემპიონატში, როგორიც იტალიის სერია A-ა, წარმატების მიღწევა სურს, ერთადერთი საიდუმლო დისციპლინა და ბევრი მუშაობაა.

**- 2002 წლის 5 მაისს "იუვენტუსმა" "უდინეზე" დაამარცხა, "ინტერმა" "ლაციოსთან" წააგო და თქვენ იტალიის ჩემპიონები გახდით. გახსოვთ ეს დღე?**

- ეს ფანტასტიკა იყო. ჩვენ სამი ქულა უნდა აგვეღო. სხვაზე არც არაფერზე ვფიქრობდით და ჩვენ გავიმარჯვეთ. შემდეგ კი... უბრალოდ, დაუჯერებელი იყო ის, რაც მოხდა.

**- 2004-დან 2006-მდე "იუვენტუსში" ბევრი ცვლილება მოხდა. ახალი მწვრთნელი, ახალი ფეხბურთელები. კაპელოს გუნდზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

- კაპელოს დროს ძალიან ძლიერი შემადგენლობა გვყავდა. გუნდში მოვიდნენ პატრიკ ვიეირა, ფაბიო კანავარო, ზლატან იბრაჰიმოვიჩი. ჩემპიონატში დამაჯერებლად ვითამაშეთ, ჩემპიონთა ლიგაში კი - ვერა. სამწუხაროა...

**- 2004/05 წლების სეზონში "მილანთან" "სან სიროზე" დაპირისპირება გადამწყვეტი გამოდგა ჩემპიონის ბედის გასარკვევად. დელ პიეროს მაკრატელა პასის წყალობით ტრეზეგე გაურბის მალდინის და გააქვს გოლი, რომელსაც ბიანკონერები ვერასოდეს დაივიწყებენ.**

- ეს იყო ორი უდიდესი გუნდის ურთულესი მატჩი.

**- ფაბიო კაპელოსა და მარჩელო ლიპის შედარება თუ შეგიძლიათ?**

- ლიპიმ "იუვეს" ისტორიაში უზარმაზარი კვალი დატოვა. ამის თქმა შეიძლება კაპელოზეც. სინიორ მარჩელოს მართლა კარგი შემადგენლობა ჰყავდა. მისი მთავარი უპირატესობა გუნდურობა იყო. კაპელოს კი, უბრალოდ, უკეთესი ფეხბურთელები ჰყავდა. ვის ავირჩევდი? ვერ გეტყვით. უპირატესობას ვერც ერთს მივანიჭებ. ვიმარჯვებდი და გოლები გამქონდა ორივე სპეციალისტის დროს. ისინი საუკეთესო მწვრთნელებს შორის არიან ფეხბურთის ისტორიაში.

**- 2006 წელს კალჩოპოლის სკანდალი აფეთქდა. სხვებმა კლუბი დატოვეს, თქვენ "იუვენტუსში" დარჩენა გადაწყვიტეთ. შეგიძლიათ თქვენი არჩევანი ახსნათ?**

- ჯერ იმის თქმა მინდა, რომ ყველას არჩევანს პატივს ვცემ. იმ დღეებში კლუბს დიდი ფინანსური პრობლემებიც დაატყდა თავს და ზოგიერთი ფეხბურთელი თავად კლუბმა გაყიდა. ისინი კი ვინც დავრჩით, ვიწვოდით სურვილით, "იუვე" რაც შეიძლებოდა მალე დაგვებრუნებინა ელიტაში. ალბათ ყველაზე მეტად სწორედ მაშინ ვიგრძენი, რამდენად მიყვარდა ეს კლუბი. მე, დელ პიერო, ნედვედი, ბუფონი და კამორანეზი ვხვდებოდით, რომ ვალდებულნი ვიყავით, ეს გაგვეკეთებინა.

**- თქვენ საუკეთესო თავდამსხმელების გვერდით გითამაშიათ. ვისთან ერთად უფრო კომფორტული იყო ცხოვრება – დელ პიეროს, ინძაგის, იბრაჰიმოვიჩის?**

- ულაპარაკოდ ალექს დელ პიეროსი. ჩვენ ორმა "ბიანკონერის" ისტორიის ძალიან ბევრი ფურცელი დავწერეთ.

**- ვინ იყო თქვენი საუკეთესო მეგობარი "იუვენტუსში"?**

- მაურო კამორანეზი.

**- "ლა ვეკია სენიორაში" ფრანგები ყოველთვის ბრწყინავდნენ. პლატინი, დეშამი, ზიდანი, ტრეზეგე...**

- რა შეიძლება ითქვას, ეს კლუბის პოლიტიკაა. "მილანი" ერთი პერიოდი ბრაზილიელებს ყიდულობდა, "იუვე" ფრანგებზე აკეთებდა აქცენტს. ალბათ იმიტომ, რომ ანიელების ოჯახს სერიოზული კავშირები აქვს საფრანგეთთან. თავის დროზე მათ ეს ძალიან დაეხმარა პლატინის გადაბირებაში.

**- ყველაზე მეტად რომელი გუნდის წინააღმდეგ გიყვარდათ თამაში?**

- იტალიაში ერთი პერიოდი ასეთი "მილანი" იყო, შემდეგ "ინტერი" გახდა. ევროპაში ალბათ "რეალის". მათთან დაპირისპირება ყოველთვის რაღაც განსაკუთრებული იყო.

**- ზიდანისა და ნედვედის გვერდით გითამაშიათ. რას გვეტყვით მათზე?**

- მათთან ერთად მოედანზე ყოფნა ფანტასტიკა იყო. ისინი ლეგენდები არიან. ორივეს თავისი სტილი ჰქონდა და რა თქმა უნდა ორივემ ალალად დაიმსახურა ოქროს ბურთი.

**- ახალ "იუვენტუსში" თქვენი ვარსკვლავი დიდების დარბაზში კიაფობს კლუბის სხვა ლეგენდებთან ერთად. როგორი ურთიერთობა გქონდათ გულშემატკივრებთან?**

- ჩვენ ბევრი რამ გვაერთიანებდა. ტიფოზები ჩემთან ყოველთვის ახლოს იყვნენ, რისთვისაც მათი მადლიერი ვარ.

**- გულშემატკივრებმა კლუბს თქვენი გამოსათხოვარი მატჩის ორგანიზება სთხოვეს. რას ფიქრობთ ამაზე?**

- ვნახოთ, მაგრამ ჯერ კიდევ ვთამაშობ ფეხბურთს. ამ ინიციატივისთვის კი მათ მადლობას მოვახსენებ.

### ლიონი

# ლისანდრო დაბრუნდა


ლისანდრო ლოპესი

"ლიონის" 28 წლის არგენტინელი თავდამსხმელი **ლისანდრო ლოპესი** ლამის ორთვიანი მკურნალობის შემდეგ უბრუნდება მინდორსო, - წერს "ეკიპი". შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელმა ტრავმა 27 აგვისტოს ლიგა 1-ის მე-4 ტურში "მონპელიესთან" მატჩში მიიღო. მართალია მაშინ მან შეძლო და შეხვედრა ჩაამთავრა, მაგრამ მეორე დღეს ფეხმა ის უკვე ძალიან შეაწუხა. ოთხშაბათს, 19 ოქტომბერს ლისანდრომ პირველად ივარჯიშა ძირითად გუნდთან ერთად და პრობლემა არ შექმნია. "ლილის" წინააღმდეგ მე-11 ტურის მატჩში მისი ძირითადში გამოჩენა მოსალოდნელი არ არის, მაგრამ "ლომების" თავკაცი **რემი გარდი** მას ალბათ განაცხადში მაინც შეიყვანს. სასტარტოს დაუბრუნდება ასევე **მაქსიმ გონალონი,** ვინც "რეალთან" ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში გუნდს ძალიან აკლდა.

რახან "ლილი"-"ლიონის" მატჩი ვახსენეთ, აქვე გეტყვით, რომ ქვეყნის მოქმედ ჩემპიონებს 28 წლის ცენტრალური მცველი **მარკო ბაშა** არ ეყოლებათ. ჩერნოგორიელმა ჩემპიონთა ლიგაში "ინტერთან" მატჩისას ტრავმა მიიღო, როცა შტანგას უნებურად შეასკდა. მას ფეხზე უზარმაზარი სისხლჩაქცევა აქვს და ექიმების განცხადებით, მინდორზე მისი გამოჩენის შანსი მიზერულია.

### ევრო 2012

# არა თამბაქოს

ევრო 2012 თამბაქოსგან თავისუფალ ზონად გამოცხადდა. უეფამ ევროპის ჩემპიონატის მასპინძელ არენებზე სიგარეტის ყოველგვარი რეკლამა, გაყიდვა და მოხმარებაც კი კატეგორიულად აკრძალა. *"ჩვენი გადაწყვეტილება მიმართულია მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის ბრძოლისკენ. ის ნამდვილად დაეხმარება ჩემპიონატის აბსოლუტურად ყველა მონაწილეს, გულშემატკივარს, თავი უკეთ იგრძნოს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ჯანსაღი ცხოვრების მაღალ სტანდარტებს, რაშიც თამბაქოს მოხმარება ნამდვილად ხელს შეგვიშლიდა,"* – განაცხადა **მიშელ პლატინიმ.**




თავის მხრივ, ევროკავშირის კომისარმა სპორტის საკითხებში **ანდრულა ვასილიუმ** აღფრთოვანება გამოხატა უეფას ინიციატივით: *"ევრო 2012 გულშემატკივარს მაგნიტივით მიიზიდავს როგორც სტადიონებზე, ისე ტელეეკრანებთან. ამიტომ ეს გადაწყვეტილება აბსოლუტურად გამართლებულია. ამას გარდა მოწევის სრული აკრძალვა სერიოზული სიგნალი იქნება და ხელს შეუწყობს ახალი სტანდარტების დამკვიდრებას ნებისმიერ სხვა კონტინენტზე გასამართ სპორტულ შეჯიბრებებზე".*

### ამბები



## ფეიენოორდი მარბელიაში

"ფეიენოორდის" მთავარმა მწვრთნელმა უკვე გადაწყვიტა, თუ სად ჯობია ზამთრის არდადეგების გატარება - **რონალდ კუმანმა** უპირატესობა ესპანურ მარბელიას მიანიჭა. ამის შესახებ კლუბის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება. გეგმა ასეთია: პირველი წრის დასრულების შემდეგ ("ფეიეს" ბოლო მატჩი 22 დეკემბერს უნევს) გუნდი 10-12 დღით დაისვენებს, რის შემდეგაც ჯერ საკუთარ ბაზაზე შეიკრიბება, ესპანეთში კი 9 იანვარს გაფრინდება, სადაც სულ რაღაც 6 დღეს გაატარებს. ამის შემდეგ კუმანის გუნდი ისევ როტერდამში დაბრუნდება. ყველა საკონტროლო შეხვედრის ბედი ჯერ არ გარკვეულა. თუმცა უკვე ცნობილია, რომ "ფეიე" "ლევერკუზენსა" და "ბაზელს" შეხვდება. ფეხბურთელების კონდიციებიდან გამომდინარე, შეიძლება კიდევ 2 მატჩი დაინიშნოს. *"ზამთრის შეკრების მოსაწყობად რამდენიმე ვარიანტს განვიხილავდით. ერთ-ერთი მათ შორის ჩრდილო აფრიკაში იყო, თუმცა საბოლოოდ ისევ მარბელიას მივანიჭეთ უპირატესობა, რადგან აქ არაერთხელ ვყოფილვართ და ვიცით, რომ ფანტასტიკური პირობებია,"* – განაცხადა კლუბის სპორტულმა დირექტორმა **მარტინ ვან გეელმა.**

## დისკვალიფიკაცია შვეიცარიაში

შვეიცარიის საფეხბურთო ლიგამ "სიონის" 6 ფეხბურთელს 5-5 მატჩით მიუსაჯა დისკვალიფიკაცია. მიზეზი გახდა ის, რომ მათ სამოქალაქო სასამართლოს მიმართეს, ვისგანაც შვეიცარიის ჩემპიონატის მორიგ ტურში თამაშის ნებართვას ითხოვდნენ. ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა დაადგინა, რომ ფეხბურთელებმა მას მერე, რაც უშუალოდ ლიგისგან ასეთი უფლება ვერ მიიღეს, რამდენიმე არასპორტულ ორგანოს მიმართეს მსგავსი საჩივრით.

## ჰოლანდიაც პოლონეთში




ორიოდე დღის წინ ვწერდით, რომ საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ლორან ბლანი** პოლონეთში იმყოფებოდა, რათა ნაკრებისთვის ევროპის ჩემპიონატის დროს ბაზა და სასტუმრო შეერჩია. ევროპირველობის დროს ამ ქვეყანაშივე აპირებს "დასახლებას" გერმანიის ნაკრებიც. კიდევ ერთი გრანდი, რომელმაც არჩევანი პოლონეთზე გააკეთა ჰოლანდიაა, "ნარინჯისფრები" კრაკოვში იცხოვრებენ. *"ჩვენ "ვისლას" სტადიონზე ვივარჯიშებთ, სადაც მშვენიერი გაზონია. მთლიანად ინფრაქსტრუქტურაც ძალიან კარგია. ამასთან, თავად ქალაქიც ლამაზია, სადაც ცხოვრება მართლა მშვენიერი იქნება. უმნიშვნელოვანესია, რომ ფეხბურთელებს ბაზიდან გარეთ გასვლისას უფრო მეტი თავისუფლება ექნებათ, ვიდრე ეს სამხრეთ აფრიკაში იყო,"* – განუცხადა "ეკიპს" ჰოლანდიელთა თავკაცმა **ბერტ ვან მარვიიკმა.**

## მკვლელობა კოლუმბიაში

კოლუმბიის მე-2 ლიგის გუნდ "ალიან აერბინის" ფეხბურთელი **ედისონ ჩარა** ოთხშაბათს ქალაქ პუერტო ტეხადაში ბანქოს თამაშისას მას მერე მოკლეს, რაც მეორე მოთამაშესთან უსიამოვნო კამათი მოუვიდა. ბედშავს ტყვია პირდაპირ შუბლში მოხვდა. პირველ გასროლას სხვა დამსწრეთაგანაც მოჰყვა იარაღის ჟღარუნი. როგორც ერთ-ერთი კოლუმბიური წყარო ირწმუნება, ამ ინციდენტისას კიდევ 4 ადამიანი დაზარალდა. არის თუ არა კიდევ მსხვერპლი, ამას დაზუსტებით ჯერ ვერ ამბობენ, რადგან ამბის შემსწრე დაჭრილებიც და გადარჩენილებიც უგზოუკვლოდ მიიმალნენ.

## დოპინგი ჩეხეთში

ჩეხური "ვიქტორია ჟიჟკოვის" 24 წლის ნახევარმცველი **პერტ ზაპალაჩის** დოპინგსინჯმა სისხლში კლენბუტეროლის კვალი აღმოაჩინა. "ასოშიეიტედ პრესის" მტკიცებით, ზაპალაჩს ვერაფერი უშველის. მას ფეხბურთიდან 2 წლით ჩამოშორება ელის.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● პოზიცია

# კასანო: მე ფეხბურთის ჯამბაზი ვარ

## მას უბრალოდ არ შეუძლია იყოს სერიოზული...



ანტონიო კასანო ჩვეულ სტიქიაში

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით, რომ კარიერის დასრულების შესახებ „მილანის" ერთბაშად ორმა ფეხბურთელმა გააკეთა განცხადება, რამაც საფეხბურთო იტალია მეტად გააკვირვა. გააკვირვა იმიტომ, რომ ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ანტონიო კასანო იმ ასაკში არ არიან, რომ ჯერ ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება განიზრახონ. მოგვიანებით, ერთმაც და მეორემაც დააზუსტეს, რომ კარიერის დასრულებას არა ამ სეზონის, არამედ ორი-სამი წლის შემდეგ აპირებენ. ანუ, მილანელთათვის პრობლემა ნაწილობრივ მოიხსნა, მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ ზლატანს და ანტონიოს ფეხბურთის თამაში სიამოვნებას აღარ ანიჭებთ? ასე შეიძლება მათმა მარგი ქმედების კოეფიციენტმაც იკლოს და ისე ველარ იასპარეზონ, როგორც თუნდაც დღეს თამაშობენ. იბრასთვის სხვა დროს მოვიცალით, დღეს კი ანტონიო კასანოს უნდა მოვუსმინოთ, რომელიც „გაძეტა დელო სპორტს" სწორედ ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე ესაუბრა.

### კარიერის დასრულება

როგორც ხშირად ხდება, ჟურნალისტებმა კიდევ უფრო გაამძაფრეს ჩემი კომენტარი და დაწერეს, რომ კარიერის დასრულებას სეზონის ბოლოს ვაპირებ. ასე ნამდვილად არ არის და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მინიმუმ ორი-სამი სეზონი კიდევ გავაგორებ ბურთს. რაც შეეხება ფეხბურთით გადაღლას, ნაწილობრივ ეს მართლაც ასეა და დღესაც შემიძლია გითხრათ, რომ თამაშით ისეთ სიამოვნებას ველარ ვიღებ, როგორც წინა წლებში.

საერთოდ, დროის სვლასთან ერთად, ფეხბურთი სულ უფრო და უფრო პრაგმატული ხდება, მე კი მას დღემდე ისე ვუყურებ, როგორც სპორტის ერთ-ერთ, თუნდაც უპირველეს სახეობას, რომლითაც სიამოვნება უნდა მიიღოს როგორც მოთამაშემ, ისე გულშემატკივარმა. სიამოვნება უნდა მიიღოს თამაშით, თამაშის ცქერით და არა გამარჯვებით ნებისმიერ ფასად. ბავშვობიდან ფეხბურთში ყველაზე მეტად ის მომწონდა, რომ ხალხის გართობა, გამხიარულება შემეძლო; ბევრი ჯამბაზსაც კი მეძახდა და ეს სულაც არ მწყინდა - დიახ, მე ფეხბურთის ჯამბაზი ვარ, რომელსაც ხალხის გართობის საშუალებას დიდი ხანია აღარ აძლევენ. მე უბრალოდ არ შემიძლია ვიყო სერიოზული და სწორედ ამიტომ, ფეხბურთის თამაში სულ უფრო და უფრო ნაკლებად მსიამოვნებს.

### დამნაშავე

როდესაც ვამბობ, რომ ჯამბაზობის საშუალებას არ მაძლევენ, არ იფიქროთ ამაში მთავარ მწვრთნელს, მასიმილიანო ალეგრის ვადანაშაულებდე. მას დადებით შედეგს სთხოვენ და ბუნებრივია, რომ მთავარ ამოცანად სამი ქულის მოპოვება აქვს დასახული. ის შესანიშნავი სპეციალისტია, რომელიც ძალიან კარგად ერკვევა საფეხბურთო ნიუანსებში და ვფიქრობ, რომ „მილანი" მასთან ერთად არაერთ ტროფეის მოიგებს.

დადებითი შედეგი თანამედროვე ფეხბურთის უმთავრესი მოთხოვნა, დაკვეთაა და ყველანი ამის გარშემო ვტრიალებთ. ვინ, ან რა არის ამაში დამნაშავე? - ალბათ ის, რომ ფეხბურთი გარკვეულ პერიოდში გასცდა სპორტის ფარგლებს და ბევრად უფრო მეტი გახდა, ვიდრე უბრალოდ თამაში, გამარჯვებას განუზომლად დიდი ფასი დაედო, ამან კი ყველაფერი თავდაყირა დააყენა - ეს არის და ეს...

### გამოსავალი

რადგან ასე განვითარდა პროცესები, ალბათ ასეც უნდა მომხდარიყო და კასანოს აზრს ამ შემთხვევაში მეათეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. როგორც ერთხელ უკვე გითხარით, ორ-სამ წელიწადში კარიერას დავასრულებ და შემდეგ ჩემს მოსაზრებას არც არავინ მიაქცევს ყურადღებას. ასე რომ, გამოსავალი არ უნდა ვეძებოთ - სპორტის უპირველესი სახეობა ვითარდება, ახალი თაობები კი სულ უფრო და უფრო კარგად აულებენ ალღოს პრაგმატული ფეხბურთის პრინციპებს, მათ გაცილებით კარგად გამოუვათ, იყვნენ სერიოზულები.

● პარმა

# ჯოვინკო ზამთარში არ წავა




სებასტიან ჯოვინკო

**სებასტიან ჯოვინკო** რომ მიმდინარე სეზონში შესანიშნავად ასპარეზობს, ამის შესახებ არაერთხელ გაგვიმახვილებია ყურადღება. „იუვენტუსიდან" „პარმაში" გადასული შემტევი ემილიაში საუკეთესო კუთხით წარმოჩინდა, გოლს გოლზე იტანს და ისედაც, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი ძალიან მაღალი გახლავთ. სებას სატრანსფერო უფლებების ნახევარს დღემდე „იუვენტუსი" ფლობს და გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჯოვინკოს დაბრუნების სურვილი უკვე გამოთქვა ტურინელთა მთავარმა მწვრთნელმა **ანტონიო კონტემ**. მუსირებს აზრი, რომ სება უკვე ზამთარში დატოვებს „პარმას" და კვლავ შავთეთრ ამუნიციას მოირგებს. ეს ინფორმაცია ემილიური კლუბის გენერალურმა დირექტორმა **პიეტრო ლეონარდიმ** კატეგორიულად უარყო:

*„გადაწყვეტილი ამბავია, რომ ჯოვინკო სეზონის ბოლომდე „პარმას" ღირსებას დაიცავს, აი შემდეგ კი დავსხდებით „იუვენტუსის" მესვეურებთან ერთად და მის ბედს გადავწყვეტთ. ბუნებრივია, მთავარ სიტყვას თავად ფეხბურთელი იტყვის და გავიგებთ, ექნება თუ არა „პარმაში" დარჩენის სურვილი. თუმცა, ეს ყველაფერი მხოლოდ ზაფხულში მოხდება და არა ამ ზამთარს, როგორც ამას პრესაში წერენ".*

● მოსაზრება



# მოჯი: დელ პიერო ნაწყენია

## მაროტა: მოჯი იტყუება

წინა ნომერში გაცნობეთ იმის შესახებ, რომ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ, **ალესანდრო დელ პიერო** „იუვენტუსს" დატოვებს და ალბათ კარიერასაც დაასრულებს. თუ არა და, როგორც თავად განაცხადა, სხვა ქვეყანაში გადაბარგდება და ძალებს ახალ ჩემპიონატში მოსინჯავს. ერთხელ ისიც კი განაცხადა, სიამოვნებით ვითამაშებდი ამერიკაში, ან იაპონიაშიო. ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს დელ პიერო, დღეს კი **ლუჩანო მოჯის** უნდა მოვუსმინოთ, რომელმაც „იუვენტუსის" პრეზიდენტი **ანდრეა ანიელი** მკაცრად გააკრიტიკა. საქმე იმაშია, რომ სწორედ ანიელიმ აუწყა საზოგადოებას, ალესანდროსთვის ეს სეზონი უკანასკნელი იქნება „იუვენტუსის" შემადგენლობაშიო - მოვუსმინოთ მოჯის და ყველაფერი ცხადი გახდება:

*„ვერ გეტყვით, ვინ უკარნახა ანიელის, ეს განცხადება საჯაროდ გაეკეთებინა, მაგრამ საშინლად რომ მოიქცა, ამას წყალი არ გაუვა. მე ვესაუბრე დელ პიეროს და მითხრა, რომ ეს ცნობა მისთვის სიახლე იყო, რამაც ძალიან გაანაწყენა. ასე შეიძლება მოტივაცია დაუკარგო ფეხბურთელს, რომელიც დღემდე ერთ-ერთი საუკეთესოა შემადგენლობაში. ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ უშვებენ ალეს, რადგან მას ჯერ კიდევ ბევრი პრობლემის შექმნა შეუძლია მეტოქე მცველთათვის. ასეც რომ არ იყოს, მისი დამსახურების ფეხბურთელს ასეთი მნიშვნელოვანი სიახლე პრესის ფურცლებიდან არ უნდა გაეგო. ანიელი კიდევ ერთხელ მოიქცა ისე, როგორც დილეტანტი, რაც ძალიან სამწუხაროა".*

მოჯის განცხადებას „იუვენტუსის" სპორტული დირექტორი **ჯუზეპე მაროტა** გამოეხმაურა და მოჯის მატყუარა უწოდა - მოვუსმინოთ სენიორ ჯუზეპეს: *„ანიელიმ გარკვევით თქვა, რომ დელ პიერო ყველაფრის საქმის კურსშია და კარგად იცის იმის შესახებ, რომ მიმდინარე სეზონი მისთვის ბოლოა „იუვენტუსის" შემადგენლობაში. მას ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს უნდა დაესრულებინა „იუვეში" ასპარეზობა, მაგრამ ახალ სტადიონზე ასპარეზობა სურდა და კონტრაქტის ერთი წლით გახანგრძლივება გვთხოვა. მისი დამსახურების ფეხბურთელს უარს არავინ ეტყოდა და ბუნებრივია, რომ კონტრაქტი გახანგრძლივდა. თუმცა, ალექსი უკვე 36 წლის გახლავთ, ასაკს კი თავისი მიაქვს და თანამშრომლობის კიდევ ერთხელ გახანგრძლივება უკვე გამორიცხულია. ერთი სიტყვით, მოჯის ბრალდება სრული აბსურდია, შეგიძლიათ თავად ალეს შეეხმიანოთ და ამაში ყველანი დარწმუნდებით".*

ბუნებრივია, ჟურნალისტები შეეცადნენ დელ პიეროსთან დაკავშირებას, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ფაქტია, რომ ან მაროტა იტყუება, ან მოჯი - თუმცა, თუ ორივეს რეპუტაციას გავითვალისწინებთ, წესით, „სენიორ კალჩოპოლი" უნდა ცრუობდეს.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

Made in GERMANY
REHAU
Unlimited Polymer Solutions
ენერგოდამზოგავი ფანჯრები
დაიცავს სითბოს. დაგიზოგავთ ფულს.




შეიძინეთ ფანჯრები „ენერგოკრედიტით" და დაიბრუნეთ ღირებულების 15% უკან
ა-3ე ლუქსი რეჰაუს ლიცენზირებული მწარმოებელი
კაკელიძის 2 245 02 05 www. fanjara.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

# გაიტანეთ გერმანიის ჩემპიონი... გაიტანეთ!

## დორტმუნდი ბუნდესლიგას არცხვენს, სამაგიეროდ, ევროპამ კვიპროსის ჩემპიონი აღმოაჩინა

**ფერნანდო ტორესმა „ჩელსის" ფორმით ბოლოს და ბოლოს გაილაღა; „ბარსელონამ" და „მილანმა" საშინაო დავალებები მთლად ხუთიანზე ვერა, მაგრამ კარგად შეასრულეს; „არსენალმა" კი მარსელში ბოლო წუთზე, ვენგერის სწორი და დროული გადაწყვეტილების წყალობით მოიგო.**

**განცდები და რეაქციები ჩემპიონთა ლიგის ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვაში:**

**E ჯგუფი**

**ლევერკუზენი-ვალენსია 2:1**

**გოლები:** 0:1 ჟონასი (24), 1:1 შიურლე (52), 2:1 სემი (56)

**ბურთის ფლობა:** 40%-60%; **დარტყმა:** 13-17; **კუთხურები:** 4-7

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელები:** ბერნდ ლენო (ლევერკუზენი)

„ბაი არენაზე" ორი, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ტაიმი ვიხილეთ. პირველ ნახევარში „ვალენსია" აშკარად დომინირებდა და გოლიც ასი პროცენტით დაიმსახურა, რადგან გერმანელები თითქმის ყველა ასპექტში, განსაკუთრებით კი დაცვაში მოიკოჭლებდნენ. შესვენებაზე „ბაიერის" მთავარმა მწვრთნელმა **რობინ დუტმა** ლოგიკური გადაწყვეტილება მიიღო და უსუსტესი, ძალიან აჭრილი ცენტრალური მცველის, **რაინარტცის** ნაცვლად მოედანზე **მანუელ ფრიდრიხი** შეუშვა. ამ უკანასკნელმა კი გერმანიის ვიცე-ჩემპიონის დაცვის ხაზი მეორე ტაიმის პირველივე წუთიდან დაასტაბილურა.

დაცვაში გამოსწორებას შეტევაში გააქტიურებაც დაემატა და ზუსტად 190 წამში გერმანელებმა თამაში თავიანთ სასარგებლოდ შეატრიალეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ **ანდრე შიურლეს** და **სიდნის სემის** გოლებმა დუტი უმძიმესი ზეწოლისგან გაათავისუფლეს – ხომ იცით, „ლევერკუზენმა" ეს სეზონი ცუდად დაიწყო და ზაფხულში დანიშნული რობინი ფაქტობრივად ჩემოდნებზე ზის. უფრო სწორად, იჯდა. ამრიგად, მეორე ადგილისთვის ბრძოლაში „ლევერკუზენმა" მთავარი კონკურენტის დამარცხებით მერვედფინალისკენ საკმაოდ დიდი ნაბიჯი გადადგა. საკმარისია, „ფარმაცევტებმა" მომდევნო ტურში „მესტალიაზე" არ წააგონ და „ვალენსიასთან" 4-ქულიანი უპირატესობა შეინარჩუნონ, რომ ჯგუფიდან გასვლა თეორიულად გარანტირებული ექნებათ.

**ჩელსი-გენკი 5:0**

**გოლები:** 1:0 მეირელეში (8), 2:0 ტორესი (11), 3:0 ტორესი (27), 4:0 ივანოვიჩი (42), 5:0 კალუ (73)

**ბურთის ფლობა:** 61%39%; **დარტყმა:** 28-4; **კუთხურები:** 5-4

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** რაულ მეირელეში (ჩელსი)

ბელგიელები ლონდონიდან ხელცარიელები რომ გაბრუნდებოდნენ, ამაზე ბევრი ჩავიდოდა ფსონს, ასეთი ანგარიშითა და მით უმეტეს თამაშით შერცხვენა კი, პირდაპირ ვთქვათ, ჩემპიონთა ლიგას არ უხდება. „ჩელსი" პირველი წუთიდან ბომბავდა „გენკს" და ერთი მხრივ **რაულ მეირელეშის**, მეორე მხრივ კი **ფერნანდო ტორესის** დამსახურება გახლდათ ის, რომ მატჩის ბედი შესვენებამდე გადაწყდა. მეორე ტაიმიც იგივე სცენარით განვითარდა: „ჩელსი" უტევდა და მომენტს მომენტზე ქმნიდა, „გენკი" კი თავს იცავდა – როგორც შეეძლო...

*„მაქსიმალური კონცენტრაციით ვითამაშეთ და ამიტომაც მოვიგეთ ასეთი ანგარიშით. ვწუხვარ, რომ ტორესმა მესამე გოლი ვერ გაიტანა,"* - ეს **პეტრ ჩეხის** სიტყვებია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 8-1 | 7 |
| 2. ლევერკუზენი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 3. ვალენსია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 4. გენკი | 3 | 0 | 2 | 2 | 0-7 | 1 |

**F ჯგუფი**

**ოლიმპიაკოსი-ბორუსია (დ) 3:1**

**გოლები:** 1:0 ჰოლებასი (8), 1:1 ლევანდოვსკი (26), 2:1 ჯებური (40), 3:1 მოდესტო (78)

**ბურთის ფლობა:** 45%-55%; **დარტყმა:** 9-9; **კუთხურები:** 3-3

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** კევინ მირალიაში (ოლიმპიაკოსი)

ალალად ვთქვათ: დორტმუნდის „ბორუსიასგან" ასეთ უსუსურობას არ ველოდით - გერმანიის ჩემპიონმა ჯგუფური ეტაპის პირველ წრეში ბუნდესლიგა შეარცხვინა! თუკი „არსენალთან" საკუთარ მოედანზე მიღწეული ფრე ნორმალურ შედეგად ჩაითვალა, მეორე ტურში მარსელში განცდილი კრახი (0:3) უკვე ცუდის ნიშანი იყო, მაგრამ დორტმუნდელებმა „ველოდრომზე" კარგად ითამაშეს და BVB-ს ფანებსაც ამიტომ ჰქონდათ იმედი, რომ საქმე არც ისე ცუდად იყო, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. აი, სამშაბათს კი, დორტმუნდელთა იმედები ფაქტობრივად დასამარდა. მართალია, „ბორუსიას" ჯერ კიდევ აქვს ჯგუფიდან გასვლის თეორიული შანსი, მაგრამ ეს უკვე უდიდესი წარუმატებლობაა.

ისევე, როგორც მარსელში, დორტმუნდელებმა პირეოსშიც ძალიან ბევრი, უფრო სწორად, უფრო მეტი ინდივიდუალური შეცდომა დაუშვეს. მაგალითად, პირველი გოლის დროს **მატს ჰუმელსი** და **მარსელ შმელცერი** გამოიყურებოდნენ სამარცხვინოდ, მეორე გოლის დროს **ნევენ სუბოტიჩი, რომან ვაიდენფელერი** და ისევ ჰუმელსი შეცდნენ, მესამე გოლის მომენტში კი შმელცერმა დაუშვა მეორე სერიოზული და სავალალო შეცდომა. მოკლედ, ამდენი შეცდომის ფონზე გერმანიის ჩემპიონს ჩემპიონთა ლიგაში არაფერი ესაქმება. ეს ყველაფერი მარტო გამოუცდელობის ბრალი არ უნდა იყოს...

**მარსელი-არსენალი 0:1**

**გოლები:** 0:1 რემსი (92)

**ბურთის ფლობა:** 46%-54%; **დარტყმა:** 8-7; **კუთხურები:** 1-9

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** სტივ მანდანდა (მარსელი)

თამაში ისე დაიწყო და ისე გაგრძელდა, რომ ძალიან დიდხანს ასდიოდა 0:0-ის სუნი და თუ საბოლოოდ „არსენალმა" მაინც მოახერხა გამარჯვების გოლის გატანა, ეს ლონდონელთა თავკაც **არსენ ვენგერის** დამსახურებაა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შესანიშნავი ყნოსვა აქვს: ვენგერმა აბსოლუტურად უსარგებლო **ანდრეი არშავინის** ნაცვლად, 78-ე წუთზე მოედანზე **აარონ რემსი** შეუშვა, 92-ე წუთზე გასული ერთადერთი გოლი სწორედ ამ უკანასკნელის ანგარიშზეა.

ის ერთადერთი ლონდონელი გამოდგა, რომელმაც **სტივ მანდანდას** კარში გოლის გატანა მოახერხა. მანამდე, „მეთოფეების" სხვადასხვანაირი დარტყმები, კუთხურები, ჯარიმები, თავური დარტყმები თუ ჩაწოდებები მანდანდას ნადავლი ხდებოდა. ველოდრომელთა მეკარე მხოლოდ მე-20 წუთზე აიჭრა, მაგრამ მაშინ ბურთი კარის ხაზიდან **სულეიმან დიავარამ** გამოიტანა. ამრიგად, სამი ტურის შემდეგ, „არსენალი" ამ ჯგუფს 7 ქულით ლიდერობს და გადაჭარბებული ნამდვილად არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ვენგერს უკვე შეუძლია, მერვედფინალზე იფიქროს.

*„მატჩის წინ ჩემი გუნდის მცველებს აკრიტიკებდნენ და იმედი მაქვს, ამ შეხვედრის შემდეგ მათი კრიტიკა შეწყდება. ძალიან კარგად ვითამაშეთ და ჩვენი გამარჯვება დამსახურებულია,"* - განაცხადა ვენგერმა საფინალო სასტვენის შემდეგ.



ჰოლებასის გოლი დორტმუნდელთა კარში

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 2. მარსელი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-1 | 6 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 3 |
| 4. ბორუსია (დ) | 3 | 0 | 1 | 2 | 2-7 | 1 |

**G ჯგუფი**

**პორტუ-აპოელ 1:1**

**გოლები:** 1:0 ჰალკი (13), 1:1 აილტონი (19)

**ბურთის ფლობა:** 63%-37%; **დარტყმა:** 23-7; **კუთხურები:** 6-4

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ჰალკი (პორტუ)

მოუგო „ზენიტს", არ წააგო დონეცკში, არ წააგო პორტუში – კვიპროსელები მართლა აღარ ხუმრობენ! ახლა უკვე ფაქტია, რომ ნიქოზიის „აპოელი" ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების მთავარი აღმოჩენაა. არადა, ამ შეხვედრაში ფაქტობრივად მთელი ევროპა პორტუგალიური გრანდის გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა.

პორტუგალიელებმა კვიპროსელები თავიდანვე უდიდესი ზეწოლის ქვეშ მოაქციეს და **ჰალკის** გოლიც ლოგიკური გახლდათ, მაგრამ ნიქოზიელებმა ანგარიშის გათანაბრება სწრაფადვე შეძლეს. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ **აილტონის** გოლი აბსოლუტურად ალოგიკური და მოულოდნელი იყო. ეს მე-19 წუთზე მოხდა, რის შემდეგაც „პორტუ" მედგრად უტევდა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ კვიპროსელებს საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვა უჭირდათ. ერთადერთი პორტუგალიელი, რომელიც ნიქოზიელებს მართლა აწიოკებდა, ჰალკი გახლდათ. მერე ამ უკანასკნელსაც მოეშალა ნერვები და ერთ მომენტში ბურთი ისე მოიგერია, მსაჯს ყვითელი ბარათი გამოსტყუა. ბოლო წუთებზე კი „აპოელს" რეალური საგოლე მომენტი შეექმნა – უდიდესი სენსაციის მოხდენის შანსი ხელიდან **ადორნომ** გაუშვა.

*„არ გვივარგა შედეგები და არც თავდაჯერებულები ვართ. არადა, თავდაჯერებულობა სწორედ შედეგს მოაქვს. დღევანდელი შედეგითაც ძალიან უკმაყოფილო ვარ, მაგრამ ეს მეტოქის დამსახურებაცაა. „აპოელი" სუსტი გუნდი ნამდვილად არ არის. კვიპროსელები ორგანიზებულები არიან და თავსაც იდეალურად იცავენ. ჯგუფში ისეთი ვითარებაა, რომ მერვედფინალში გასვლა რეალურად ჯერ კიდევ ყველას შეუძლია. ახლა მხოლოდ ის ვიცი, რომ მომდევნო ტურში, ნიქოზიაში აუცილებლად უნდა მოვიგოთ,"* - ეს პორტუს თავკაც **ვიტორ პერეირას** სიტყვებია.

**შახტარი-ზენიტი 2:2**

**გოლები:** 1:0 ვილიანი (15), 1:1 შიროკოვი (33), 2:1 ადრიანო (45), 2:2 ფაიზულინი (60)

**ბურთის ფლობა:** 53%-47%; **დარტყმა:** 13-24; **კუთხურები:** 5-10

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** რომან შიროკოვი (ზენიტი)

„შახტარი" და „ზენიტი" ფაქტობრივად ერთი დონის გუნდებია და მათი დუელი ძალიან საინტერესო გამოვიდა. მართალია, რუსებმა უკრაინელებს ცოტათი აჯობეს (ეს განსაკუთრებით მეორე ტაიმზე ითქმის), მაგრამ საბოლოო ჯამში ფრე მაინც სამართლიანი შედეგია. თანაც, დონეცკში ფრით რუსები უფრო კმაყოფილები უნდა იყვნენ, ვიდრე უკრაინელები – ასეცაა.

მეორე ტაიმში ფაიზულინმა ანგარიში რომ გაათანაბრა, ეს „შახტარის" მცველების „დამსახურებაა". დარჩენილ დროში რუსები უფრო დომინირებდნენ და მოგებაც შეეძლოთ, ბოლო 15 წუთში კი „შახტარი" ისევ მოვიდა აზრზე, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აპოელ | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| 2. ზენიტი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-5 | 4 |
| 3. პორტუ | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| 4. შახტარი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |

**H ჯგუფი**

**მილანი-ბატე 2:0**

**გოლები:** 1:0 იბრაჰიმოვიჩი (33), 2:0 ბოატენგი (70)

**ბურთის ფლობა:** 54%-46%; **დარტყმა:** 14-5; **კუთხურები:** 5-1

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ალბერტო აკვილანი (მილანი)

თუ მხოლოდ დარტყმების რაოდენობა-შეფარდებით ვიმსჯელებთ, შეხვედრა კი ნანახი არ გვექნება, ვიტყვით, „მილანმა" „ბატე" პირწმინდად დაჩაგრა და კუდით ქვა ასროლინაო, მაგრამ ასე არ ყოფილა. „ბატემ" „სან სიროზე" საკმაოდ კარგად იბრძოლა, რაც განსაკუთრებით პირველ ნახევარ საათზე ითქმის. თუკი ბელორუსები თავიდან მხოლოდ თავის დაცვაზე ზრუნავდნენ, მერე ნელნელა შეუთამამდნენ „მილანს", რაც იმის ბრალიცაა, რომ მილანელები შეტევაში ისე არ აქტიურობდნენ, როგორც საჭირო იყო.

მართალია, გოლის მომენტში **ინაციო აბატეს** ჩაწოდება და **ალბერტო აკვილანის** მოქმედება ძალიან ლამაზი სანახავი იყო, მაგრამ იმას, რომ ბურთი **იბრაჰიმოვიჩს** ფეხზე „დააჯდა", უკვე გამართლება ეთქმის. „ბატეს" კი ასეთი იღბალი ვინ მისცა: **მაქსიმ ბორდაჩევს** მეორე ტაიმის დასაწყისში ორი რეალური საგოლე მომენტიდან ერთი მაინც რომ გამოეყენებინა, ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები... ჰო, **კევინ-პრინს ბოატენგის** გოლი ულამაზესი იყო და მისი ნახვა (თუ ჯერაც არ გინახავთ), ნამდვილად ღირს.

*„დღეს დამტკიცდა, რომ ნელ-ნელა კარგ ფორმაში შევდივართ. როცა ყველა წამყვანი მოთამაშე გამოგვიჯანმრთელდება, დარწმუნებული ვარ, უფრო უკეთ ავთამაშდებით. ჩვენი მიზანი ისაა, რომ „ბარსელონას" საშინაო შეხვედრამდე კატალონიელებს არ ჩამოვრჩეთ, რათა პირველ ადგილზე გადასვლის შანსი გვქონდეს,"* - განაცხადა საფინალო სასტვენის შემდეგ „მილანის" თავკაცმა **მასიმილიანო ალეგრიმ**. ანუ, „ბატეს" ბორისოვოშიც მოვუგებთო...

**ბარსელონა-ვიქტორია 2:0**

**გოლები:** 1:0 ინიესტა (10), 2:0 ვილია (82)

**ბურთის ფლობა:** 72%-28%; **დარტყმა:** 18-0, **კუთხურები:** 7-0

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ლიონელ მესი (ბარსელონა)

ნუთუ შესაძლებელია, რომ არაერთი რეალური საგოლე მომენტი გააფუჭო და მიუხედავად ამისა, მაინც მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაგასახელონ? რა თქმა უნდა! ოღონდ, თუ **ლიონელ მესი** გქვია. არგენტინელს პლზენელთა მცველების მოტყუება ოდნავადაც არ უჭირდა, ხანდახან კი 2-3 მათგანს ისე ჩამოიშორებდა, გეგონებოდათ, პლასტმასის კაცუნებს შორის დასეირნობსო. გოლი რომ ვერ გაიტანა, ეს გარკვეულწილად ჩეხთა მეკარე **მარეკ ჩეხის** დამსახურებაცაა, მაგრამ ამ უკანასკნელსაც არ უთამაშია ისე კარგად, რომ საუკეთესო ფეხბურთელად დაგვესახელებინა – მესის მეტწილად უბრალოდ არ უმართლებდა, ორჯერ კი ბურთი სულაც ძელს მოარტყა. მოკლედ, ლეომ ჩემპიონთა ლიგის მე-60 შეხვედრაში მე-40 გოლი სამშაბათს ვერაფრით გაიტანა.

ჩეხებს კი „ბარსელონას" კარში ერთხელაც არ დაურტყამთ. თუმცა „ბარსას" მეკარე **ვიქტორ ვალდესი** უსაქმურობას მიჩვეულია: ჩემპიონთა ლიგის სამივე შეხვედრაში მას ჯამში მხოლოდ სამჯერ დაურტყეს...

*„მერე რა, რომ მხოლოდ ორბურთიანი სხვაობით მოვიგეთ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ცუდად ვითამაშეთ. გადახედეთ სტატისტიკას, მეტოქეს ჩვენს კარში ერთხელაც არ დაურტყამს. მთავარი ისაა, რომ მოვიგეთ,"* - ეს **პეპ გვარდიოლას** სიტყვებია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 9-2 | 7 |
| 2. მილანი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 3. ვიქტორია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| 4. ბატე | 3 | 0 | 1 | 2 | 1-8 | 1 |

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროპალიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური

### A ჯგუფი

**ტოტენჰემი-რუბინი 1:0**

გოლი: 1:0 პავლიუჩენკო (34)

**პაოკ -შემროკი 2:1**

გოლები: 1:0 ლაზარი (12), 1:1 შეპარდი (48), 2:1 ვიერინია (63)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტოტენჰემი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 2. პაოკ | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| 3. რუბინი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-3 | 4 |
| 4. შემროკი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-8 | 0 |

### B ჯგუფი

**სტანდარდი -ვორსკლა 0:0**

**ჰანოვერი -კოპენჰაგენი 2:2**

გოლები: 1:0 პანდერი (29), 1:1 ნდოი (67), 2:1 პინტუ (81), 2:2 სანტინი (89)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტანდარდი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-0 | 5 |
| 2. ჰანოვერი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| 3. კოპენჰაგენი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-5 | 4 |
| 4. ვორსკლა | 3 | 0 | 1 | 2 | 1-3 | 1 |

### C ჯგუფი

**რაპიდი -ლეგია 0:1**

გოლი: 0:1 რადოვიჩი (73)

**ჰაპოელი თ. -პსვ 0:1**

გოლი: 0:1 ვინალდუმი (70)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 3 | 3 | 0 | 0 | 5-1 | 9 |
| 2. ლეგია | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 3. რაპიდი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 4. ჰაპოელი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-5 | 0 |

### D ჯგუფი

**სპორტინგი-ვასლუი 2:0**

გოლები: 1:0 ევალდო (43), 2:0 მ. ფერნანდესი (70)
გაძევება: ვესლეი (38)

**ციურიხი-ლაციო 1:1**

გოლები: 0:1 სკული (22), 1:1 ნიკჩი (23)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპორტინგი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 | 9 |
| 3. ლაციო | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |
| 2. ვასლუი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-6 | 2 |
| 4. ციურიხი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |

### E ჯგუფი

**სტოკი-მაქაბი თ 3:0**

გოლები: 1:0 ჯონსი (12), 2:0 ჯერომი (24), 3:0 შოტონი (34)
გაძევება: ჯერომი (43. სტოკი), ზივი (56. მაქაბი)

**დინამო კ.-ბეშიქთაში 1:0**

გოლი: 1:0 გარმაში (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტოკი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 2. დინამო | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 3. ბეშიქთაში | 3 | 1 | 0 | 2 | 6-4 | 3 |
| 4. მაქაბი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-9 | 1 |

### F ჯგუფი

**ბილბაო-ზალცბურგი 2:2**

გოლები: 0:1 ვალნერი (30), 0:2 ლეონარდო (36), 1:2 ლორენტე (69-პენ), 2:2 ლორენტე (75-პენ)
გაძევება: ლინგრენი (75)

**სლოვანი-პსჟ 0:0**

გაძევება: შანტომი (64. პსჟ), ტიენე (80. პსჟ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბილბაო | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| 2. ზალცბურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-5 | 4 |
| 3. პსჟ | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 4. სლოვანი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 0 |

### G ჯგუფი

**მალმიო-მეტალისტი 1:4**

გოლები: 1:0 ჰამადი (22), 1:1 კრისტალდო (32), 1:2 ფინინიო (45), 1:3 ედმარი (58), 1:4 დევიჩი (73)
გაძევება: კრისტალდო (37. მეტალისტი)

**ალკმაარი-აუსტრია 2:2**

გოლები: 0:1 მარსელისი (19. ს.კ.), 0:2 გორგონი (29), 1:2 ჰლინკა (80. ს.კ.), 2:2 ვერნბლოომი (83)
გაძევება: მოისანდერი (90. ალკმაარი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალისტი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| 2. ალკმაარი | 3 | 1 | 2 | 0 | 7-4 | 5 |
| 3. აუსტრია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 4. მალმიო | 3 | 0 | 0 | 3 | 3-10 | 0 |

### H ჯგუფი

**მარიბორი-ბრაგა 1:1**

გოლები: 1:0 იბრაიმი (14), 1:1 ელდერსონი (44)

**ბრიუგე-ბირმინგემი 1:2**

გოლები: 1:0 აკპალა (3), 1:1 მერფი (26), 1:2 ვუდი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრიუგე | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 2. ბირმინგემი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-5 | 6 |
| 3. ბრაგა | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| 4. მარიბორი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |

### I ჯგუფი

**რენი-სელტიკი 1:1**

გოლები: 1:0 ჩა (30 ს.კ.), 1:1 ლედლი (70)

**უდინეზე-ატლეტიკო 2:0**

გოლები: 1:0 ბენატია (88), 2:0 ფლორესი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უდინეზე | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 2. ატლეტიკო | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 3. რენი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |
| 4. სელტიკი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |

### J ჯგუფი

**აეკ ლ.-შალკე 0:5**

გოლები: 0:1 ჰოლტბი (23), 0:2 ჰუნტელაარი (35), 0:3 მატიპი (40), 0:4 დრაქსლერი (87), 0:5 ჰუნტელაარი (89)

**მაქაბი ჰ.-სტიაუა 5:0**

გოლები: 1:0 ამაშე (10), 2:0 ამაშე (20), 3:0 კატანი (38-პენ), 4:0 ტავატა (72), 5:0 ვერედი (79)
გაძევება: ბიცფალვი (37. სტიაუა), ილიევი (68. სტიაუა)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 3 | 2 | 1 | 0 | 8-1 | 7 |
| 2. მაქაბი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-3 | 6 |
| 3. სტიაუა | 3 | 0 | 2 | 1 | 1-6 | 2 |
| 4. აეკ | 3 | 0 | 1 | 2 | 1-7 | 1 |

### K ჯგუფი

**ოდენსე-ტვენტე 1:4**

გოლები: 0:1 ბრამა (13), 0:2 ბაირამი (31), 0:3 ჩადლი (65), 1:3 ფალი (71), 1:4 დე იონგი (82)

**ვისლა-ფულჰემი 1:0**

გოლი: 1:0 ბიტონი (60)
გაძევება: დემბელე (29. ფულჰემი), ჩავესი (87. ვისლა)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტვენტე | 3 | 2 | 1 | 0 | 9-3 | 7 |
| 2. ფულჰემი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 3. ოდენსე | 3 | 1 | 0 | 2 | 4-7 | 3 |
| 4. ვისლა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-7 | 3 |

### L ჯგუფი

**ლოკომოტივი-აეკ ათ. 3:1**

გოლები: 1:0 სიჩევი (47), 2:0 სიჩევი (71-პენ), 2:1 სიალმასი (89), 3:1 კაისედო (90)

**შტურმი-ანდერლეხტი 0:2**

გოლები: 0:1 ჟილე (66), 0:2 სუარესი (75)
გაძევება: ბურგშტალერი (67. შტურმი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-1 | 9 |
| 2. ლოკომოტივი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 3. შტურმი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 4. აეკ | 3 | 0 | 0 | 3 | 3-9 | 0 |



უდინეზეს ანტონიო ფლორო ფლორესი ატლეტიკოს კარში გატანილ გოლს ზეიმობს

## სკანდალი ბარსელონაში




ალექსის სანჩესი

იცით, ვინ არის **ენრიკე (კიკე) პინა კამპუსანო?** ის 43 წლისაა, ყოფილი ფეხბურთელია, თუმცა დიდად გახსენებით თავს ნუ მოიკლავთ, ყველაზე ძლიერი კლუბი, სადაც მას უთამაშია „მურსიაა". ის უფრო სხვა კუთხით გახდა წარმატებული ადამიანი, როცა საფეხბურთო აგენტობას და ფეხბურთის ფუნქციონერობას მოჰკიდა ხელი. კიკე პინა საფეხბურთო კლუბ „გრანადას" რიგით 51-ე პრეზიდენტია და წარმატებულიც - ანდალუსიური კლუბი პრიმერადივიზიონში გადაიყვანა, ეს კი იტალიურ კლუბებთან, კერძოდ კი „უდინეზესთან" მჭიდრო ურთიერთობით შეძლო. ბოლო წლებია, „გრანადაში" თავის გამოჩენის შანსი იმ ფეხბურთელებს ეძლევათ, რომლებიც ჯერ არ არიან მზად სერია A-ში სათამაშოდ. კიკე პინა „უდინეზეს" ოფიციალური წარმომადგენელია ესპანეთში და სწორედ ამის წყალობით ის შეიძლება ესპანურ ფეხბურთში ერთ-ერთი ხმაურიანი სკანდალის ინიციატორი გახდეს...

მოგეხსენებათ, ზაფხულში „ბარსელონამ" „უდინეზესგან" ჩილელი სუპერვარსკვლავი **ალექსის სანჩესი** იყიდა და თავიდან ბოლომდე ამ ტრანსფერს კიკე პინა აკონტროლებდა - „ბარსა" ფაქტობრივად მას ელაპარაკებოდა. ივლისში „ბარსამ" გამოაცხადა, რომ 22 წლის ჩილელის სანაცვლოდ 26 მილიონი ევრო გადაიხადა, რომელიც ბონუსების სახით, შესაძლოა, 11,5 მილიონით გაიზარდოს.

მაგრამ გუშინ პინამ საჯაროდ განაცხადა („დეპორტეს კოპეს" გაუზიარა), რომ „ბარსელონამ" ის სატრანსფერო თანხა არ გამოაცხადა, რაც სინამდვილეში გადაიხადა სამხრეთამერიკელი ფორვარდის სანაცვლოდ: *„ალექსისი მათ სინამდვილეში 43 მილიონი ევრო დაუჯდათ. წარმოდგენა არა მაქვს, რაში დასჭირდა „ბარსას" რეალური თანხის დამალვა"*, - განაცხადა „გრანადას" პრეზიდენტმა. წარმოგვიდგენია, რა შეიძლება მოჰყვეს ესპანეთში ამ განცხადებას.

ესპანური ზაფხულის სატრანსფერო რეკორდი მადრიდის „ატლეტიკოს" ფორვარდის, **სერხიო აგუეროს** „მანჩესტერ სიტიში" წასვლაა, ინგლისელებმა 45 მილიონი ევრო გადაიხადეს, მაგრამ ესპანეთში გადაბარგებულ ფეხბურთელთა შორის **რადამელ ფალკაო** ლიდერობს, რომელიც „ატლეტიკომ" „პორტუსგან" 40 მილიონ ევროდ იყიდა. გამოდის, რომ, თუკი პინა მართალს ამბობს, ესპანეთის სატრანსფერო სეზონის რეკორდი კოლუმბიელს კი არა, ჩილელს ეკუთვნის, რომლის სანაცვლოდაც 3 მილიონით მეტი გადაუხდიათ.

ალექსის სანჩესი კარგად შეეგუა „ბარსას", სადებიუტო მატჩშივე გოლი შეაგდო, მაგრამ მალევე (მესამე შეხვედრაში) ტრავმა მიიღო („რეალ სოსიედადის" მცველმა დანი ესტრადამ დაამტვრია) და ახლა მკურნალობს. სანჩესი თამაშს ნოემბრიდან დაიწყებს.

## დებიუტი

# მე-18: ისააკ კუენსა

## ლა მასიას კიდევ ერთი აღზრდილის დებიუტი პეპის ხელში

ჩემპიონთა ლიგის მატჩში ჩეხურ „პლზენთან" **ხოსეპ გვარდიოლამ** ბევრისთვის უცნობი ფეხბურთელი **ისააკ კუენსა** გამოიყვანა. გაგაცნობთ „ბარსას" დებიუტანტს...

ჟოან ისააკ კუენსა ლოპესი 20 წლის გარემარბია, ის კატალონიელია და ამ პროვინციის ქალაქ რეუსის მკვიდრია. ამ სეზონში კუენსა სეგუნდადივიზიონში „ბარსას" სარეზერვო გუნდში თამაშობს მარჯვენა ფლანგელად. 11 წლის კუენსა „ბარსას" სკოლა „ლა მასიაში" შეიყვანეს, თუმცა სამი წლის სწავლების შემდეგ ის ისევ მშობლიურ ქალაქში „რეუს დეპორტიუს" საბავშვო გუნდში ჩაირიცხა, სადაც სამი წელი იყო. 2009 წელს კუენსა „ლა მასიას" დაუბრუნდა, შარშან ის „საბადელში" გაანათხოვრეს, სადაც დადებითი კუთხით წარმოაჩინა თავი, 32 თამაშში 4 გოლი გაიტანა და კლუბს 18-წლიანი განშორების შემდეგ სეგუნდას საგზური მოაპოვებინა. „ბარსა B-ში" მისი ოფიციალური დებიუტი ახლახან, 4 სექტემბერს შედგა და აი, ის უკვე ძირითად გუნდშია - „პლზენთან" მატჩის ბოლო წუთებზე დავიდ ვილია შეცვალა.

რაც პეპი „ბარსას" თავკაცობს, მე-18 შემთხვევაა, როცა „ლა მასიას" აღზრდილს ძირითად გუნდში აქვს დებიუტი. ამათგან კი ყველაზე წარმატებულები ჯერჯერობით **სერხიო ბუსკეტსი, ტიაგო ალკანტარა** და **ალბერტ ფონტასი** არიან. პირველი სწორედ ბუსკეტსი იყო, მას 2008/09 წლების სეზონის მეორე ტურში ჰქონდა დებიუტი. ბუსკეტსა და კუენსას შორის კი 16 ფეხბურთელი იყო, ზოგი უკვე პირველ გუნდში დამკვიდრდა, ზოგი ისევ სარეზერვოა, ზოგიც სხვა კლუბში თამაშობს. პირველი გუნდის წევრები უკვე ჩამოვთვალეთ: ბუსკეტსი, ალკანტარა და ფონტასი. **მუნიესა, დოს სანტოსი, ბარტრა, სორიანო, სერხი რობერტო, მონტოია, მინიო** და **სერხი გომესი** ჯერაც B გუნდის წევრებად ითვლებიან. 6 ფეხბურთელი კი აღარ არის კატალონიურ გრანდში, ესენია: **ბოტია** (სპორტინგი), **აბრაჰამი** (ალკორკონი), **ხავი ტორესი** (ლევანტე), **გაი ასულინი** (მანჩესტერ სიტი), **ნოლიტო** (ბენფიკა) და **ორიოლ რომეუ** (ჩელსი). სხვათა შორის, სიმბოლურია, რომ ორიოლ რომეუსაც სამშაბათს ჰქონდა ჩემპიონთა ლიგაში დებიუტი - „ჩელსი"-„გენკის" (5:0) მატჩში.

ისააკ კუენსა ერთი რამით გამოირჩევა სხვა დებიუტანტებისგან, ის ერთადერთია, რომლის დებიუტიც ჩემპიონთა ლიგაზე შედგა, ცხრამ „ბარსას" მაისურით პირველად ლა ლიგაში ითამაშა, 5-



მა - სამეფო თასზე, სამმაც - ესპანეთის სუპერთასზე. კუენსა ძირითად გუნდში 39-ნომრიანი მაისურით თამაშობს (სარეზერვოში 22 ნომერია).

*„ეს იყო ფანტასტიკური 6 წუთი. ნამდვილად არ ველოდი, რომ დებიუტი ჩემპიონთა ლიგაზე მექნებოდა. პეპმა მითხრა, რომ ჩემი ფეხბურთი მეთამაშა, შემეწუხებინა მეტოქის მცველები და გუნდურ თამაშს არ ჩამოვრჩენილიყავი. თამაშის შემდეგ ყველა მილოცავდა. ამ მაისურს ჩემს ოთახში ჩამოვკიდებ და ის იქნება ყველაზე შეუფასებელი ნივთი"*, - განაცხადა ისააკ კუენსამ.

## ბარსელონა

# ახალი ლა მასია გაიხსნა

გუშინ ბარსელონაში გაიხსნა „ბარსას" საყოველთაოდ ცნობილი სკოლის, „ლა მასიის" ახალი შენობა. ახალი შენობა ორიოლ ტორტის სახელობის სავარჯიშო ცენტრში მდებარეობს. გახსნას სახელოვანი სკოლის ასამდე აღზრდილი ვარსკვლავი დაესწრო. გახსნის ცერემონიალში მონაწილეობა იმ 72-მა ბავშვმა მიიღო, რომლებიც ახალ ბაზაზე ეუფლებიან ფეხბურთის საიდუმლოებებს. „ბარსა ტვ-იმ" გახსნა პირდაპირ ეთერში გადასცა.

გვერდი მოამზადა **ნიკოლოზ ნეფარიძემ**

● თბილისი-2015. პრესკონფერენცია

# თბილისური ფესტივალის ადრიანი სამზადისი

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL TBILISI 2015

გუშინ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში „თბილისი-2015" საორგანიზაციო კომიტეტის პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც გენერალური დირექტორი **არჩილ გეგენავა** უძღვებოდა. მასთან ერთად შეხვედრას სახელოვანი ვეტერანი სპორტსმენები, „თბილისი-2015" გენერალური კოორდინატორი **რევაზ ჩომახიძე** და სპორტული კოორდინატორი **შოთა ხაბარელი** ესწრებოდნენ. სხდომაზე კიდევ ერთი კოორდინატორი წარმოგვიდგინეს - **გიორგი ხაჩიძე**, რომელიც ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის პროგრამაში შემავალი არასპორტული (კულტურულ-ისტორიულ-შემეცნებითი), ორგანიზაციული (ტრანსპორტი, სასტუმროები) და სხვა სახის პროექტების მენეჯერი იქნება.

არჩილ გეგენავამ ფესტივალის მზადებასთან დაკავშირებით სადღეისო ვითარება გაგვაცნო. წინასწარი ვარაუდით, მოელიან, რომ ფესტივალში მონაწილეობას 4 500 მხოლოდ სპორტსმენი მიიღებს, რასაც მწვრთნელები, მსაჯები, გუნდების მომსახურე პერსონალი, ოფიციალური სტუმრები თუ სხვებიც უნდა დავუმატოთ. ბუნებრივია, ასეთი მასშტაბური ღონისძიების ჩატარება დიდ დახარჯვას მოითხოვს. სხვას რომ თავი დავანებოთ, ფესტივალის მომსახურეობისთვის 500 მოხალისეა საჭირო, რომლებსაც სათანადო მომზადება-გადამზადება სჭირდებათ. თუმცა სადღეისოდ ყველაზე დიდი, ყველაზე მასშტაბური პრობლემა სპორტული ობიექტებისა და ოლიმპიური სოფლის აშენებაა.

ოლიმპიური სოფელი თბილისის ზღვაზე აშენდება სარეკრეაციო ზონითაა გამოყენებული, რაც ღონისძიების დამთავრების შემდეგ იქ აშენებული საცხოვრებელი კორპუსების ტურისტული დანიშნულებით გამოყენებას ითვალისწინებს. ეს ადგილი ასევე ჯდება დედაქალაქის განვითარების გეგმაში - რკინიგზის სადგური, ზოოპარკი და ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი სწორედ ზღვაზე გადადის. შესაბამისად, იქაურობა ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული ადგილი იქნება, რასაც ოლიმპიური სოფლის ინფრასტრუქტურა დასასვენებელ-გასართობ დანიშნულებას შემატებს.

პოსტფესტივალური დანიშნულების გათვალისწინებით იგეგმება სპორტული ობიექტების აშენებაც. ეს ძალზე საჭირო … საკითხია, რადგან ყველაფერი, პრაქტიკულად, თავიდანაა ასაშენებელი. ოლიმპიური სოფლის მშენებლობა ბევრად მარტივია, ვიდრე - ბაზებისა, რადგან აქ ერთ ჭერქვეშ შეიძლება, რამდენიმე სახეობა მოექცეს, ამ ყველაფრის გათვლა კი გაცილებით რთულია. საკითხის აქამდე მოუგვარებლობის მთავარი მიზეზიც სწორედ ეს გახდა. მას შემდეგ, რაც ბაზების მშენებლობაზე საორგანიზაციო კომიტეტის ბოლო სხდომას დავესწარით, ამ მხრივ ბევრი რამ შეიცვალა. უპირველესად, ის სია, ფესტივალის პროგრამაში შეტანილი 9 სახეობიდან თუ რომელი სად გაიმართება. ახალი ჩამონათვალი ბევრად მკაცრადაა განსაზღვრული, თუმცა არაა გამორიცხული, კიდევ შეიცვალოს რამე.

ფესტივალის პროგრამაში კალათბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი, ძიუდო, ჩოგბურთი, ცურვა, მძლეოსნობა, ტანვარჯიში და ველოსპორტი შედის. კალათბურთის ტურნირს გივი კარტოზიას სახელობის სპორტის სასახლე და მიხეილ კაკაბაძის სახელობის ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზი უმასპინძლებენ, ფრენბურთელთა შეჯიბრება გლდანის ხელბურთის სკოლასა და სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტში ჩატარდება, ხელბურთი - „ქარიშხალასა" და სკა-ზე.



ძიუდოისტები მშობლიურ აკადემიაში ისასპარეზებენ დიღომში, მოკრივეები - „ოლიმპიაში", მძლეოსნები - ეროვნულ სტადიონზე, ველოსიპედისტები კი ქალაქის ქუჩებში გამოავლენენ რჩეულებს. ამ ბაზებიდან ასაშენებელი მხოლოდ ორია - ტანვარჯიშისა და ჩოგბურთისთვის. ტანმოვარჯიშეების რამდენიმე ადგილის ალტერნატივა განიხილება. თუმცა ჯერ საბოლოოდ არაა გადაწყვეტილი, რა ტიპის ბაზა აიგება. უფრო კომპლექსური ვარიანტის ჯერ იხრებიან, ისეთზე, რომელიც სხვა სახეობებსაც გამოადგება. ძველი გეგმით, ჩოგბურთელებს … კორტებზე უნდა ეთამაშათ, მაგრამ მას ანგრევენ (ჩვენი ინფორმაციით, იქაურობა გაიყიდა), ახალ კორტებს კი „ოლიმპიურ" სოფელთან კომპლექსის ახლოს აშენებენ. არადა, ჰიმერის კორტები იყო ერთადერთი ბაზა, რომელიც ფესტივალისთვის სტანდარტებს აკმაყოფილებდა. სამწუხაროდ, სხვებზე სადღეისოდ ამას ვერ ვიტყვით, ისინი სერიოზულ რემონტს საჭიროებენ - ზოგან ტრიბუნებია დასამატებელი (მინიმუმ 1000 კაცს მაინც უნდა იტევდეს), ზოგან - სამოლე არაა საკმარისი, ზოგან - სათადარიგო არენები და ასე შემდეგ. კონკრეტულად როდის დაიწყება ოლიმპიური სოფლის ან ამ ბაზების მშენებლობა, პრესკონფერენციაზე გადაჭრით ვერ გვითხრეს. სავარაუდოდ დასახელდა 2012 წლის მეორე ნახევარი, მანამდე კი სამშენებლო პროექტზე კონკურსი გამოცხადდება. ბაზების უზრუნველყოფისა თუ ფესტივალისთვის უკეთ მზადების მიზნით საორგანიზაციო კომიტეტი მჭიდროდ ითანამშრომლებს კონკრეტულ სპორტულ ფედერაციებთან - შედგება ნუსხა, რა სჭირდება ამა თუ იმ ფედერაციას და სამომავლო გეგმებიც ამის შემდეგ დაზუსტდება.

მალე კონკურსი გამოცხადდება ფესტივალის ჰიმნზე, ლოგოზე, სიმბოლოზე და სხვა ატრიბუტიკაზე... ალბათ, გახსოვთ, ფესტივალის სიმბოლო დღემდე „ჯორჯიამაც" მიეძღვნა, თუმცა ის აპლიკანტის საპრეზენტაციო პროგრამისთვის იყო განკუთვნილი, **მაკა ზამბახიძემ** და **რატი დურგლიშვილმა** ბევრჯერ გამართული არჩევნებისას ბრწყინვალედ შეასრულეს, რაც … დიდად წაადგა. მაგრამ ფესტივალს ჰიმნს სხვა დატვირთვა აქვს. თუმცა, შესაძლოა, ახალი ჰიმნის გამოცხადებამდე იმ სიმღერის გადმოკეთებული ვარიანტი, ალბათ, სარეკლამოდ გარკვეულ პერიოდულ ქართულ ტელეარხებზე იტრიალებს.

„თბილისი-2015" საორგანიზაციო კომიტეტთან შეხვედრა პერიოდულად კიდევ მოეწყობა. სხვა თუ არაფერი, ყოველ ექვს თვეში ორგანიზატორებსა და ევროპის ეოკ-ს შორის საორგანიზაციო საკითხებზე ინფორმაციების გაცვლა სავალდებულოა. გეგმაგეგმ მიმდინარე სამუშაოების გაშუქებაში მედიას დახმარება გვთხოვა, რისთვისაც წინასწარ წუთს მზად ვართ.

**ირაკლი თავაძე**

● ჰოკეი



სანდრო ვაშაკიძე

# მსოფლიო ჰოკეის მამებმა ქართველებს საჩუქარი გამოუგზავნეს

წლეულს ზაფხულს ყინულის ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამ ფინეთში ჯერ სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ფედერაციების გენერალური მდივნების ერთკვირიანი სემინარი გამართა, შემდეგ კი ქალაქ ვიერუმაკის საზაფხულო სკოლაში 50 ქვეყნის 400-მდე წარმომადგენელს მოუყარა თავი, რომელთა შორის ექვსი ჩვენებურიც იყო. ფედერაციის მესვეურებმა ქართველთა საქმიანობის შესახებ რომ შეიტყვეს, ყინულის ჰოკეის განვითარების მიზნით ჩვენებს აქტიურ მხარდაჭერას და დამწყები ჰოკეისტებისთვის სრულ აღჭურვილობას შეჰპირდნენ. სიტყვაც საქმედ აქციეს: ორიოდე დღის წინათ საქართველოს ყინულის ჰოკეის ფედერაციამ მართლაც მიიღო საჩუქრად 40 სრული კომპლექტი, ციგურებიდან დაწყებული - ჩაფხუტებით დამთავრებული, და 700-ზე მეტი ჰოკიჯოხი, რომლებსაც თბილისის, ბაკურიანისა და ბათუმის გუნდებს გადაუნაწილებენ.

- წლეულს აგვისტოში ბათუმში ყინულის სახლი გაიხსნა, რამაც ახალგაზრდების დიდი დაინტერესება გამოიწვია - ჰოკეიში ვარჯიშის სურვილი 130-მდე მოზარდმა გამოთქვა, - გვითხრა საქართველოს ყინულის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **სანდრო ვაშაკიძემ**, - ამიტომაც საერთაშორისო ფედერაციიდან მიღებულმა საჩუქარმა ძალიან გაგვახარა. წლეულსვე ზუგდიდშიც ვაპირებთ ჯგუფის გახსნას - მსურველები იქაც მრავლად გვყავს.

მართალია, კვალიფიციური მწვრთნელების ნაკლებობას განვიცდით, მაგრამ ამ მიმართულებითაც გადაიდგმება საქმიანი ნაბიჯები: 2012 წლიდან საერთაშორისო ფედერაცია ფინეთის სპორტის ინსტიტუტის 2 მაგისტრანტს გამოგვიგზავნის, რომლებიც ზუგდიდსა და ბათუმში ყინულის ჰოკეის კურირებას გაუწევენ - როგორც სპორტსმენთა, ასევე მწვრთნელთა მზადება-გადამზადებაში მიიღებენ მონაწილეობას.

ყინულის სახლის გახსნასთან დაკავშირებით ბათუმში შვედეთის პროფესიულ კლუბ „აიკ-ის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და გენერალური მენეჯერი ჩამოვიდნენ, რომლებმაც აჭარის მთავრობასთან მემორანდუმი გააფორმეს, რომლის თანახმადაც შვედები ქართველ სპორტსმენთა და მწვრთნელთა მომზადებას, აღჭურვას და ერთობლივი წვრთნების ჩატარებას კისრულობენ. ბათუმელი მოზარდებისთვის მათ საჩვენებელი ვარჯიშები გამართეს და ყმაწვილები თავიანთი კლუბის მაისურებითაც დაასაჩუქრეს.

**- „შავი ზღვის ლიგის" ჩატარება ხომ არ გადაგიფიქრებიათ?**

- თურქებთან და სომხებთან მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ დეკემბრიდან აუცილებლად ჩავატარებთ „შავი ზღვის ლიგას" სამ ასაკობრივ ჯგუფში - 14, 18-წლამდე და უფროსებში. ჩვენ და სომხები თითოეულ ასაკში თითოს, თურქები კი ორ-ორ გუნდს გამოიყვანენ. შეჯიბრებები ყოველი თვის მესამე პარასკევ-შაბათ-კვირას გაიმართება მონაცვლეობით ერზრუმსა და ბათუმში. ასე რომ, პირველ ორთაბრძოლებს 16-18 დეკემბერს თურქეთი უმასპინძლებს, იანვარში პაექრობები აჭარის დედაქალაქში გაიმართება. აქ, მართლაც, კარგი ყინულის სასახლე გაიხსნა სტანდარტული მოედნით. მართალია, ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით ყველაფერი რიგზე არ არის, მაგრამ სასახლისა და ბათუმის მესვეურები დეკემბრამდე ამ პრობლემის მოგვარებასაც გვპირდებიან.

**- ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებასაც ხომ არ გეგმავთ?**

- სათანადო პირობების უქონლობის გამო საქართველოს პირველობის გამართვას ვერ შევძლებთ. თბილისის საციგურაო რემონტის გამო დაკეტილია, როგორც კი გაიხსნება, ვარჯიშებს განვაახლებთ. ვერც ბაკურიანშია სახარბიელოდ საქმე, ამიტომ იქაურ ჰოკეისტებს ჯერჯერობით ფიზიკურ მომზადებაზე აქვთ აქცენტი გადატანილი. ისედაც, მხოლოდ ორი სრულფასოვანი გუნდის ჩამოყალიბებას თუ შევძლებთ. ამ რესურსებით კი რომელ ეროვნულ ჩემპიონატზე უნდა ვილაპარაკოთ. მართალია, უპირობობის გამო მოთამაშეთა ერთი ნაწილი შემოგვეფანტა, მაგრამ ძირითადი ბირთვი შევინარჩუნეთ. ლიგის პირველობაზე თბილისელი და ბაკურიანელი ჰოკეისტებით დაკომპლექტებული „ყინულის რაინდები" დაიცავს ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას. ერზრუმში გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე ბათუმში გავმართავთ საწვრთნელ შეკრებას. მართალია, ბევრი პრობლემა გვაწუხებს, მაგრამ „შავი ზღვის ლიგის" გათამაშებაში თავს არ შევირცხვენთ. უფრო დიდი მიზანიც დავისახეთ: სექტემბრის მიწურულს სტამბოლში ყინულის ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი გაიმართა, სადაც 2013 წლიდან ჰოკეისტთა მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე დივიზიონში მონაწილეობის სურვილი გამოვთქვით და მხარი დაგვიჭირეს. იმედია, კეთილი ადამიანების დახმარებით მიზანს რეალობად ვაქცევთ.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

● ჩოგბურთი

# ქართული დუელი ანტალიაში

ესპანეთის ქალაქ სევილიაში მეოთხედფინალში დაასრულა ასპარეზობა 28 წლის **მაკა ჩახნაშვილმა** (183). ქართველი, რომელიც 25-ათასიან ტურნირზე მე-4 ნომრად იყო განთესილი, 25 წლის ესპანელმა **ევა ფერნანდეს-ბრუხესმა** (262) დაამარცხა - 7:6 (4), 6:2. ამ ეტაპზე ჩვენებურმა წყვილთა თანრიგში თამაშისგან თავი შეიკავა.

ანთალიაში (თურქეთი, 10 ათასი დოლარი) მეორე წრე დაძლიეს მე-3 ნომრად განთესილმა **ეკა გორგოძემ** და მე-5 ნომრად განთესილმა **სოფიო ქვაცაბაიამ**. გორგოძემ მასპინძელ **ჰულია ესენს** „მშრალად" მოუგო - 6:0, 6:0. არ გასჭირვებია არც ქვაცაბაიას, რომელმაც **ბიანკა ჰინჩუ** (რუმინეთი) დაამარცხა - 6:3, 6:2. ჩვენებურები მეოთხედფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. ეს მათი მეხუთე მატჩი იქნება. აქამდე მათ შორის 2:2-ია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



სოფიო ქვაცაბაია

FM 107,9
ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმრები, ინტერვიუები და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედისთან ერთად.
გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

სპორტული რადიო
ჯა — კო
Ja — Ko
FM 96.3

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ველოსიპედი; 5. ლილეჰამერი; 7. სე; 8. დებნადე; 11. დომინო; 13. ნოკაუტი; 14. აკობია; 16. "ალაზანი"; 19. ზეპ; 20. რაგა; 21. ხარშილაძე; 22. ასუფხანი; 24. ჩიხული; 25. ბუფელდი; 26. ყაბახი.

**შვეულად:** 1. ვალსტეტი; 2. „ლელო"; 3. "პუმა"; 4. დარასელია; 6. ჰაკბეკი; 8. დონლეუზამპილი; 9. ალური; 10. ოთარი; 11. დრონიძე; 12. მაიტი; 15. სპორტი; 17. ლოანა; 18. იფარი; 19. ზვერევა; 20. რომანი; 23. უნუ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ძალოსნობა



# მამის გზას არ ღალატობს

ამას წინათ 20-წლამდელ ძალოსანთა ევროპის პირველობაზე საჩხერელმა მძიმეწონოსანმა **ლაშა ტალახაძემ** სამი უმაღლესი სინჯის მედალი მოიპოვა - 185 კილო აიტაცა, 217 კილოგრამი აკრა და ორჭიდში 402 კილოგრამით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, თან უახლოესი მეტოქე 7 კილოთი ჩამოიტოვა. ქართველი ათლეტისთვის ეს არ იყო პირველი წარმატება - შარშან მან ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატზეც სამი ოქრო დაიმსახურა, ოღონდ მაშინ, ერთი წლით უმცროსმა, უფრო მოკრძალებული შედეგით (158+187=345) შეძლო ეს. გოლიათი ძალოსანი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის **ავთანდილ გახოკიძის** ხელმძღვანელობით შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე აუმჯობესებს პირად მიღწევებს.

ყველაფერს კი საფუძველი მამამ - სახელოვანმა ძალოსანმა **კობა ტალახაძემ** ჩაუყარა. მან აზიარა ძე ძალოსნობას. ევროპიდან დაბრუნებულ ვაჟიშვილს მან აეროპორტში მიულოცა ჩემპიონობა (ეს ფოტოც მაშინ გადავუღეთ).

კობა ტალახაძემ ძალოსნობაში ვარჯიში **ამირან დვალის** ხელმძღვანელობით დაიწყო, მერე **გოგი თოდაძესა** და **შოთა წერეთელთან** იმაღლებდა ოსტატობას. 1983 წელს ჭაბუკებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა მძიმე წონაში, 1987 წელს ახალგაზრდების საკავშირო პირველობაზე ორჭიდში 400 კილოთი (180+220) მე-2 ადგილი დაიკავა – ალექსანდრ ლევანდოვსკიმ 7 კილოთი აჯობა.

- ორი წლის შემდეგ დონეცკში საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზეც მეორე ვიყავი, - იგონებს კობა ტალახაძე. – მაშინ 185 კილო კი ავიტაცე, მაგრამ აკვრაში 212-კილოიანი შტანგა ვერ დავიმორჩილე, არადა, ვარჯიშებზე ამ წონას იოლად ვერეოდი. იმავე წელს საკავშირო ახალგაზრდულ ნაკრებში მიმიწვიეს, მაგრამ 9 აპრილის შემდეგ ქართველებს ცერად გვიყურებდნენ და თურქეთში მსოფლიოს პირველობაზე არ წამიყვანეს. ის შეჯიბრება ლევანდოვსკიმ მოიგო, რომელსაც საწვრთნელი შეკრებებისას აშკარად ვჯაბნიდი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სავარჯიშო პირობები არ მქონდა და აქტიურ სპორტსაც ჩამოვშორდი.

**- ლაშაზე რას იტყვით?**

- პატარაობიდანვე ფიზიკურად ძლიერი იყო, ამიტომ ძალოსნობაში დავაწყებინე ვარჯიში – რაც მე ვერ შევძელი, ჩემს ვაჟს მინდოდა გაეკეთებინა დიდ სპორტში. საბედნიეროდ, ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის, საოცარი ნახტომებით აუმჯობესებს საკუთარ შედეგებს. ჩემგან განსხვავებით, თავშეკავებულია, გამრჯე და რეჟიმის მოყვარული. შვილი რომ არის, იმიტომ არ ვამბობ – ისეთი მონაცემები აქვს, დიდ სპორტში უნდა ივარგოს...

ლაშა ტალახაძე ახლა დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზეა და საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის – **ვანო გრიქუროვის** ხელმძღვანელობით ეროვნულ გუნდთან ერთად სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება. ამ შეჯიბრებას კი 4 ნოემბრიდან პარიზი უმასპინძლებს.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

ფოტომატიანე



1970-იანი წლები. საქართველოს ვეტერან სპორტსმენთა ერთი ჯგუფი
ფოტო „ლელოს" არქივიდან

## სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

თავგადასავლები

# ვეტერანი კალათბურთელი ვალერი ლომაძე

*კალათბურთის მოყვარულებს დიდხანს არ დაავიწყდებათ ვალერი ლომაძის ბრწყინვალე თამაში. მშენებელი ინჟინერი და მრავალი სპორტული კომპლექსის მშენებლობის სულისჩამდგმელი გულიანად იხსენებს რა მხიარული ამბები გადახდენია.*

### ორი აგური

ტრივიალური და მარტივი ხუმრობაა „აგური". ასეთი რამეებით ბევრ მსახიობს და სპორტსმენს უსარგებლია, მაგრამ აქ ცოტა სხვანაირად მოხდა:

ჩვენს გუნდში ორი ლეჟავა თამაშობდა. ანზორ ლეჟავა და ილო ლეჟავა. ორივენი ძალიან საყვარელი და სასახელო კოლეგები გახლდნენ.

უცხეთში ვართ. ვიპოვეთ ქუჩაში ორი აგური. შევფუთეთ ცელოფნებში დ ჩავდეთ ჩემოდანში (რა თქმა უნდა, სასეიროდ) ინკოგნიტოდ და ველით შედეგს. თბილისში მოვფრინავთ გამარჯვებულები და კმაყოფილები. ყველას გვეგულება ჩემოდნებში „რალაც-რულაცები" რითაც თბილისელ ახლობლებს გავახარებთ.

- ანზორ - ყურში უჩურჩულა ერთმა ჩვენთაგანმა ტანმაღალ კალათბურთელს - იცი რა ხდება?

- რა? - (ანზორი სასეიროს მოლოდინშია).

- ილოს, ილოს, (არ გაგვამხილო) ორი აგური ჩავუდეთ ჩემოდანში.

ამის თქმა და ანზორის გადაფიჩინება ერთი იყო... იცინის, იცინის, კვდება სიცილით. გადახედავს ანზორი - ილუმინატორთან მშვიდად მჯდომ ილოს და წასკდება სიცილი... ხაააა, ხა, ხა...

და აჰა! - თბილისი...

მიდის ანზორი სახლში და ცოლშვილს უამბობს თუ როგორ გადაირევა შინ მისული ილო, როცა ხელში აგურები შერჩება.

სახლში დამხვდურებიც ქანცგაწყვეტამდე იცინიან.

- შენ რა ჩამოგვიტანე? - შეიშრეს როგორც იქნა სიცილის ცრემლები დამხვდურებმა.

ანზორი მომენტს „წელავს". მერე ტკაცუნით ხსნის ჩემოდანს:

- ოლეეე! და... ორი აგური ხვდება ხელში. კაცს სიცილი სახეზე ეყინება:

- ოოოხ, მე თქვენიიი! როგორ გამაცუცურაკეთ, თქვე შტერებო!..

- შემოაცალეთ ცელოფანი მაგ ორ აგურს! - მაჯობეს - თავში უნდა შემოვიკრა!

### აგია პენალი?!!!

ლანჩხუთის რაიონის ერთი (ყოველ შემთხვევაში) ჩემთვის ულამაზეს და უსაყვარლესი სოფელ გვიმბალაურიდან ვარ. ამ ამბავთან, ახლა რომ უნდა მოგახსენოთ, გვიმბალაური არაფერ შუაშია, რადგან ჭაბუკობის შემდეგ იქ იშვიათად ჩავდივარ. კონკრეტული ამბავი ლანჩხუთის სიმღერად ნაქცევ ფეხბურთის გუნდ „გურიას" უკავშირდება.

ჩვენი მაშინდელი ცკას მდივანი ედუარდ ამბროსევიჩი ფეხბურთის „გადამკვდარი" ფანი იყო და არის. რა თქმა უნდა, გურული კაცი სამშობლოს, მშობელი მხარის გულშემატკივარია და ასე თუ ისე სათანადო ყურადღებას აქცევდა მაშინ ლეგენდარულ ამ გუნდს.

მონათხრობი რომ უფრო მარტივი და გასაგები გახდეს ასე ვიტყვი. ლანჩხუთის „გურია" „ბ" კლასიდან „ა" კლასში გადადიოდა, რადგან თამაშს თამაშზე იგებდა შინ თუ გარეთ.

გუნდს „პატრონობდა" ედუარდის ძმა - ევგრაფი შევარდნაძე. „ძალა რომ აღმართს ხნავს", ახლა შეიძლება არ ეწეროს პირველკლასელთა „ნოუთბუქზე", მაგრამ მაშინ წყალშეუვალი ჭეშმარიტება იყო და „გურია" თუ იგებდა და იგებდა, ცოტა არ იყოს ევგრაფის „ბრალიც" იყო.

შემოვიდოდა სტადიონზე (რა დროც უნდა ყოფილიყო თამაშის დაწყებიდან) მოიხმობდა „ბიჭებს" და:

- ალარაა პენალის დროი?

- იქნება ამბროსიჩ!!! მიფრინავდა „ქსივა" მსაჯთან.

„პენალტი" რომ 99%-იანი გოლია უჩემოდაც იცით.

იმ დღესაც, ვზივარ მე და ვუყურებ ჩემი მშობლიური გუნდის თამაშს. მოიჯდა უცბად გვერდით (სად იყო და სად არა) ევგრაფი და სხვათა შორის მეუბნება:

- რავაა საქმე... არაა პენალის დროი?!

აგიხდეთ ყველაფერი კარგი. ერთი ჩვენი ფეხბურთელი („ლანჩხუთელი") მართლაც მოცელეს, მაგრამ ამას ფეხები საჯარიმოს გარეთ გაუსრიალდა. თავი დარჩა ხაზს აქეთ, ანუ საჯარიმოში.

- პენალი ასოთხმოცდათხუთმეტიათასიანი! - იყვირა ევგრაფიმ.

მე მაინც ნეიტრალური დავიჭირე.

- ბატონო ევგრაფ ამბროსევიჩ, არაა პენალტი.

- აუ! რატომ ვითომ კაცო? - გაუკვირდა საშინლად - რავა გიტლერივით იქცევი შენ! ჩვენი ხარ თუ იმგენის?

- თავი დარჩა შიგ - საჯარიმოში, ბატონო ევგრაფ, სამაგიეროდ ფეხები საჯარიმოს გარეთ ჰქონდა.

ამბროსევიჩი არ დაიბნა.

- ბიჭო, ფეხბურთს ფეხი კი არ თამაშობს, თავი თამაშობს, თავი... თუმცა, უტვინო თავი დარჩა შტერს საჯარიმოში და მსაჯიც უტვინო კი არაა (არ გაიტეხა იხტიბარი).

როგორც ყოველთვის ლანჩხუთმა იმ დღეს მოიგო.



გურიაააა, გურიააა!!! გუუ-რი-ააა!!! - სკანდირებს მთელი ქალაქი. ხუმრობა ხომ არა, „გურია" „ბეზ პიტი მინუტ" უმაღლეს ლიგაში გადადის. ზეიმობს მთელი გურია, კაცი და ქალი, დიდი და პატარა, ხარი და ძროხა... ქათმებიც კი, რომლებიც მზად არიან „თეფშებზე" წამოსაწოლად შემწვარ მდგომარეობაში.

- შენ ჩემი პატარა ძმა ხარ! - აღტაცებული მეხვევა ევგრაფ ამბროსევიჩი.

მომენტით ელკისებურად ვისარგებლე:

- ევგრაფ ამბროსოვიჩ, შეიძლება ამ სასიხარულო დღეს ერთი რაიმე გთხოვოთ?

- მთხოვეეეე! - ათასიიი!!! - ეიფორიაშია.

- აი, იიიქ - ავწიე მაღლა საჩვენებელი თითი - ედუარდ ამბროსევიჩს დაურეკეთ და გააგებინეთ, რომ მე თქვენი... ნაბოლარა ძმა ვარ!

### ვაა, უჟე ოტხოდიტ?!

მწვრთნელი გვყავდა ერთ დროს შესანიშნავი პიროვნება და თავისი საქმის ბრწყინვალე ოსტატი - ძეკონსკი. საქმე კარგად მიდის. მოსკოვში მატარებლით გავემგზავრეთ. ვინც იცის - იცის, ვინც არა - ავუხსნი, რომ თბილისიდან მოსკოვამდე მატარებელს სამი „სუტკა" სჭირდებოდა.

სამშობლოდან წაღებული სურსათსანოვაგე მალე გამოგველია. მეორე დღეა და მატარებელი ბელორეჩინსკის სადგურზე გაჩერდა.

ეს სადგური განთქმული იყო პროდუქტის სიუხვით. სახელდობრ, შემწვარი ქათმებით და მწყერებით.

გაჩერდა თუ არა მატარებელი - აბა ზედახორააა?! (სულ 5 წუთი ჩერდებოდა და რას მოასწრებ?!)

ძეკონსკი ჩავიდა და რიგის ბოლოში მოექცა.

აქედან ერთ-ერთი მწვრთნელი - ოგანეზოვი ეძახის:

- იძი კამნე, ია ტებე ადინ უმნი ვეშ სკაჟუ. ისიც მოვიდა. „ჩაიწყო ვარიანტი" - ოგანეზოვმა უნდა დაიყვიროს მატარებლიდან - „პოეზდ ატხოდიტ". მერე ყველა მატარებელს მოაშურებს და ძეკონსკი ურიგოდ აიღებს შემწვარ და მოხარშულ ქათმებს. დაუჯერა და დადგა რიგში. ოგანეზოვმა ყელი მოიღერა და იყვირა:

- პოეზდ ატხოდიტ!

დაფანცქალდნენ რიგში მდგარები და და ფაცხაფუცხით მოახტნენ მატარებლის კიბეებს. ამ დროს სულ „ცარიელი" ძეკონსკიც მარჯვედ ამოხტა კიბეზე და ოგანეზოვს ეუბნება:

- ვაა, უჟე ატხოდიტ?!

დავრჩით მშივრები.

### ნემოი შენ ხარ...

ერთხელ მე და მოსეშვილმა „ჩავაწყვეთ" და ვალოდია უგრეხელიძეს ვალადავებთ.

ლევანმა რალაც უთხრა ტუჩების ცმაცუნით.

- ვერ გავიგე. - ბუნებრივია, გაუკვირდა ვალოდიას.

- ეს ყრუა? - დაყრუვდი ბოშო, შენ? - გადმომხედა მოსეშვილმა.

- დაყრუვდა ალბათ - დავუმოწმე მეც.

- რა ყრუ... რის ყრუ... ყრუები თქვენ ხართ - არ იმჩნევს ვითომ.

- რამე თქვა ახლა ამან? - მეკითხება მოსეშვილი. ვალიკო გაოცებული გვიყურებს.

მეორე დღეს ლევანმა მაშინ იშვიათი „განძი" „სპიდოლა" იყიდა და დადგა მაგიდაზე.

ჩართო და ჩაუწია ხმას ბოლომდე. ჩვენ „ვუსმენთ" და რიტმულად ვირხევით (ვითომ მუსიკას ვყვებით) უგრეხელიძე სერიოზულად შეეჭვდა:

- რას იმანჭებით?

- კაცო, ჯაზია და ვყვებით.

- რა ჯაზი! ჯაზი კი არა არაფერიც არ ისმის, ბრაკი შემოგასაღეს, თქვე შტერებო.

ყურთან მივუტანე ტუჩები:

- ჩემი ხმა გესმის?

- მესმის რომელია, ყრუ ბებიაშენია, თუ ასე გინდა.

- ა... ახლოდან კი ესმის - გადავხედე მოსეშვილს.

- ახლოდან არყოფნის საქმეს - თქვა ლევანმა და გააგრძელა უხმოდ ტუჩების ცმაცუნი.

- ბოლოს რა თქვა ახლა ამან? - ისევ დაეჭვდა ვალიკო.

- თუ მოვიგეთ - არ წავაგებთო ხვალო... ხვალო! - გაიგე?

- რაო?

- რაო კი არა, გესმის შენ ახლა რამე?

- ყურთან რო ჩამყვირებ მესმის, აბა არ მესმის? შტერი შენ თვითონ ხარ!

ისევ ავაცმაცუნე ტუჩები (ვითომ ლევანს ველაპარაკები), ისიც ტუჩების ცმაცუნით მპასუხობს.

- ვაიმეეე! - ცუდი ფერი დაედო ვალოდიას - დავყრუვდი მე ალბათ! - თქვა დამაჯერებელი გამომეტყველებით. მაგრამ მეგობარს სულ ხომ არ გავწირავდით.

...ორი დღე პირდაპირ გვლანძღავდა. ბოლოს როგორც იქნა შემოგვირიგდა. ან რა გზა ჰქონდა? „პირი ცხვირს დაშორდება?!" - არა!

**მურმან მერკვილიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მედიადღე

# ევროპის გზაზე ამერიკელებთან ერთად



თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ფოტო

საქართველოს ჩემპიონი „არმია" წლეულს ევროჩელენჯის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებს. ასეთი რამ ბოლოს 2002 წელს მოხდა - თბილისი „დინამომ" „ჩელენჯ თასზე" იასპარეზა. თუმცა მაშინდელ „დინამოსა" და დღევანდელ „არმიას" შორის დიდი სხვაობაა, ამის საილუსტრაციოდ თუნდაც ერთი ფაქტი გამოდგება: არმიელთა ღირსებას NBA-ს მოქმედი კალათბურთელი **სანდიეტა გეინსი** იცავს.

ხუთი უცხოელით გაძლიერებულმა საქართველოს ჩემპიონმა სლოვენიაში ნაყოფიერი შეკრება გაიარა და საქართველოში გასულ კვირას დაბრუნდა. ჟურნალისტებს მანამდეც არაერთი შეკითხვა გვქონდა, თუმცა მოთმენამ მოგვიწია და გუშინ მთელი არმიული კოლექტივი მასმედიის წინაშე წარდგა.

ფოტოზეც ჩანს, რომ მთავარ მაგიდასთან დაგვხვდნენ მწვრთნელი **კოტე ტულუში**, „არმიისა" და საქართველოს ნაკრების უკანახაზელი **ანატოლი ბოისა** და „ნიუ ჯერსიდან" ლოკაუტის დროს საქართველოში ჩამოსული სანდიეტა გეინსი.

შეხვედრა კოტე ტულუშმა გახსნა, რომელიც გასულ სეზონში „არმიის" ლიდერი იყო და კალათბურთელის რანგში საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელადაც დასახელდა. თუმცა კოტემ ახალი სეზონის წინ პროფესია შეიცვალა და გუნდის მთავარ მწვრთნელად მოგვევლინა. იგი ევრობასკეტზე საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბთან მუშაობდა და საჭირო გამოცდილებაც მიიღო. მოვუსმინოთ კოტე ტულუშს:

- გასული სეზონის შემდეგ გუნდში ბევრი სიახლეა. დავიწყოთ იქიდან, რომ გუნდს ახალი ბაზა აქვს, სადაც ყველა პირობაა შექმნილი სრულყოფილად მოსამზადებლად და პროფესიული წინსვლისთვის. გვყავს ახალი პრეზიდენტი - თემურ ხევსურიანი. მენეჯერი - ლუკა შანიძე. შემადგენლობაშიც სერიოზული ცვლილებები განხორციელდა: „ქუთაისიდან" დავიმატეთ ბუბა კვიმსაძე, ასევე მოვიწვიეთ ხუთი ლეგიონერი. ხუთივე სხვადასხვა პოზიციაზე თამაშობს - პირველიდან მეხუთე ნომრის ჩათვლით. არჩევანი დიდი იყო, მაგრამ საბოლოოდ ჯერემი რიჩარდსონზე, სანდიეტა გეინსზე, გილერმო დიასზე, იოაკიმ კიელბომსა და უილიამ ტომასზე შევჩერდით.

შემადგენლობასა და ლეგიონერებს ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით, მანამდე ანატოლი ბოისას მოვუსმინოთ, რომელმაც გუნდის მზადებაზე ილაპარაკა:

- ხარისხიანი ვარჯიშები გვაქვს, ახალი მწვრთნელი საქმეს კარგად ართმევს თავს. სწორი მიმართულებით მივდივართ და ვფიქრობ, საერთაშორისო მატჩებისთვის კარგ ფორმაში ვიქნებით. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ხუთივე უცხოელი მაღალი დონის კალათბურთელია. ამიტომ, ჩვენ, ქართველებიც ერთი-ორად ვინდომებთ, ვცდილობთ ტოლი არ დავუდოთ, რაც ვარჯიშების ხარისხზე დადებითად მოქმედებს.

არმიელთა მთავარმა მწვრთნელმა სლოვენიური შეკრება შეაფასა:

- სლოვენიაში ორი კვირა ვივარჯიშეთ და სამი საკონტროლო მატჩი ჩავატარეთ. ორში დავმარცხდით და ერთი მოვიგეთ, თუმცა შედეგს ყურადღებას ნაკლებად ვაქცევ, რადგან ამხანაგური მატჩების მთავარი მიზანი გუნდის შეთამაშებაა. ქართველმა და უცხოელმა კალათბურთელებმა საერთო ენა გამონახეს, რაც მოედანზე თამაშიდან თამაშამდე იგრძნობა.

კოტე ტულუშს „არმიის" სამომავლო მიზნებზეც ვკითხეთ როგორც ევროჩელენჯზე, ასევე საქართველოს ჩემპიონატში.

- ეროვნულ პირველობაზე შაბათიდან ჩავერთვებით და ვეცდებით ეს შეჯიბრება ევროჩელენჯისთვის მზადებისთვის გამოვიყენოთ. ვიდრე ევროტურნირებზე გუნდებს განთესავდნენ, ევროჩელენჯის ჯგუფურ ეტაპზე გასვლას ვისახავდით მიზნად. რადგან თავიდანვე ჯგუფში მოვხვდით, მიზნებიც შეიცვალა - მეორე ეტაპზე გასვლისთვის ვიბრძოლებთ. სხვათა შორის ფიბა-ევროპის ოფიციალურ საიტზე ჩვენი ჯგუფი დეტალურად განიხილეს. ყველა მეტოქე კარგად გააანალიზეს, ყველაზე ნაკლები „არმიაზე" ეწერა, თუმცა იქვე აღნიშნული იყო, ამ კლუბის სათვალავში არჩაგდება ნამდვილად არ შეიძლებაო.

როგორც შესავალში გითხარით, ტულუში გასულ სეზონში „არმიას" კალათბურთელის რანგში ეხმარებოდა. წლეულს - მთავარი მწვრთნელია. მას ამ ცვლილებასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზეც მოუხდა პასუხის გაცემა.

- აქამდე სპორტსმენი ვიყავი, გამოწვევა და აზარტი ჩვეულებრივი ამბავი იყო. ამიტომ, ახალ გამოწვევასაც ინტერესით შევხვდი, მით უმეტეს, რომ მწვრთნელობა უცხო ხილი ნამდვილად არ ყოფილა. კალათბურთელობისასაც ვმუშაობდი პატარების მწვრთნელად.

პრესკონფერენციის ბოლოს დანაკლისზე ვილაპარაკეთ. სამი არმიელი ტრავმირებულია.

- დავით უგრეხელიძეს შარშანდელი ტრავმა გაუმიზეზდა და სლოვენიაში სამკურნალოდაა. გიორგი შარაბიძე თურქეთში გაემგზავრება, სადაც გაარკვევენ ოპერაცია დასჭირდება თუ ქირურგიული ჩარევის გარეშე განაგრძობს მკურნალობას. ბუბა ბერიშვილი კი ოპერაციას იკეთებს და რეაბილიტაციისთვის დაახლოებით 6 თვე დასჭირდება, - განგვიმარტა „არმიისა" და საქართველოს ნაკრების ექიმმა **თემურ ხვედელიძემ**.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ინტერვიუ სანდიეტა გეინსთან

# დღეს, ჩემი ნიუ ჯერსი არმიაა

„არმიის" ახალწვეულმა, სანდიეტა გეინსმა გუშინდელი პრესკონფერენციისას ჩვენზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი ფიზიკურადაც ღონიერი ჩანს, სათამაშო კლასზე ხომ საუბარიც არ ღირს და ისიც ნათლად გამოჩნდა, რომ NBA-დან ჩამოსული ახალგაზრდა (25 წლისაა) საქმეს სერიოზულად ეკიდება.

ამაში თავადაც დარწმუნდებით თუ მის ინტერვიუს წაიკითხავთ.

- საქართველოში ჩამოსვლამდე ამ ქვეყნის შესახებ ცოტა რამ ვიცოდი. ახლა, როცა გუნდიც გავიცანი და ქვეყანაც, მხოლოდ დადებითი კუთხით შემიძლია დავახასიათო. „არმიას" მენეჯმენტიც კარგი აქვს და გუნდიც ძლიერია სერიოზულია. აქ თავს კომფორტულად ვგრძნობ.



**- საქართველოს ჩემპიონატსა და ევროჩელენჯზე რას უნდა ველოდოთ გუნდისგან?**

- „არმია" შარშან საქართველოს ჩემპიონი გახდა. ამის მერე კლუბი კიდევ უფრო გაძლიერდა. შესაბამისად ორიგინალურს ვერაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ საქართველოში იგივე შედეგის გამეორებას ვისახავთ მიზნად. რაც შეეხება ევროჩელენჯზე გამოსვლას, იქ სერიოზული მეტოქეები გვყავს, თუმცა არც ევროსარბიელზე ვიქნებით უიმედოდ. თამაშის ხარისხს დღითიდღე ვაუმჯობესებთ და ევროჩელენჯისთვის მატჩებისთვის კარგ ფორმაში უნდა ვიყოთ.

**- ამერიკის ლიგას გაფიცვის დასრულებისთანავე დაუბრუნდები. რამდენად რთულია ასეთ პირობებში სხვა გუნდში თამაში?**

- NBA-ში „ნიუ ჯერსის" წევრი ვარ, თუმცა არაერთი სხვა კალათბურთელის მსგავსად კარიერის დროებით ევროპაში გაგრძელება გადავწყვიტე. ამიტომ, ამერიკასა და ლოკაუტზე ნამდვილად არ ვფიქრობ, რადგან დღეს ჩემი გუნდი „არმიაა" და ძალიან მინდა სათანადოდ დავეხმარო როგორც შიდა ჩემპიონატში, ასევე ევროსარბიელზე.

**- საქართველოში ჩამოსულს ადაპტაცია ხომ არ გაგჭირვებია?**

- თავიდან მართლაც რთული იყო, რადგან ახალ გარემოსთან მიწევდა შეგუება. ახლა პრობლემა აღარ მაქვს, ქართულ სამზარეულოსაც გავეცანი, არაერთი გემრიელი კერძი გაქვთ.

**- იოლი მისახვერდია, რა მოგეწონა. საინტერესოა, რა არ მოგეწონა?**

- ყველი (გუდისა). ჩემს გემოვნებაში ვერც ბევრი სუნელი და ცხარე საჭმელები ჯდება...

**- ზაზა ფაჩულიას წინააღმდეგ არაერთხელ გითამაშია. მის შესახებ რისი თქმა შეგიძლია?**

- ზაზა სერიოზული კალათბურთელია, „ატლანტა ჰოქსისთვის" მნიშვნელოვანი ძალაა, დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებს. ამიტომაცაა, ატლანტაში დიდ პატივს რომ სცემენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

პრესკონფერენცია



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# სუპერლიგის თამაშებიდან შემოსული თანხა ვეტერანთა ფონდში ჩაირიცხება

**გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში საკალათბურთო სუპერლიგისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელთა ინიციატივით პრესკონფერენცია გაიმართა, რომელიც ვეტერან კალათბურთელთა ფონდის მხარდასაჭერი აქციების გამართვას მიეძღვნა.**

საერთო გადაწყვეტილებით, საკალათბურთო სუპერლიგის მატჩებზე დასასწრები ბილეთების გაყიდვიდან შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდება ვეტერან კალათბურთელთა ფონდს, ასევე გაიმართება სხვადასხვა აქცია, რაც ხელს შეუწყობს ბილეთების რეალიზაციას და ზოგადად კალათბურთის პოპულარიზაციას.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ყოველ ტურზე გარკვეული რაოდენობის ბილეთებს შეიძენს, ასევე გადაწყვეტილია, რომ ანალოგიურად იმოქმედებს სხვადასხვა სამინისტრო. პრესკონფერენციაზე მოწვეულნი იყვნენ ვეტერანი კალათბურთელები - **ამირან სხიერელი, ვაჟა ჟღენტი, ვაჟა გვანცელაძე, ილარიონ ხაზარაძე** და ვეტერან კალათბურთელთა ფონდის პრეზიდენტი - **ვალერი ლომაძე.**

მედიასთან სუპერლიგის პრეზიდენტმა - **გიორგი ზაბახიძემ** და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსმა - **ირაკლი სამყურაშვილმა** ისაუბრეს.

**გიორგი ზაბახიძე:** *„სუპერლიგის მატჩებზე დასასწრები ბილეთები 1 ლარი ეღირება, ბილეთების გაყიდვიდან შემოსული თანხა კი მთლიანად ვეტერან კალათბურთელთა ფონდში ჩაირიცხება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ყველა ტურზე ბილეთების გარკვეულ რაოდენობას შეიძენს, ასევე მოიქცევიან სხვა სამინისტროები".*

**ირაკლი სამყურაშვილი:** *„ჩვენი ერთობლივი გადაწყვეტილებით სუპერლიგის თამაშებიდან შემოსული თანხა ვეტერანთა ფონდში გადაირიცხება. ამას დაემატება სამინისტროს მიერ შეძენილი ბილეთები. აქციაში ჩაერთვებიან სხვა სამინისტროებიც და მთლიანობაში შეგროვილი თანხა სოლიდური გამოვა. მინდა, მოვუწოდო გულშემატკივრებსაც იარონ სუპერლიგის მატჩებზე, ამით ვეტერანებსაც დაეხმარებიან და თან საინტერესო თამაშებსაც ნახავენ, რადგან ძალიან დაძაბული ჩემპიონატი გველის. ქართული კლუბები მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ".*

**ვალერი ლომაძე:** *„დიდი მადლობა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და კალათბურთის ფედერაციას ასეთი მნიშვნელოვანი წამოწყებისთვის. ეს ჩვენთვის დიდი დახმარება და თანადგომაა. ბევრი ვეტერანი ნამდვილად გაჭირვებულია და ასეთი აქცია უდავოდ წაადგებათ. აქვე მინდა გითხრათ, რომ ფონდს 12-კაციანი საბჭო განკარგავს და თითოეული თეთრი კონტროლდება".*

**სპორტის სამინისტროს პრესსამსახური**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატი

# უმცროსი ბორჯღალოსნების საევროპო სამზადისი

საქართველოს ჩვიდმეტ და ცხრამეტწლამდელთა ნაკრებები 25 ოქტომბრიდან 6 ნოემბრის ჩათვლით რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში, ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებენ.

ცხრამეტწლამდელთა ტურნირში 2012 წლის მსოფლიოს ალაფის საგზურის მფლობელის ვინაობა გაირკვევა. აქ ჩვენს ნაკრებს პირველობას შეეცილებიან რუმინეთის, პორტუგალიის, ბელგიის, რუსეთის, ესპანეთის, შვეიცარიისა და ჰოლანდიის ნაკრებები.

საქართველოს ნაკრები, როგორც შარშანდელი შეჯიბრების გამარჯვებული, პირველ ნომრადაა განთესილი და მეოთხედფინალში მერვე ნომრად განთესილ შვეიცარიის ნაკრებს დაუპირისპირდება. გამარჯვების შემთხვევაში კი, ნახევარფინალში რუმინეთისა და პორტუგალიის ნაკრებებს შორის გამარჯვებულს ეთამაშება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები შოტლანდიელი მწვრთნელის **იან სმიტის** ხელმძღვანელობით ემზადება. მას ქართველი ასისტენტები **ირაკლი ჭყონია** და **ლადო კილასონია** ეხმარებიან.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა წლეულს, ივნისში ბუქარესტში გამართული საერთაშორისო ტურნირი, „შავის ზღვის თასის“ გათამაშება მოიგო, რომელშიც რუსეთის, რუმინეთისა და უკრაინის ნაკრებებიც ასპარეზობდნენ.

ამჯერად ჩვენი მორაგბეები ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებენ, რომელიც ბუქარესტში ერთ წრედ ჩატარდება. საქართველოს ნაკრებს მეტოქეობას ბელგიის, პორტუგალიისა და რუმინეთის ნაკრებები გაუწევენ.

17-წლამდელთა ნაკრებს **დავით ჩავლეიშვილი** და **მამუკა ტყეშელაშვილი** წვრთნიან.

**ევროპის ჩემპიონატი. U-19**

**მეოთხედფინალი**

**საქართველო-შვეიცარია, რუმინეთი-პორტუგალია, ბელგია-ჰოლანდია, რუსეთი-ესპანეთი**

**ევროპის ჩემპიონატი. U-17**

**29 ოქტომბერი**

**საქართველო-რუმინეთი, ბელგია-პორტუგალია**

**3 ნოემბერი**

**საქართველო-ბელგია, რუმინეთი-პორტუგალია**

**5 ნოემბერი**

**საქართველო-პორტუგალია, რუმინეთი-ბელგია**

ფინალის წინ

# ახალი ზელანდია 3, ლივერმონი 1

ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალურ მატჩში, „ოლ ბლექსისა“ და „ლე ბლოს“ მომავალი დაპირისპირება, ცხადია, დიდ ინტერესს იწვევს. ერთი შეხედვით, ფავორიტი ამ წყვილში მასპინძელთა გუნდია, თუმცა თამამი განცხადებებისგან ყველა თავს იკავებს და ფრანგთა გუნდისგან სასწაულს ელოდებიან. მაგრამ თუ სტატისტიკას თვალს გადავავლებთ, ფრაგებისთვის ვერაფერ სახეიროს ვიპოვით.

მას შემდეგ, რაც „ლე ბლოს“ სათავეში **მარკ ლივერმონი** ჩაუდგა, ეს გუნდები ერთმანეთს ოთხჯერ შეხვდენ. აქედან ფრანგებმა მხოლოდ ერთი, პირველი შეხვედრა მოიგეს, ბოლო სამი კი „ოლ ბლექსის“ დიდი უპირატესობით წარიმართა.

**ახალი ზელანდია-საფრანგეთი 22:27**

**2009 წლის 13 ივნისი. დანიდინი**

ექვსი ერის გათამაშებაში გამარჯვების შემდეგ მარკ ლივერმონის სამწყსომ კიდევ ერთი გმირობა ჩაიდინა და თავის ისტორიაში „ოლ ბლექსს“ ახალ ზელანდიაში მეოთხედ მოუგო. ახალზელანდიელები იმუქრებოდნენ 2007 წლის მსოფლიოს თასზე განცდილი მარცხის გამო (18:20) რევანშს ავიღებთო, მაგრამ „ლე ბლოს“ უდიდეს წინააღმდეგობას წააწყდნენ. ფრანგებმა სამი ლელოს გატანა მოახერხეს. თავი **ფრანსუა ტრინდუკმა, მაქისმ მედარმა** და **ვილიამ სერვატმა** გამოიჩინეს.

ფრანგები ყველა კომპონენტში სჯობდნენ მასპინძლებს, რომლებსაც ლიდერები **დენ კარტერი** და **რიჩი მაქოა** აკლდათ.

**ახალი ზელანდია-საფრანგეთი 14:10**

**2009 წლის 20 ივნისი, ველინგტონი**

დანიდინში მოგებული მატჩის შემდეგ ლივერმონი და კომპანია ოცნებობდა **პიერ ბერბიზიეს** დროინდელი მიღწევის გამეორებას. მისი ხელმძღვანელობით „ლე ბლომ“ 1994 წელს ორჯერ დაამარცხა „ოლ ბლექსი“ მისსავე მოედანზე. თუმცა ოცნება, ოცნებადვე დარჩა.

წვიმისა და ცივი ქარის პირობებში საფრანგეთის ნაკრებმა მატჩის ბოლო, დასკვნითი ათწუთიანი მონაკვეთი ჩააგდო და მასპინძლებს შეხვედრა ოთხი ქულის სხვაობით დაუთმო.

**საფრანგეთი-ახალი ზელანდია 12:39**

**2009 წლის 28 ნოემბერი, მარსელი**

ახალი ზელანდიის ნაკრების შემადგენლობაში რიჩი მაქოას, დენ კარტერისა და სიტივენი სივივატუს ყოფნამ ამ გუნდის თამაში საგრძნობლად შეცვალა. ეს სულაც არ იყო ის „ოლ ბლექსი“, რომელიც იმავე წლის ივნისის ტესტებზე ვნახეთ. ფრანგები გაოცებული იყვნენ მეტოქის მორაგბეების სისწრაფით, თუმცა დასაწყისი მათთვის წარმატებული იყო.

ფრანგმა მორკინალებმა თავიდანვე მოიპოვეს უპირატესობა, **ფაბიან ბარსელა** და **სილვენ მარკონე** გატანილ ლელოებს ზეიმობდნენ, თუმცა სიხარულმა დიდხანს არ გასტანა. ახალზელანდიელებმა უკანა ხაზი სრული სიმძლავრით აამოქმედეს და მასპინძლებს ხუთი ლელო გაუტანეს. არადა, ფრანგებიც არ იყვნენ ცუდ ფორმაში, ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ ორი კვირით ადრე, ტულუზში მსოფლიოს თასის მფლობელ სამხრეთ აფრიკის ნაკრებს მოუგეს - 20:13. ასე რომ, ლივერმონს და მის მებრძოლებს კარგად დაფიქრება მართებთ.

**ახალი ზელანდია-საფრანგეთი 37:17**

**2011 წლის 24 სექტემბერი, ოქლენდი**

მსოფლიოს თასის წლევანდელი გათამაშების ჯგუფურ ტურნირში საფრანგეთის ნაკრებს, ფაქტობრივად, წინააღმდეგობა არ გაუწევია. ამიტომ ანგარიში „ოლ ბლექსის“ სასარგებლოდ თავიდანვე სწრაფად იზრდებოდა. „ლე ბლოს“ სამარცხვინო ანგარიშით წაგების საფრთხე დაემუქრა.

მეორე ნახევარში ფრანგები უკეთ ათამაშდნენ და ორი ლელოს გატანა მოახერხეს. ამას მოჰყვა კანადისა და იაპონიის ნაკრებებთან დიდი ანგარიშით გამარჯვება. მერე კი იყო ამ ტურნირის ყველაზე დიდი სენსაცია, მარცხი ტონგას ნაკრებთან. „შერცხვენილი სახელი“ საფრანგეთის ეროვნულმა გუნდმა მეოთხედფინალში „პომების“ ძლევით აღიდგინა.

რა იქნება კვირას?



ახალი ზელანდია-საფრანგეთი. 2011 წელი

მსოფლიოს თასი



„იაში“ ახალ ზელანდიაში თევზაობს

# ლე ბლო მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ

ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიოს თასის გათამაშება დასასრულს უახლოვდება. ფინალში, რომელიც კვირას ოქლენდში გაიმართება, საფრანგეთის ნაკრები მასპინძლებს, ახალი ზელანდიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. მსოფლიოს რაგბის ამ უდიდესი ფორუმის მთავარ მატჩში ფრანგთა ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს ქართული წარმოშობის ცხრა ნომერი **დიმიტრი იაშვილი.**

იმის გამო. რომ „ოლ ბლექსი“ მშობლიურ ქალაქში, საკუთარ მოედანზე ითამაშებს ეს გუნდი აპრიორი ფავორიტად მიიჩნევა. თუმცა „იაში“ ამის თაობაზე სრულიად სხვაგვარად ფიქრობს.

*„ჩვენ ვიცით, რომ უდიდეს ბედნიერებას მატჩის 80 წუთი გვაშორებს. კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ მსოფლიოს თასის ფინალი ჩვენი ცხოვრების უდიდესი მოვლენაა. ამიტომ, კვირას ყველაფრისთვის მზად ვიქნებით.*

*ის, რომ „ედენ პარკზე“ შეკრებილი 60 ათასი მაყურებელი „ოლ ბლექსის“ ქომაგი იქნება და მათი გუნდის გაჩემპიონების მოლოდინში გულშემატკივრობას წამითაც არ შეწყვეტს, არ გვაღელვებს.*

*პატივი გვერგო ფინალში ვითამაშოთ. ჩვენ შემოგვცქერის მთელი საფრანგეთი, თითოეული ჩვენგანის ოჯახის წევრები იმედის თვალით გვიყურებენ და უფლება არ გვაქვს ისინი გავაწბილოთ.*

*ჩვენ ვიცით, რომ კვირას თხუთმეტნი მოედანზე მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ ვიქნებით.*

*მსოფლიოს თასის გათამაშების თითქმის ყველა ეტაპზე ფავორიტად არ მიგვიჩნევდნენ. ახლაც ასეა, თუმცა ეს დამატებით მოტივაციას გვძენს.“* - თქვა დიმიტრი იაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ნაკრების ცხრა ნომერი დიმიტრი იაშვილი, ქართველი ემიგრანტის **შალვა იაშვილის** შვილიშვილია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდა. მან ტყვეობიდან გაქცევა მოახერხა და ფრანგ პარტიზანებთან ერთად საფრანგეთის განთავისუფლებისთვის იბრძოდა. ომის დასრულების შემდეგ კი შალვა იაშვილი საფრანგეთში დარჩა საცხოვრებლად.

მისი ვაჟი **მიშელ იაშვილი** ცნობილი ფრანგი მორაგბე იყო, რომელსაც „ლე ბლოს“ კვართი არაერთხელ მოურგია. მიშელს სამი ვაჟი ჰყავს, უფროსი **გრეგუარ იაშვილი** საქართველოს ნაკრების წევრი იყო და 2003 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში „ბორჯღალოსანთა“ ღირსებას იცავდა. დიმიტრი შუათანაა, მას საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში აქვს ნათამაშები ევროპის ჩემპიონატზე. უმცროსი **შარლ-ედუარდი** კი, სულ რაღაც სამიოდე წლის წინ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო.

# კარტერი მსოფლიოს თასს ვერ ივიწყებს

ახალი ზელანდიის ნაკრებისა და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მგეზავი **დენ კარტერი** ტრავმის გამო მსოფლიოს თასის გათამაშებას ნაადრევად გამოეთიშა. კარტერმა საზარდული ჯგუფური ტურნირის მსვლელობისას, კანადასთან მატჩის წინ, ვარჯიშზე დაიშავა. მას ოპერაცია ავსტრალიაში, მელბურნში გაუკეთეს და ამჟამად ახალ ზელანდიაში იმყოფება.

*„თავიდან ძალიან გამიჭირდა. ისე ვიყავი განადგურებული, რომ არ მინდოდა რაიმე საერთო მქონოდა მსოფლიოს თასის გათამაშებასთან. მინდოდა, ის რაც შეიძლება მალე დამევიწყებინა. მაგრამ, ხუთი-ექვსი დღის შემდეგ გონება გამინათდა. მივხვდი, რომ ეს მსოფლიოს თასია, რაგბის უდიდესი დღესასწაული, რომელიც აქვე, ჩემს სამშობლოში მიმდინარეობს.*

*გადავწყვიტე და ჩვენი ნაკრების პირველივე მატჩზე წავედი. ეს ფანტასტიკური იყო, ყოველი წუთი შესანიშნავი. ახალზელანდიელები და ჩამოსული სტუმრები უდიდეს სიამოვნებას ღებულობდნენ იმისგან, რაც ირგვლივ ხდებოდა. მეც მათი ნაწილი გავხდი“* - თქვა დენ კარტერმა.

დენი ახალი ზელანდიის ნაკრების საწვრთნელ ბანაკსაც ესტუმრა და მის შემცვლელ **აარონ კრადენს** კონსულტაცია ჩაუტარა. ის მოუწოდებს „ოლ ბლექსის“ მოთამაშეებს სათანადოდ შეაფასონ ფრანგთა გუნდი, მიუხედავად იმისა, რომ „ლე ბლო“ დიდად არ ბრწყინავს.

*„ძალიან საინტერესო სიტუაციაა. ჩვენი მეტოქე ფინალში საფრანგეთის ნაკრებია. ეს გუნდი „ოლ ბლექსისთვის“ ყველაზე უხერხული მეტოქეა. ძალიან კარგად გვახსოვს, რა წარსული გვაკავშირებს ფრანგებთან.*

*„ლე ბლომ“ ორჯერ 1999 და 2007 წლების მსოფლიოს თასის გათამაშებაში განზილებული დაგვტოვა. ისინი განსაკუთრებით სახიფათონი მაშინ არიან, როცა კედელთან მიაყენებ. მათგან ყველაფერია მოსალოდნელი და ადვილად შეუძლიათ გაგაკვირვონ.*

*ჩემი გუნდის ორი თამაში ტრიბუნიდან ვნახე. ეს ჩემთვის აუტანელი ტანჯვა იყო. ძალიან ვნერვიულობდი. ცუდი მაყურებელი ვარ. მართლაც ძალიან ძნელი იყო, როცა ბიჭებს მოედანზე ვხედავდი და ვერაფრით ვეხმარებოდი. არადა, როგორ მივეჩვიე იმას, რომ იქვე, მოედანზე ვახერხებდი სიტუაციის შეცვლას“* - დასძინა „ოლ ბლექსის“ მგეზავმა დენ კარტერმა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



# სტუმრების დღე

ამერიკულისგან განსხვავებით, ევროპულ კალათბურთში ყველაფერი წესრიგშია და აქ დათქმულ ვადაში დაიწყო კონტინენტის მთავარი საკლუბო ტურნირი - ევროლიგა.

ოთხშაბათს ოთხი მატჩი გაიმართა და სამში სტუმრებმა გაიმარჯვეს.

ევროთასის შარშანდელი გამარჯვებული - რუსეთის უნიქსი საკუთარ მოედანზე ილებდა იტალიის „მონტეპასკის“ და მხოლოდ პირველ მეოთხედში შეძლო მეტოქისთვის ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა. მატჩის დანარჩენ მონაკვეთებში იტალიური კლუბის უფრო მაღალი კლასი იგრძნობოდა. „მონტეპასკიმ“ მეტოქეს გადამწყვეტი დარტყმა მესამე მეოთხედში მიაყენა, როცა ეს 10 წუთი 10 ქულით მოუგო.

საბოლოოდ, „მონტეპასკიმ“ 79:71 მოიგო. გამარჯვებულთა რიგებში საუკეთესო იყო ევრობასკეტის გმირი **ბო მაკალები**, რომელმაც 17 ქულა დააგროვა, მატჩისა და მთლიანად ამ დღის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი კი უნიქსის ლეგიონერი **ჰენრი დომერკანტი** გახდა, ვინც 30 ქულა დააგროვა.

■ ■ ■

დღის ცენტრალური მატჩი სტამბოლში გაიმართა, სადაც „ფენერბაჰჩემ“ ესპანეთის „კახა ლაბორალს“ უმასპინძლა.

შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მასპინძლებმა კარგად დაიწყეს და საწყისი მეოთხედი 20:12 მოიგეს. მაგრამ არანაკლებ შთამბეჭდავი იყო ესპანელთა პასუხი - მათ ჯერ მეორე მეოთხედი მოიგეს ექვსი ქულით, მესამეში კი პრაქტიკულად გადაწყვიტეს მატჩის ბედი.

მატჩის დასკვნითი ნაწილის წინ ბასკური კლუბი ხუთი ქულით იყო დაწინაურებული და მასპინძლების მხრიდან უდიდესი ზეწოლის მიუხედავად, შეძლო სასურველი ანგარიშის შენარჩუნება.

გამარჯვებულთა რიგებში გამორჩეული კალათბურთელი იყო ბოსნიელი **მირზა ტელეტოვიჩი**, რომელმაც „კახა ლაბორალს“ 23 ქულა მოუტანა. NBA-დან შეძენილ ფრანგს **სერაფინს** 10 ქულა და 6 მოხსნა ჰქონდა, არგენტინელმა **პრიჯიონიმ** კი შვიდ შედეგიან გადაცემას ექვსი ჩაჭრა დაუმატა.

■ ■ ■

ერთადერთი მასპინძელი, რომელმაც გამარჯვება მოახერხა, იტალიის „კანტუ“ იყო. მისი თამაში ქართველ გულშემატკივრებს ყველაზე მეტად აინტერესებთ. იტალიურ კლუბში ორი ქართველი - **მანუჩარ მარკოიშვილი** და **გიორგი შერმადინი** თამაშობენ.

„კანტუს“ რთული მეტოქე ჰყავდა საფრანგეთის „ნანსის“ სახით, რომელმაც სეზონის წინ NBA-ის ლეგიონერი **ნიკოლა ბატუმი** დაიმატა. პირველმა ტაიმმა აბსოლუტურად თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა და ფრედ დასრულდა.

„კანტუმ“ გადამწყვეტი გარღვევა მესამე მეოთხედში განახორციელა, როცა ეს 10-წუთეული 5 ქულით მოიგო, შემდეგ კი წარმატება ბოლო მეოთხედში განავრცო და საბოლოოდ, სოლიდური 11-ქულიანი უპირატესობით გაიმარჯვა.

მნიშვნელოვანი იყო ქართველების წვლილი ამ გამარჯვებაში. მარკოიშვილმა და შერმადინმა 8-8 ქულა მოუტანეს საკუთარ გუნდს, ამასთან, შერმადინმა ექვსი მოხსნაც დააგროვა.

რაც შეეხებს ნიკოლა ბატუმს, მან კინაღამ სამმაგი დუბლი შეასრულა - 13 ქულა, 7 მოხსნა და 8 პასი. მაგრამ „ნანსის“ ლიდერის“ კარგმა თამაშმა მის გუნდს ვერ უშველა.

■ ■ ■

კიდევ ერთი ქართველი, რომელმაც ამ დღეს ითამაშა, **ზაზა ფაჩულია** იყო. მისმა გუნდმა „გალათასარაიმ“ სტუმრად მოიგო პოლონეთის „პროკომთან“, თუმცა ზაზას როლი ამ გამარჯვებაში მოკრძალებული იყო - ქართველს მხოლოდ ხუთი წუთი სათამაშო დრო მისცეს და მისი მონაგარი ერთი მოხსნა იყო. ფაჩულიამ თამაშიდან ორჯერ ისროლა და ორივეჯერ ააცილა.

„პროკომმა“ პირველი ტაიმი ხუთი ქულის სხვაობით მოიგო, მაგრამ მთლიანად ჩააგდო მესამე 10-წუთეული, რომლის დროსაც „გალათასარაიმ“ 27 ქულა ჩააგდო და საპასუხოდ მხოლოდ 11 მიიღო. ბოლო მეოთხედის წინ თურქულმა კლუბმა სოლიდური უპირატესობა მოიპოვა. მართალია, პოლონელებმა ისევ მოუმატეს და ბოლო მეოთხედში კარგად მიჰყავდათ თამაში, მაგრამ მეტოქის დაწევა ველარ მოახერხეს.

საბოლოოდ, გალათასარაიმ“ ოთხი ქულით მოუგო „პროკომს“ და გამარჯვებით დაიწყო ევროლიგის ახალი გათამაშება.

გამარჯვებულთა რიგებში საუკეთესო იყო სლოვენიელი გამთამაშებელი **აკა ლაკოვიჩი**, რომელმაც 21 ქულა და 4 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

**A ჯგუფი**

**კანტუ–ნანსი 80:69**

**17:21, 27:23, 13:8, 23:17**

კ: ჩინჩარინი (15), მიჩოვი (14), შეკიჩი (11), ბაზილე (9+6 პასი), მარკოიშვილი (8), შერმადინი (8+6 მოხსნა).

ნ: აკინგბალა (20+7 მოხსნა), ბატუმი (13+7 მოხსნა+8 პასი), მოერმანი (13).

**ფენერბაჰჩე–კ. ლაბორალი 66:69**

**20:12, 16:22, 12:19, 18:16**

ფ: ონანი (16), უკიჩი (10), გისტი (10+6 მოხსნა), ჯერელსი (8), სეფოლოშა (7).

კ-ლ: ტელეტოვიჩი (23+6 მოხსნა), ბიელიცა (12+5 მოხსნა), სერაფინი (10+6 მოხსნა), პრიჯიონი (5+7 პასი+6 ჩაჭრა).

**D ჯგუფი**

**უნიქს–მონტეპასკი 71:79**

**24:20, 20:23, 11:21, 16:15**

უ: დომერკანტი (30+7 მოხსნა), ჯავაი (11+9 მოხსნა), ლაიდეი (9).

მ: მაკალები (17+4 პასი), კაუკენასი (14+5 მოხსნა), ანდერსენი (13+5 მოხსნა), ცისისი (9+4 პასი).

**პროკომი–გალათასარაი 72:76**

**19:21, 18:11, 11:27, 24:17**

პ: ჰრიცანიუკი (15), მოტეიუნასი (15+5 მოხსნა+4 პასი), ლაფაიეტი (12), გი (10+9 მოხსნა).

გ: ლაკოვიჩი (21+4 პასი), შუმპერტი (12), ანდრიჩი (11), ლუკასი (7+6 პასი).

# მოგება თანაბრად გაიყოფა




გუშინ დილით დასრულდა NBA-ის კლუბების მფლობელთა და მოთამაშეთა პროფკავშირის მორიგი შეხვედრა, რომელიც რვა საათს გრძელდებოდა და მან შესამჩნევი შედეგი მოიტანა: მხარეები პრაქტიკულად დათანხმდნენ საერთო შემოსავლის თაბრად განაწილებას. მოლაპარაკებები დღეს დილით უნდა განახლებულიყო.

როგორც იცით, ამ შეხვედრებში მონაწილეობს შუამავალი - შერიგების ფედერალური სამსახურის დირექტორი **ჯორჯ კოენი**. აი, რა განაცხადა მან დღევანდელი შეხვედრის დასრულების შემდეგ: *“მოლაპარაკება კონკრეტული და კონსტრუქციული იყო. ვაგრძელებთ დახმარებას იმისთვის, რომ მხარეები საბოლოო შეთანხმებამდე მივიდნენ. ყველანი კონცენტრირებულნი არიან იმ საკითხებზე, რომელიც ხელს უშლის ახალი ჩემპიონატის დაწყებას”.*

*“ვფიქრობ, ყველა სასწაულის მოლოდინშია. მაგრამ შუამავალთან ერთადაც მხარეებს დრო დასჭირდებათ ყველა საკამათო მომენტის დასარეგულირებლად. არ მგონია, რომ კოენი ამ პრობლემას ორი დღის განმავლობაში გაუმკლავდება”*, - განაცხადა Yahoo! Sports-თან კომენტარში გუშინდელი შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ.

# შუამავალი თუ სასწაულმოქმედი

**ESPN-ის ანალიტიკოსი ჩედ ფორდი ლოკაუტის დასრულებასთან დაკავშირებით თავის ვარიანტებს გვიზიარებს. ამასთან, მიმდინარე პროცესში დიდი როლი ენიჭება შუამავალს. მალე გავიგებთ. შეძლებს თუ არა ის დაპირისპირებული მხარეების ჩიხიდან გამოყვანას.**

ერთი კვირის წინ, ჩემპიონატის გადარჩენის მიზნით ორგანიზებული შეხვედრა ისევ უშედეგოდ დასრულდა. და საბოლოოდ, **დევიდ სტერნი** იძულებული გახდა რეგულარული ჩემპიონატის პირველი მატჩები გაეუქმებინა.

მას შემდეგ მხარეებს შეხვედრა არ ჰქონიათ, სამაგიეროდ, ყველას გააგებინეს დახურულ კარს მიღმა საუბრების დეტალები. ორშაბათს დაპირისპირებული ბანაკები ისევ დაუბრუნდნენ დიპლომატიას. ამჯერად შუამავალთან - **ჯორჯ კოენთან** ერთად. თუ ყველაფერი კარგად განვითარდა, ამ უკანასკნელის სამსახურს ერთიც და მეორე მხარეც მთელი კვირა გამოიყენებს. შეძლებს თუ არა კოენი ლიგის გადარჩენას?

პირადად მე პოზიტიური განწყობა მაქვს. ასეთი პროფესიის ადამიანები სერიოზულ გავლენას ახდენენ კონფლიქტებზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა მონაწილეები ჯიუტად დგანან თავისაზე. მიუხედავად იმისა, რომ კლუბების მფლობელები და პროფკავშირი დახურულ კარს მიღმა ხვდებიან, იგრძნობა, რომ ისინი ძალიან დაშორებულნი არიან ერთმანეთისგან.

შეძლებს თუ არა კოენი მათ დაახლოებას?

შესაძლოა, შუამავლები ყოვლისშემძლენი არ არიან. არც მოსამართლის ფუნქციებს ილებენ საკუთარ თავზე. კოენი დაპირისპირებულ ბანაკებზე ზეწოლას არ განახორციელებს. არც პრობლემის მოგვარების ალტერნატიულ მეთოდებს შესთავაზებს - ეს მის მოვალეობაში არ შედის. მაგრამ სწორი მიმართულების მიცემა შეუძლია.

მსგავსი მოლაპარაკებები შუამავლის გარეშე იშვიათად სრულდება წარმატებით. ყველა გრძნობს საკუთარ სიმართლეს და აქტიურად იცავს პოზიციებს. ერთნი მზად არიან დათმობაზე წავიდნენ იმ შემთხვევაში, თუ დაპირისპირებული მხარეც იმავეს გააკეთებს. ზედმეტია ლაპარაკი კომპრომისის ამერიკულ კულტურაზე - ხშირად დაპირისპირებულები ზარალს ითვლიან იმის ნაცვლად, რომ შემხვედრი ნაბიჯები გადადგან.

შეიძლებოდა თანამშრომლობის სურვილი უკეთესიც ყოფილიყო. როგორც კი ლიგამ უარი თქვა ფულის გაყოფის ახალ წესზე, მაშინვე გაისმა ბრალდებები არაპატიოსან თამაშსა და ინტრიგების გაჩაღებაზე. პროფკავშირების აღმასრულებელმა დირექტორმა **ბილ ჰანტერმა** განაცხადა: *“იცით თუ არა, რომ ორი წლის წინ სტერნმა დამისახელა თანხა, რომელიც კლუბების მფლობელებმა უნდა მიიღონ. ამაზე მე ვუპასუხე, რომ ასეთი თანხის მისაღებად ერთი-ორი წლით კალათბურთიდან ჩვენი ჩამოშორება მოუწევდა. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ დევიდს შეეძლო ამის გაკეთება. როგორც ვხედავთ, ის სწორედ ასეთი სცენარით მოქმედებს”.*

ნდობის გარეშე შეთანხმება თითქმის არ არსებობს. ამის ნაცვლად, ოპონენტთა ტაქტიკა ისევ დიდ ეჭვებს იწვევს. მისი მიზანია – ბზარი იპოვნოს მოწინააღმდეგის ნავში. და რა გვრჩება შედეგად? **გარნეტი** და სხვები განრისხებულნი არიან, ორი კვირა გაუქმებულია. ლოკაუტი მინიმუმ შობამდე გაგრძელდება – ეს ილუზია არ არის.




ჯორჯ კოენი

დღევანდელი სტრატეგია ყველას ძვირად უჯდება. ნეგატივისა და ზედმეტი სიჯიუტის შედეგები არავის გაახარებს. ბევრი ჩვენთაგანისთვის ცხადია: მოთამაშეები და მფლობელები შეიშალნენ. თავად რას ფიქრობენ ამაზე?

შეეკითხეთ სტერნს, რომელიც პირველ რიგში უნდა მიდიოდეს დათმობებზე – და ის სპორტსმენებზე მიგითითებთ. მიმართეთ ჰანტერს – ის საპირისპირო მიმართულებით გაიშვერს თითს. როცა კომისარი და დირექტორი ჯიუტად დგანან თავისაზე, რა შეთანხმებაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი?!

მაგრამ ყველაზე საინტერესო შემდეგია. ჰკითხეთ კალათბურთელებს - რა სურთ მათ ყველაზე მეტად. საკმარისია შეხვიდეთ “ტვიტერში” და პასუხს გაიგებთ: *“ჩვენ თამაში გვინდა!”* რას პასუხობენ მფლობელები: *“მოგვბეზრდა ფინანსური ზარალი”*. იღებენ თუ არა ისინი იმას, რასაც ითხოვენ? არა. მხოლოდ შორდებიან ერთმანეთს.

ორივე მხარეს უდიდესი პრობლემები დაუგროვდა. ისინი ამას ვერ აცნობიერებენ ან არ უნდათ, რომ გააცნობიერონ. ერთმანეთის მიმართ ნდობა დაკარგულია. ამიტომაც არის საჭირო მესამე მხარის დახმარება.

■ ■ ■

კოენის გეგმა ცალსახად გასაგებია: უნდა შეაგნებინოს დაპირისპირებულ მხარეებს, რომ აუცილებელია კამათის დასრულება. უნდა აღდგეს ნდობა და უნდა მიხვდნენ, რომ ისინი ერთმანეთზე არიან გამოკიდებული.

დღეისთვის ყველაზე მაღალმა ინსტანციამ იცის, როგორ განახორციელოს ზეწოლა. ისინი ახორციელებენ ლიგის დაფინანსებას. დაგვეთანხმეთ, რომ საპასუხისმგებლო როლია. ისეთი ძლიერი კლუბები, როგორებიც არიან “ლეიკერსი”, “ნიქსი” ან ”ბულზი”, ყოველწლიურად ათეულობით მილიონის დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ და ამ ფულის გარეშე ისინი შეწყვეტენ არსებობას.

თავის მხრივ, ფიშერი და კომპანია დარწმუნებულია საკუთარ “დამოუკიდებლობაში”. ცხადია, რომ მათი წყალობით ივსება არენები. ლიგის კომერციული წარმატება ყოველთვის იყო და იქნება დამოკიდებული ცალკეულ ვარსკვლავებზე. მათ გარეშე ასოციაცია – არაფერს წარმოადგენს.

მხარეები მართლები არიან, მაგრამ თან შეცდომას უშვებენ. ისინი ერთმანეთს სჭირდებიან და იმისთვის, რომ ერთმანეთს გაუგონ, თბილი დამოკიდებულება აუცილებელია.

ამისთვის კოენს მოუწევს უმოკლეს დროში ორი დიდი ამოცანის გადაჭრა.

პირველ რიგში გაერკვეს ფინანსების საკითხში. “ფულის ტომრების” ერთ-ერთი მთავარი არგუმენტია: “ლეიკერსის”, “ნიქსისა” თუ “ბულზის” დონი გუნდების შენახვა უკვე აღარ არის მომგებიანი. თუ სიმართლეს შეესაბამება მფლობელების განცხადება იმის შესახებ, რომ ლიგის 18 გუნდი წამგებიანია, მაშინ ასოციაცია მართლაც ავად ყოფილა. ამასთან, წარსულს უნდა ჩაჰბარდეს იდიოტურად გაბერილი კონტრაქტები. მაგალითად ისეთი, როგორიც **ედი კარისთან** იყო გაფორმებული.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კანადური დერბი ტორონტომ მოიგო

რეგულარულ ჩემპიონატში მხოლოდ ერთი შეხვედრა გაიმართა. ტორონტოში ადგილობრივი „მეიპლ ლივზი" „ვინიპეგ ჯეტსს" ხვდებოდა. გუნდებმა განსხვავებული სტარტი აიღეს რეგულარულ ჩემპიონატში. „ვინიპეგს" ოთხიდან მხოლოდ ერთი მოგება ჰქონდა, „ტორონტოს" კი პირიქით - ოთხ მატჩში სამი გამარჯვება.

ამ გუნდებს შორის კლასში განსხვავება ამ შეხვედრაშიც დადასტურდა, თუმცა „ვინიპეგმა" სერიოზული ბრძოლა გაუმართა ერთ-ერთ ლიდერს, მუდმივად წინ იყო და ცოტა დააკლდა გამარჯვებამდე.

პირველ პერიოდში გუნდებმა გოლები გაცვალეს, მეორე „ვინიპეგმა" თითქოს გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა, როცა ორი უპასუხო შაიბა შეაგდო „ტორონტოს" კარში. მაგრამ „ვინიპეგისთვის" საბედისწერო აღმოჩნდა მესამე პერიოდის მერვე წუთის 30-წამიანი მონაკვეთი, როცა სტუმართა გუნდმა **ლუპულისგან** და **კესელისგან** ზედიზედ ორი შაიბა მიიღო.

მატჩი ოვერტაიმში გადავიდა და იქ ანგარიში არ შეცვლილა, შესაბამისად, დაინიშნა ბულიტების სერია, რომელშიც ტორონტოელებმა ლუპულმა და **ფრატენმა** ორჯერ გაიტანეს, „ვინიპეგმა" კი ვერაფერი მოუხერხა „ტორონტოს" მეკარე **რაიმერს**.

„მეიპლ ლივზი" აგრძელებს წარმატებულ სტარტს ახალ სეზონში. ახლა ამ გუნდს ხუთი მატჩიდან ოთხი მოგება აქვს.

### დღის სამი ვარსკვლავი

ლიგამ ტრადიციულად გამოავლინა გუშინდელი სათამაშო დღის სამი საუკეთესო მოთამაშე.

პირველი ვარსკვლავი გახდა „ტორონტოს" გარემარბი ჯოფრი ლუპული, რომელმაც დუბლით გამოიჩინა თავი.

მეორე ადგილი ასევე „მეიპლ ლივზის" ფორვარდს ფილ კესელს ერგო, რომელმაც გოლი+პასის სისტემით სამი ქულა (1+2) ჩაიწერა აქტივში.

სამეულში შევიდა „ვინიპეგის" ცენტრალური თავდამსხმელი **მარკ შეიფელე**. წლევანდელი დრაფტის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ NHL-ში თავისი პირველი შაიბა გაიტანა.

**ტორონტო-ვინიპეგი 4:3 (ბ)**

1:1, 0:2, 2:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ენსტრიომი-1 (ლიტლი-1, ბაფლინი-1), 1:1 ლუპული-3 (კესელი-4, ბოჟაკი-4), 1:2 ბურმისტროვი-1 (ანტროპოვი-2, უელვუდი-1), 1:3 შეიფელე-1 (ბაფლინი-2, მაკლინი-2), 2:3 ლუპული-4 (ლაილსი-2, კესელი-5), 3:3 კესელი-7 (ფანოფი-5, ლაილსი-3).

**ბულიტები გაიტანეს:** ლუპული (ტორონტო), ფრატენი (ტორონტო).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ვაშინგტონი* | 5 | 5 | 0 | 0 | 10 |
| 2. პიტსბურგი* | 8 | 4 | 2 | 2 | 10 |
| 3. ტორონტო* | 5 | 4 | 0 | 1 | 9 |
| 4. ფილადელფია | 5 | 4 | 0 | 1 | 9 |
| 5. ბაფალო | 5 | 4 | 1 | 0 | 8 |
| 6. კაროლინა | 6 | 3 | 2 | 1 | 7 |
| 7. აილენდერსი | 4 | 3 | 1 | 0 | 6 |
| 8. ნიუ ჯერსი | 4 | 3 | 1 | 0 | 6 |
| 9. ფლორიდა | 5 | 3 | 2 | 0 | 6 |
| 10. რეინჯერსი | 4 | 1 | 1 | 2 | 4 |
| 11. ბოსტონი | 6 | 2 | 4 | 0 | 4 |
| 12. ტამპა ბეი | 6 | 1 | 3 | 2 | 4 |
| 13. მონრეალი | 5 | 1 | 3 | 1 | 3 |
| 14. ვინიპეგი | 5 | 1 | 3 | 1 | 3 |
| 15. ოტავა | 6 | 1 | 5 | 0 | 2 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. დალასი* | 6 | 5 | 1 | 0 | 10 |
| 2. კოლორადო* | 6 | 5 | 1 | 0 | 10 |
| 3. დეტროიტი* | 4 | 4 | 0 | 0 | 8 |
| 4. ანაჰაიმი | 5 | 4 | 1 | 0 | 8 |
| 5. ჩიკაგო | 5 | 3 | 1 | 1 | 7 |
| 6. ლოს ანჯელესი | 5 | 3 | 1 | 1 | 7 |
| 7. მინესოტა | 6 | 2 | 2 | 2 | 6 |
| 8. ფინიქსი | 5 | 2 | 2 | 1 | 5 |
| 9. ნეშვილი | 5 | 2 | 2 | 1 | 5 |
| 10. ედმონტონი | 5 | 2 | 2 | 1 | 5 |
| 11. ვანკუვერი | 6 | 2 | 3 | 1 | 5 |
| 12. კალგარი | 5 | 2 | 3 | 0 | 4 |
| 13. სტ. ლუისი | 6 | 2 | 4 | 0 | 4 |
| 14. სან ხოსე | 4 | 1 | 3 | 0 | 2 |
| 15. კოლამბუსი | 6 | 0 | 5 | 1 | 1 |

* - დივიზიონის ლიდერი

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| ფილ კესელი (ტორ) | 12 (7+5) |
| ანზე კოპიტარი (ლ-ანჯ) | 9 (4+5) |
| ჯონ ტავარესი (აილ) | 8 (5+3) |
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 8 (4+4) |
| დევიდ ლეგუანდი (ნეშ) | 8 (2+6) |
| მ-ა. ბერჟერონი (ტ-ბეი) | 8 (2+6) |
| ერიკ კარლსონი (ოტა) | 8 (1+7) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| ფილ კესელი (ტორ) | 7 |
| ჯეიმს ნილი (პიტ) | 6 |
| ჯონ ტავარესი (აილ) | 5 |
| ანზე კოპიტარი (ლ-ანჯ) | 4 |
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 4 |
| დეივ ბოლანდი (ჩიკ) | 4 |
| ჯეისონ ჩიმერა (ვაშ) | 4 |
| ჯოფრი ლუპული (ტორ) | 4 |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 4 |
| დევიდ ჯონსი (კოლ) | 4 |
| რაიან ნაჯენტ-ჰოპკინსი (ედმ) | 4 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ბრაიან კემპბელი (ფლო) | 7 |
| ერიკ კარლსონი (ოტა) | 7 |
| პარენტო (აილ) | 6 |
| მ-ა. ბერჟერონი (ტ-ბეი) | 6 |
| დევიდ ლეგუანდი (ნეშ) | 6 |
| ლეტანგი (პიტ) | 6 |



ჯოფრი ლუპული

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევროპის ლიგა**

| | |
|---|---|
| პაოკ-შემროკი | 2:1 |
| ტოტენჰემი-რუბინი | 1:0 |
| ჰანოვერი-კოპენჰაგენი | 2:2 |
| სტანდარდი-ვორსკლა | 0:0 |
| ჰაპოელი (თ-ა)-ეინდჰოვენი | 0:1 |
| რაპიდი (ბ)-ლეგია | 0:1 |
| სპორტინგი-ვასლუი | 2:0 |
| ციურიხი-ლაციო | 1:1 |
| დინამო (კ)-ბეშიქთაში | 1:0 |
| სტოკი-მაკაბი (თ-ა) | 3:0 |
| ბილბაო-ზალცბურგი | 2:2 |
| სლოვანი-პსჟ | 0:0 |
| ალკმაარი-აუსტრია | 2:2 |
| მალმიო-მეტალისტი | 1:4 |
| ბრიუგე-ბირმინგემი | 1:2 |
| მარიბორი-ბრაგა | 1:1 |
| რენი-სელტიკი | 1:1 |
| უდინეზე-ატლეტიკო | 2:0 |
| აეკ (ლ)-შალკე | 0:5 |
| მაკაბი (ჰ)-სტიუაუ | 5:0 |
| ოდენსე-ტვენტე | 1:4 |
| ვისლა-ფულჰემი | 1:0 |
| ლოკომოტივი-აეკ (ა) | 3:1 |
| შტურმი-ანდერლეხტი | 0:2 |

**პორტუგალია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კოვილია-პორტიმონენსე | 2:0 |

**თურქეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბოლუ-ელაზიგი | 2:2 |
| გირეშუნი-ქასიმფაშა | 0:0 |
| ქარსიაქა-ბუკა | 0:0 |
| რიზე-თავსანლი | 2:1 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| პარტიზანი-ეფესი | 73:84 |
| შარლერუა-რეალი | 76:100 |
| მილანი-მაკაბი | 89:82 |
| ოლიმპია-ბარსელონა | 64:86 |
| პანათინაიკოსი-უნიკახა | 98:77 |
| ბამბერგი-ზაგრები | 96:65 |

**ხელბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| სავეჰოფი-ბოსნა | 24:20 |

**ჰოკეი**

**კხლ**

| | |
|---|---|
| ს. იულაევი-დინამო (მნ) | 3:5 |

**დანია**

| | |
|---|---|
| კოპენჰაგენი-როდოვრე | 4:6 |
| ესბერგი-სონდერიისკი | 4:8 |
| ჰერლევი-ფრედრიკშავნი | 0:5 |
| ოლბორგი-ჰერნინგი | 4:5 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სტავანგერი-რუსენბორგი | 9:2 |
| სტიერნენი-მანგლერუდი | 1:4 |
| ლილეჰამერი-სტორჰამარი | 5:4 |
| ლორენსკოგი-ფრისკ ასკერი | 11:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ჰიფკ-იოკერიტი | 3:0 |
| საიპა-ესეტი | 3:6 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სპარტა-პლზენი | 4:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ლულეა-ბრინასი | 5:6 (ბ) |
| შელეფტეო-მოდო | 4:3 |
| ტიმრა-ფერიესტადი | 1:2 |
| ჰვ71-ფრიოლუნდა | 4:3 (ო) |

**ჩოგბურთი**

**ATP. მოსკოვი**

| | |
|---|---|
| **შარდი**-დოლგოპოლოვი | 6:3, 7:6 |
| ბენეტო-**ტურსუნოვი** | 3:6, 6:7 |
| მიულერი-**კოლშრაიბერი** | 6:7, 3:6 |
| **ტიპსარევიჩი**-კუნიცინი | 6:7, 6:1, 6:0 |

**ATP. სტოკჰოლმი**

| | |
|---|---|
| ჩელა-**დიმიტროვი** | 2:6, 7:5, 1:6 |
| **ნიემინენი**-ვავრინკა | 6:3, 6:4 |
| **კამკე**-რიშიკი | 6:3, 6:1 |
| **მონფილსი**-ტომიჩი | 6:4, 6:7, 6:4 |
| **ნალბანდიანი**-დოდიგი | 6:1, 6:1 |

**WTA. ლუქსემბურგი**

| | |
|---|---|
| **სხოოფსი**-მარინო | 1:6, 6:1, 7:5 |
| **სევასტოვა**-ჰალეპი | 6:2, 6:2 |
| **ჰრადეცკა**-კადანტუ | 6:3, 6:4 |
| ივანოვიჩი-**კეოტავონგი** | 3:6, 2:6 |
| **აზარენკა**-ბრიანტი | 6:0, 6:1 |

**WTA. მოსკოვი**

| | |
|---|---|
| **ვესნინა**-ივანოვა | 6:3, 6:4 |
| ზაკოპალოვა-**ციბულკოვა** | 6:7, 2:6 |
| **ბარტოლი**-პერვაკი | 6:1, 6:1 |
| **კუზნეცოვა**-პირონკოვა | 7:5, 7:5 |

## ჩოგბურთი



# ფინალი ორშაბათს?

ამერიკის ღია პირველობის ხელმძღვანელობა აპირებს ოფიციალურად გადაიტანოს ორშაბათისთვის მამაკაცთა ტურნირის ფინალი. შეგახსენებთ, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ფინალი მუდმივად ორშაბათს ტარდებოდა იმის გამო, რომ ტურნირის განრიგში წვიმას შეჰქონდა კორექტივები.

ტურნირის დირექტორმა **ჯიმ ქიორლიმ** სააგენტო AP-სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ჩოგბურთის ასოციაციამ მოლაპარაკებები დაიწყო ტელეკომპანია CBS-თან წამყვანი მოთამაშეების მოთხოვნების სავარაუდო დაკმაყოფილების თაობაზე. კერძოდ, ჩოგბურთელებს სურთ, რომ მამაკაცების ნახევარფინალსა და ფინალს შორის ერთდღიანი შესვენება იყოს.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის ღია პირველობა დღეს ერთადერთი ტურნირია, სადაც მამაკაცთა ნახევარფინალები და ფინალი ზედიზედ იმართება - შაბათსა და კვირას. ადრე ამერიკის ჩოგბურთის ფედერაცია ნახევარფინალური ეტაპის პარასკევს გადატანის ვარიანტს განიხილავდა.

ამერიკელთა გეგმებს გამოეხმაურა შვეიცარიელი ჩოგბურთელი **როჯერ ფედერერი**.

*„შესანიშნავია ამბავია, რომ მათ გადაწყვიტეს ამერიკის ღია პირველობის განრიგის გადახედვა. ეს კარგი იქნება ჩოგბურთისთვის. მოხარული ვარ, რომ ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს მოთამაშეების მოთხოვნები"*, - ამბობს ფედერერი სააგენტო AP-სთან კომენტარში.

## სამთო-სათხილამურო სპორტი

# რიშმა ნასვლა დაგეგმა

ვანკუვერის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, გერმანელმა **მარია რიშმა** გამოაცხადა, რომ კარიერას 2014 წელს, სოჭის ოლიმპიადის შემდეგ დაასრულებს. იმ მომენტისთვის თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხილამურე 29 წლის იქნება.

*„მსოფლიოს თასის ეტაპებზე უკვე 10 წელია გამოვდივარ და ვფიქრობ, გარკვეული კვალი დავტოვე სამთო-სათხილამურო სპორტში. საკუთარ ორგანიზმს ვუსმენ და ვაპირებ დიდ სპორტში 2014 წლამდე დავრჩე"*, - ამბობს რიში.

გერმანელს მსოფლიოს თასის 20 ეტაპი აქვს მოგებული. გასულ სეზონში მან თასის საერთო ჩათვლაში გაიმარჯვა - ამერიკელ **ლინდსი ვონს** 3 ქულით გაუსწრო.

* * *

მამაკაცებს შორის მსოფლიოს თასის მოქმედი მფლობელი **ივიცა კოსტელიჩი** წლის საუკეთესო სამთო მოთხილამურედ დაასახელეს. ეს გაირკვა სპორტის ამ სახეობაში მომუშავე ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგად.

31 წლის ხორვატმა ხმების საერთო რაოდენობის მესამედი მიიღო. სიაში მეორე იყო მარია რიში, მესამე - სუპერგიგანტში მსოფლიოს ჩემპიონი **კრისტოფ ინერჰოფერი**.

შეგახსენებთ, შარშან ანალოგიური პრიზის მფლობელი გახდა შვეიცარიელი **კარლო იანკა**, შარშანწინ - ლინდსი ვონი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## TV პროგრამა

**21 ოქტომბერი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** არგენტინის ჩემპიონატი. XI ტურის მიმოხილვა

**11:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXX ტურის მიმოხილვა.

**11:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.

**12:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. X ტური. აიაქსი-ალკმაარი.

**14:00** გადაცემა - საფეხბურთო ლამე.

**16:00** არგენტინის ჩემპიონატი. XI ტური. ლანუსი-ველესი.

**18:00** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.

**18:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.

**19:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXX ტური. სეარა-ფლამენგო.

**21:00** გადაცემა - გოლი.

**22:30** გერმანიის ჩემპიონატი. X ტური. აუგსბურგი-ვერდერი (LIVE).

**00:30** იტალიის ჩემპიონატი. VII ტურის წინ.

**01:00** ესპანეთის ჩემპიონატი. VIII ტურის წინ.

**01:30** საფრანგეთის ჩემპიონატი. XI ტურის წინ.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰერტა.

**12:00** სპორტ-ნიუსი.

**12:15** კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. ატლანტა-ორლანდო.

**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის 1/4 ფინალი. სტოკჰოლმი. შვედეთი (LIVE).

**18:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა.

**20:00** სპორტ-ნიუსი.

**20:30** ჩოგბურთი. ATP-ის 1/4 ფინალი. სტოკჰოლმი. შვედეთი (LIVE).

**00:30** საფეხბურთო გადაცემა - გოლი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**10:40** ჩოგბურთი. ATP-ის 1/8 ფინალი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).

**12:30** სპორტ-ნიუსი.

**13:00** საჩოგბურთო მიმოხილვა.

**14:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**14:35** სპორტ-ნიუსი.

**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის 1/4 ფინალი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).

**20:00** ჩოგბურთი. WTA-ის 1/4 ფინალი. ლუქსემბურგი (LIVE).

**23:00** ჩოგბურთი. ATP-ის 1/4 ფინალი. მოსკოვი. რუსეთი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**22:25** გერმანიის ჩემპიონატი. აუგსბურგი-ვერდერი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**12:30** WTA-ის ტური. III დღე. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).

**18:00** WTA-ის ტური. III დღე. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**22:25** ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ბილბაო-ოლიმპიაკოსი (LIVE).

**EUROSPORT**

**13:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).

**17:00** სნუკერი. PTC-ის სერია. I დღე. კილარნი. ირლანდია (LIVE).

**22:00** სნუკერი. PTC-ის სერია. I დღე. კილარნი. ირლანდია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**12:30** სნუკერი. PTC-ის სერია. I დღე. კილარნი. ირლანდია (LIVE).

**20:15** სნუკერი. PTC-ის სერია. I დღე. კილარნი. ირლანდია (LIVE).

**21:00** ველოსპორტი. ევროპის ჩემპიონატი (ტრეკი). I დღე. აპელდორნი. ჰოლანდია (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ავტოსპორტი


სებასტიან ფეტელი

# ფეტელი ინგლისში აკუთრხეს

ფორმულა 1-ში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **სებასტიან ფეტელი** ბრიტანეთში ჩავიდა და იქ მილტონ-კინსში საკუთარი გუნდის ბაზაზე წლევანდელი გამარჯვება აღნიშნა. გარდა ამისა, მადლობა გადაუხადა იმ ადამიანებს, ვინც მისთვის ჩემპიონატის საუკეთესო მანქანა დაამზადა.

ოფიციალური პრესკონფერენციის შემდეგ, გერმანელი პილოტი „რედ ბულის" შეფის **კრისტიან ჰორნერისა** და ტექნიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის **ედრიან ნიუის** თანხლებით შეუერთდა ავსტრიული საჯინიბოს მთელ კოლექტივს, რომელიც 525 თანამშრომელს შეადგენს.

ცერემონიის წამყვანი იყო ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი **დევიდ კულტჰარდი**, რომელიც „რედ ბულის" დაარსების პირველ წლებში გამოდიოდა ამ გუნდში. ზეიმს არ ესწრებოდა „რედ ბულის" მეორე პილოტი **მარკ უებერი**, რომელიც სამშობლოში სარეკლამო კამპანიის გამო გაემგზავრა, თუმცა თანაგუნდელს ვიდეომიმართვით მიესალმა.

*„ყველა ცდილობდა ჩემპიონობის მოპოვებას, მაგრამ გამარჯვებული ყოველთვის ერთია. ამჯერად ეს მე ვარ. შესაბამისად, ეს იყო ძალიან კარგი წელი ჩემთვის, საოცარი პროგრესი გვქონდა, მაგრამ ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა, წინ კიდევ სამი რბოლაა და შევეცდებით, აქაც საუკეთესოები ვიყოთ"*, - განაცხადა ფეტელმა.

ასეთი იყო ცერემონიის ოფიციალური მხარე, შემდეგ კი ჟურნალისტებს ბაზის დატოვება სთხოვეს და გუნდმა დახურულს კარს მიღმა გააგრძელა ფეტელის ჩემპიონობის აღნიშვნა.

# რალფი DTM-ში რჩება

გერმანელმა **რალფ შუმახერმა** კიდევ ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი კომპანია „მერსედესთან" და 2012 წელს მეხუთე სეზონს გაატარებს DTM-ის გერმანულ სერიაში.

რალფი ამ ჩემპიონატში თავდაპირველად ვერ ბრწყინავდა და პირველ სამ სეზონში მხოლოდ რამდენჯერმე შეძლო ქულების მოპოვება, მაგრამ წელს სიტუაცია გამოსწორდა - უმცროსმა შუმახერმა მესამე ადგილი დაიკავა ჰიოკენჰაიმში და მეორე იყო „რედ ბულრინგის" ტრასაზე.

*„მომავალ წელს ძალაში შედის ახალი ტექნიკური რეგლამენტი, ხოლო სერიის ორ მონაწილეს - „მერსედესსა" და „აუდის" დაემატება BMW. ასე რომ, DTM-ის ბრწყინვალე მომავალი აქვს, - დარწმუნებულია 36 წლის შუმახერი. - ამიტომაც ვამაყობ იმით, რომ ვაგრძელებ ამ სერიაში კარიერას, თანაც გაისად Mercedes C-Coupe-ის განახლებული მოდელი მეყოლება".*

■ ■ ■

ცნობილი ფრანგი ავტომრბოლი **ჟან ალეზი** აცხადებს, რომ არ აპირებს თავისი გეგმების შეცვლას და ისევ აქვს განზრახული „ინდი 500"-ის ლეგენდარულ რბოლაში გამოსვლა, მიუხედავად იმისა, რომ გასულ კვირას ინდიკარის სერიაში დაიღუპა ბრიტანელი **დენ უელდონი**.

ცოტა ხნის წინ, 47 წლის ფრანგმა ჟურნალისტებს აუწყა, რომ შეეცდება მომავალი წლის რბოლამდე კვალიფიკაციის გავლას, არადა, აქამდე ალეზი არასოდეს გამოსულა ოვალურ ავტოდრომებზე.

*„რატომ უნდა ვთქვა უარი საკუთარ გეგმებზე? ის, რაც ლას-ვეგასში მოხდა, „ინდი 500"-ზე გამორიცხულია, რადგან უფრო იოლი ტრასაა. რაც მთავარია, „ინდიში" სრული ძალით არავინ დაქრის. ასეთი რამ მხოლოდ საკვალიფიკაციო რბოლებში ხდება, - ამბობს ალეზი „გაძეტა დელო სპორტთან" კომენტარში. - მე არ ვარ ექსპერტი, მაგრამ სანამ გადაწყვეტილებას მივიღებდი, ჯანპაოლო დალარას ვესაუბრე და მან დამიდასტურა უსაფრთხოების მაღალი სტანდარტები".*

სხვათა შორის იტალიელმა სარბოლო კონსტრუქტორმა განაცხადა, რომ დენ უელდონი ეხმარებოდა მის კომპანიას 2012 წლის ინდიკარის სერიისთვის განკუთვნილი მანქანის დახვეწაში, ამიტომაც ამ ბოლიდმა ასეთი ინდექსი მიიღო - DW01.

*„დენი განსაკუთრებული ადამიანი იყო, კარგი პილოტი, შესანიშნავი პიროვნება, რომელიც ყველას უყვარდა, - განაცხადა დალარამ. - 2012 წელს ჩვენს მანქანას DW01 ერქმევა. ამით დენი ჩვენ გვერდით იქნება".*


რალფ შუმახერი

# სენას შემდეგ

სამწუხაროდ, **დონ უელდონის** სიკვდილი პირველი ფატალური შემთხვევა არ არის მსოფლიო ავტოდრომებზე. ინდიკარის სერიაში უსაფრთხოების სტანდარტები კვლავაც 80-იან წლებშია ჩარჩენილი. ნუთუ ეს საშინელი უბედურება უნდა მომხდარიყო, რათა ამ სერიის ხელმძღვანელობას ეს ფაქტი ეღიარებინა?! შეიძლება ბევრი ვაკრიტიკოთ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი **მაქს მოსლი** მისი პოლიტიკის გამო, მაგრამ ერთი რამ უნდა ვაღიაროთ: სწორედ მის ხელში იქცა ფორმულა 1 მეტ-ნაკლებად უხიფათო სარბოლო სერიად (თუ საერთოდ შეიძლება უსაფრთხოებაზე ლაპარაკი, როცა ბოლიდები საშუალოდ საათში 200 კილომეტრი სიჩქარით მოძრაობენ). გაიხსენეთ სამი ეპიზოდი, რომელმაც პირდაპირ ეთერში საშინელი შთაბეჭდილება დატოვა: **სენა** იმოლაზე, **შუმახერი** სილვერსტოუნზე და **კუბიცა** მონრეალში. ყველაზე საშინლად ეს უკანასკნელი ავარია ჩანდა, მაგრამ რობერტი ყველაზე იოლად გადარჩა.

### მიკა ჰაკინენი

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი სერიოზულად დაზარალდა 1995 წელს ავსტრალიის გრანპრისას თავისუფალი პრაქტიკის დროს. სწრაფ წრეზე **ჰაკინენს** საბურავი გაუსკდა, რის შემდეგაც უმართავი "მაკლარენი" უდიდესი სისწრაფით შეასკდა კედელს. გადაუჭარბებლად შეიძლება იმის თქმა, რომ სწრაფად ჩატარებულმა ტრაქეომეტრიამ გაადაარჩინა პილოტის სიცოცხლე. მიკამ, რომელსაც ცოტა ხნით ადრე აპენდიციტის ოპერაცია ჰქონდა გადატანილი, სწრაფად მოასწრო 1996 წლის სეზონის სტარტისთვის აღდგენა, ხოლო მომხდარი მორიგი სიგნალი გახდა იმისთვის, რომ აუცილებელი იყო უსაფრთხოების სტანდარტების გადახედვა.


ფელიპე მასა
ავარიის შემდეგ

### მიხაელ შუმახერი

"ფერარის" ლიდერმა 1999 წელს მორიგი იერიში მიიტანა საჩემპიონო ტიტულზე, მაგრამ მის ყველა ძალისხმევას ხაზი გადაუსვა ავარიამ ბრიტანეთის გრანპრიზე, რომელშიც **მიხაელმა** ფეხი მოიტეხა. Stowe-ის მოსახვევში შესვლამდე ცოტა ხნით ადრე "ფერარის" ბოლიდს მუხრუჭებმა უმტყუნეს. შუმახერს უფრო სერიოზული პრობლემები ტრასის მიღმა დაყრილმა ღორღმა აარიდა, რომელმაც ოდნავ დააგდო სიჩქარე. ექვსი რბოლის შემდეგ დაბრუნება ტრიუმფალური აღმოჩნდა: პოული და საჩუქარი **ედი ირვაინს** მალაიზიის გრანპრის გამარჯვების მხრივ.

### ალესანდრო ძანარდი

ფორმულა 1-ში წარუმატებელი კარიერის შემდეგ იტალიელი CART-ის სერიაში დაბრუნდა, სადაც ორი ტიტული ჰქონდა მოპოვებული. 2001 წლის 15 სექტემბერი მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა: გერმანიის ლაუზიტცრინგზე **ძანარდი** დიდი ხანი ლიდერობდა, მაგრამ ბოქსებიდან გამოსვლისას ალესანდრომ მანქანაზე კონტროლი დაკარგა და ტრასის გასწვრივ შემოტრიალდა. **ალექს ტალიანი** მაშინვე შეასკდა იტალიელის ბოლიდს, რომელიც ორ ნაწილად გაიხლიჩა. ექიმების ვერდიქტი უმძიმესი აღმოჩნდა – ორივე ფეხის ამპუტაცია. მაგრამ აღფრთოვანებას იწვევს ამ ადამიანის სიმამაცე: ძანარდი არ დანებდა, წარმატებით გაიარა რეაბილიტაციის პროგრამა და ETCC-ის (ევროპის ტურიზმის ჩემპიონატი) ორ სეზონში მიიღო მონაწილეობა.

### რალფ შუმახერი

მიხაელის უმცროსი ძმა სიცოცხლის გადარჩენას უნდა უმადლოდეს HANS-ს – თავისა და კისრის დასაფიქსირებელ მოწყობილობას. 2004 წელს, ინდიანაპოლისში ამერიკის გრან-პრიზე რალფი ბოლო მოსახვევიდან გამოსვლის დროს სერიოზულ ავარიაში მოხვდა. შედეგად, **შუმახერს** დაუზიანდა ხერხემალი (საბედნიეროდ, უმნიშვნელოდ), რამაც გერმანელს ექვსი რბოლა გამოატოვებინა. არ გვინდა იმაზე ფიქრი, რალფის ბოლიდზე HANS რომ არ ყოფილიყო დამონტაჟებული.

### მაიკლ პარკი

ესტონელი რალისტის **მარკო მარტინის** შტურმანი პილოტის შეცდომის გამო დაიღუპა. 2005 წელს უელსის რალიზე, ერთ-ერთი სპეცმონაკვეთის ბოლოს ესტონელმა მანქანაზე კონტროლი დაკარგა და ხეს შეეჯახა. ოდნავ მარჯვნივ გადახრილმა ფრონტალურმა დარტყმამ მარკოს ზიანი ვერ მიაყენა, **მაიკლ პარკის** ტრავმები კი სიცოცხლესთან შეუსაბამო აღმოჩნდა. შოკი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მარტინმა კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

### ჰენრი სერტისი

2009 წლის 19 ივლისს, 18 წლის ასაკში ბრენდს-ჰეტჩის ტრასაზე დაიღუპა ფორმულა 2-ის პილოტი **ჰენრი სერტისი**. ბარიერს შეჯახებული **ჯეკ კლარკის** ბოლიდს საბურავი მოძვრა და სერტისს თავში მოხვდა. ჰენრიმ გონება დაკარგა. ავტოდრომიდან ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა – საბურავის დარტყმისგან მიღებული ტრავმა ძალიან მძიმე აღმოჩნდა.

### ფელიპე მასა

არ გასულა ერთი კვირა და დაახლოებით იმავე ხასიათის ინციდენტი შეემთხვა **ფელიპე მასას**. უნგრეთში ჰუნგარორინგის კვალიფიკაციაზე ეს ყველაფერი კოშმარულ დეჟავიუს ჰგავდა, ოღონდ საბურავის როლი, ამჯერად, ზამბარამ ითამაშა, რომელიც **რუბენს ბარიკელოს** ბოლიდს მოძვრა და ფელიპეს ჩაფხუტს მოხვდა. საშინელი იყო ავარიის შემდეგ მასას ფოტოების ხილვა... სეზონის დარჩენილი ნაწილი ბრაზილიელმა გამოტოვა და ტრასაზე მხოლოდ 2010 წელს დაბრუნდა.

### რობერტ კუბიცა

პოლონელი კარიერაში უკვე ორჯერ მოხვდა სერიოზულ ავარიაში, რომლის შესახებაც ყველას კარგად მოეხსენება. და თუ პირველმა ინციდენტმა 2007 წელს, მონრეალში (ფეხის დაზიანება და ტვინის შერყევა) მხოლოდ აშშ-ის გრანპრის გამოტოვება გამოიწვია, 2011 წელს იტალიის გზებზე რალიში ავარია კინაღამ ტრაგედიით დასრულდა. ერთ-ერთ მოსახვევში კუბიცა მოსრიალდა და მისი მანქანა უსაფრთხოების რელსის კიდეს შეასკდა. შედეგად, პილოტმა მარჯვენა ხელისა და ფეხის მრავალრიცხოვანი მოტეხილობა მიიღო.

● დოპინგი

# სტიმულატორი ლუდი

ერთ-ერთმა ბავარიულმა კომპანიამ გამოუშვა უალკოჰოლო ლუდის სახეობა, რომელსაც, მწარმოებელთა აზრით, ენერგიის აღდგენის ეფექტი აქვს.

ლუდისმხდელები თავიანთ პროდუქციას ბოლო თაობის სპორტულ სასმლად მოიხსენიებენ და ათლეტებს ფინიშის შემდეგ ურიგებენ.

მწარმოებელი კომპანია ამტკიცებს, რომ სასმელი მდიდარია ვიტამინებით, არ შეიცავს არანაირ დანამატს და ეხმარება სპორტსმენს ტურნირის შემდეგ ძალების აღდგენაში. ამასთან, გარეგნულად ეს ლუდი არ განსხვავდება ტრადიციულისგან: ფერიც იგივე აქვს და ქაფსაც იკეთებს

საინტერესოა, როგორ მიიღებს ამ სიახლეს მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტო და ხომ არ შეიტანს უალკოჰოლო ლუდს აკრძალული პრეპარატების სიაში.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**